

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ზ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

მანანა გვეტაძე

ნოველა თანამედროვე ქართულ
ლიტერატურაში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1963

8 Ⴑ 2

899. 962. 1.09—32

გ. 459

შრომის შესავალ ნაწილში განხილულია ნოველის ისტორია, მიმოხილულია თეორიული მოსახრებანი ნოველის, როგორც ჟანრის შესახებ; გათვალისწინებულია აგრეთვე ქართულ პრესაში გამოქვეყნებული წერილები ნოველის გარშემო.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეთმობა ქართველი ნოველისტების—ნიკო ლორთქიფანიძის, სერგო კლდიაშვილის, მიხეილ ჯაფახიშვილის, ლეო ქიაჩელის და კონსტანტინე გამსახურდიას ნოველების ანალიზს. ამ მწერლებს განსხვავებული ხელწერით, განსხვავებული მანერით აქვთ ძალიან ბევრი რამ საერთო, რაც საშუალებას იძლევა თვალყური მიედევნოს ქართული ნოველის თავისებურებას და მოიძებნოს მისი ზოგიერთი კანონზომიერება.

შრომის დასკვნითი ნაწილი ეთმობა ქართული ნოველის თავისებურებათა გამოვლინებას. შრომის დასკვნით ნაწილში გამოთქმულია აგრეთვე რიგი სხვა თეორიული ხასიათის მოსახრებებისა

თანამედროვე ქართულ პროზას ნოველის ბევრი კარგი ოსტატი ჰყავს, დაფიქრებული, დახვეწილი გემოვნებისა და რაც მთავარია საოცრად ეროვნული. ამ წიგნში განხილულია ხუთი მწერლის — ნიკო ლორთქიფანიძის, ლეო ქიაჩელის, სერგო კლდიაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილისა და კონსტანტინე გამსახურდიას ნოველები, რომელთაც ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერეს ქართული ნოველის ისტორიაში. ამ ნოველისტებს, განსხვავებული ხელწერით, განსხვავებული თემებით, აქვთ ძალიან ბევრი საერთო, რაც შესაძლებლობას გვაძლევს მათი შემოქმედების საფუძველზე თვალყური მივადევნოთ ქართული ნოველის თავისებურებებს საერთოდ და ვიპოვნოთ მისი ზოგიერთი კანონზომიერება.

X X X

ნოველის, როგორც ჟანრის შესახებ ბევრი დაწერილა და თქმულა, მიუხედავად ამისა, დღემდე ამ საკითხის გარშემო არ წყდება დავა და კამათი. მაინც, თითქმის ყველა მკვლევარი ერთხმად აღიარებს, რომ ნოველის, როგორც ჟანრის სპეციფიკა, უთუოდ მის მცირე მოცულობაშია, მოქმედების განვითარების ერთიანობაში და მოქმედ პირთა შედარებით სიმცირეშია. მაგრამ, ყველაფერი ზემოთ ჩამოთვლილი მაინც შეფარდებითია. შესაძლებელია მცირე მოცულობის იყოს მოთხრობაც და ის მართლაც რომანთან შედარებით უფრო მცირეა. შესაძლებელია, მასაც არ ჰქონდეს პარალელური მოქმედება და მოქმედ პირთა სიმცირით ხასიათდებოდეს. მაშ სად არის ნოველის სპეციფიკა? და აი აქედან იწყება ძიება, რომელსაც მივყავართ საკითხამდე, არსებობს თუ არა ნოველა საერთოდ, თუ ნოველის და მოთხრობის ცნება ადეკვატურია.

კითხვას ყველა მაინც დადებითად პასუხობს: ნოველა არსებობს; და თუ კი არსებობს უნდა იყოს დაძებნილი საკუთრივ მისი დამახასიათებელი თვისებები.

ნოველის წარმოშობა XIII—XIV საუკუნეებს ეკუთვნის, იტალიის რენესანსის განთიადს. სახელწოდებაც — novella იტალიურია. ასე იწოდებოდა პატარ-პატარა ამბები ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. რომელშიც ხალხი გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას ცხოვრებისადმი. ანალოგიური იყო ფრანგული ფაბლიო, გერმანული შვანკი. ხშირად მხიარული, ხანდახან დრამატული, სატირული ნოველები, ზოგჯერ ატარებდნენ პამფლეტურ ხასიათსაც, რამაც გარკვეული როლი შეასრულა ეპოქის პოლიტიკურ ცხოვრებაში. შემდეგ გაჩნდნენ ნოველისტებიც; ბოკაჩიო, მაზუჩიო, სტრაპაროლა, საკეტი და სხვანი, შეადგენდნენ იტალიური ლიტერატურის სიამაყეს XIV—XVI საუკუნეებში და ამჟამადც. მათი ნოველები ცნობილი იყო შორს, იტალიის ფარგლებს იქითაც და ასაზრდოებდა ფრანგი, ესპანელი, გერმანელი თუ ინგლისელი მწერლების შთაგონებას. ცნობილია, რომ შექსპირი ბევრი სიუჟეტით დავალებული იყო იტალიელი ნოველისტებისაგან. ასე წარმოიშვა ნოველა და ასე გავიდა იგი დიდ ლიტერატურულ სარბიელზე.

რასაკვირველია, პირველქმნილმა შემდეგ იცვალა იერი, გამოიკვეთა, გამოიძერწა, მიიღო უფრო მკვეთრი სახე. ემსახურებოდა სხვადასხვა მიზანს, სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობას. თავისებური განვითარება ჰპოვა ნოველამ ვერიტების მიერ. თავდაპირველად ეს იყო მოკლე ჩანახატები, ესკიზები. შემდეგ კი უფრო ჩამოყალიბებული ნოველები ფსიქოლოგიზმის აქცენტუაციით. დიდი გავრცელება ჰპოვა იმპრესიონისტულმა ნოველამ, რომელიც იმპრესიონიზმისათვის აღმოჩნდა საუკეთესო ფორმა თავისი მსოფლმხედველობის ასახაზავად. დიდი სოციალური მისია შეასრულა რეალისტურმა ნოველამ. ნოველის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე იყო არაერთი ნოველის დიდი ოსტატი მსოფლიო სახელით — მოპასანი, ჩეხოვი. ბოკაჩიო, მერიმე, ო' ჰენრი და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლა ძლიერ შორს წაგვიყვან-

და. ყველგან და ყოველთვის ნოველის შინაარსი იცვლებოდა, ვითარდებოდა. სახეს იცვლიდა. უცვლელი იყო მხოლოდ ის. რასაც ვერცერთი მკვლევარი ვერ უფლის გვერდს — ესაა ნოველის კომპაქტურობა, მოქმედების ერთიანობა. პერსონაჟთა სიმკირე. მიუხედავად იმისა, როგორც ზემოთ ვთქვი. რომ ეს მონაცემები მეტად შედარებითია, მაინც ჩვენ პირობითად უნდა ჩავთვალოთ ისინი ნოველის მთავარ მიმანიშნებელ თვისებად.

როგორც ცნობილია, ყველაზე ადრეული გამოთქმები ნოველის, როგორც ჟანრის შესახებ ეკუთვნის გოეთეს. გოეთეს არ დაუწერია ამ საკითხის შესახებ რაიმე გამორკვევა. მისი უბრალო შენიშვნა მეორე პირმა გადმოგვცა მხოლოდ. მიუხედავად ამისა. მისი განსაზღვრა ნოველისა. როგორც „ერთი არაჩვეულებრივი ამბისა“ („*пришествие*“), დიდ ზეგავლენას ახდენდა ამ საკითხით დაინტერესებულ პიროვნებებზე. საინტერესოა „გერმანელ ემიგრანტთა საუბარში“ გამოთქმული გოეთეს მეორე აზრიც. რომელიც აგრეთვე მიესადაგება ნოველის რაობის გაგებას. გოეთე ამბობს მოხუცი მღვდლის პირით: „ჩვეულებრივ მხოლოდ ახალი გვეჩვენება საყურადღებოდ. რადგან იგი. ყოველგვარი კავშირის გარეშე დანარჩენთან, იწვევს გაკვირვებას და წუთით მოძრაობაში მოჰყავს ჩვენი წარმოდგენა“.

ზოგი მკვლევარი, მაგალითად ვ. გოფენშაფერი ფიქრობს, რომ ეს გამოთქმა არის გოეთეს მხოლოდ ირონიული გაღიმება, მისი ჭეშმარიტი აზრი კი გამოთქმულია მოხუცის სიტყვებში, რომელიც ეკამათება მღვდელს. იგი ამბობს: „გვხვდება მრავალი რამ. რაც დღემდე აღჭურვილია უფრო სპეტაკ და მიმზიდველ მომხიბლაობით, ვიდრე სიახლის გრძნობაა“. ყოველ შემთხვევაში, თუ გოეთე მოითხოვდა ახალს, იგი არ მოითხოვდა ფანტასტიკურს.

გოეთეს ეს აზრი გაიზიარეს გერმანელმა რომანტიკოსებმაც. შლეგელი იხილავდა რა ბოკაჩიოს შემოქმედებას წერდა: „ნოველა არის ანეკდოტი. ჯერ კიდევ უცნობი ისტორია. რომელიც საინტერესოა თავისთავად... რადგან მან უნდა დაინტერესოს, მას უნდა ჰქონდეს ისეთი ფორმა, რომელიც შეი-

ცავს ან გვპირდება შესანიშნავ და მიმზიდველ მომენტებს“. და უკვე შლეგელი მოითხოვდა ნოველისტი საგან, რომ „მოთხრობელის ხელოვნება უნდა ავიდეს უფრო მაღალ საფეხურზე“.

მეტად საინტერესოა ტიკის მოსაზრება ნოველის შესახებ. თუ შლეგელი მოითხოვს, რომ ნოველას საფუძვლად დაედოს ახალი ამბავი, რომელიც საინტერესო იქნება თავისთავად, ტიკი დასაშვებად სთვლის ნოველა აიგოს თუნდაც უმნიშვნელო ამბავზე, ოღონდ ისე კი, რომ იგი იყოს გაშუქებული მწერლის მიერ მოულოდნელად. დანახული ორიგინალური კუთხიდან. ტიკი ამბობს: „ნოველა ყველაზე მკაფიო სინათლეზე უმნიშვნელო ან მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელიც თუმცა სავსებით შესაძლებელია, მიუხედავად ამისა საკვირველია, ერთადერთია. ეს მობრუნება, ეს პუნქტი, სადაც მოთხრობა იშლება სავსებით მოულოდნელად და მიუხედავად ამისა სავსებით ბუნებრივად, შეფარდებით ხასიათთან და გარეგნობასთან. უფრო ძლიერად აღიბეჭდება მკითხველის ფანტაზიაში, მაშინ როცა საგანი მოთხრობისა. თუნდაც საოცარი, შეიძლება სხვა გარემოების დროს გახდეს ყოველდღიური“.

ახალი, საოცარი ამბავის თეორიის ბუნებრივი განვითარება იყო პაულ გეიზეს ე. წ. „შეფარდნის თეორია“. გეიზე მოითხოვდა ნოველაში მოქმედების ერთიანობას, სიტუაციის სიმძაფრეს, ნახატის სიმკვეთრეს. სახელწოდება თეორიისა წარმოიშვა ბოკაჩიოს ერთი ნოველის გარჩევის შედეგად. გეიზეს ეს აზრი ფართოდ გავრცელდა და იგი გაიზიარა მრავალმა მკვლევარმა.

ედგარ პომ ნოველაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა ეფექტის ერთიანობას. 1842 წელს გოტორნის მოთხრობების წინასიტყვაობაში იგი წერდა: „ეფექტის ან შთაბეჭდილების ერთიანობა არას პუნქტი უდიდესი მნიშვნელობის“ და შემდეგ: „მცოდნე მხატვარმა ააგო მოთხრობა; თუ მას ესმის რაშია საქმე, ის არ წარმოსახავს მონურად იმ მოვლენებს, რომელიც სურს ასახოს. მაგრამ გულისყურით მოიფიქრებს რა ერთ მთავარ ცენტრალურ ეფექტს, წარმოსახავს შემდეგ ისეთი სახის მოვლენებს და კომბინირებას უკეთებს ისეთ პე-

რიპეტიებს, რომელთაც ყველაზე უკეთ შეუძლიათ იმოქმედონ ამ ეფექტის გამოსავლინებლად... მთელ ნაწარმოებში არ უნდა იყოს არცერთი სიტყვა რომელიც პირდაპირ თუ ირიბად არ იქნება მიმართული წინასწარ მოფიქრებულ ნახატთან. ნახმარ ხერხის მეშვეობით, შეთავსებით მხატვრის ცდასთან და შესაძლებლობასთან, სურათი დაბოლოს სრულდება და იწვევს მხატვრული ალლოს საკმაოდ მქონე ადამიანში სრულ დაკმაყოფილების გრძნობას. მთავარი აზრი წარმოდგენილია მის მთლიანობაში, რადგან არავითარი გარეშე ნაკადი არ შერწყმია მას. ასეთ შედეგს რომანი ვერასოდეს ვერ მიღწევს¹.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ავტორიტეტების გარკვეული ნაწილი იმ აზრისაა, რომ ნოველა თავის არსებაში უნდა იყოს შემცველი რაღაც სიახლის, ყოველ შემთხვევაში, მასში ჩვეულებრივიც კი უნდა იყოს დანახული ახალი თვალთახედვით. ყველაფერი ეს საჭიროა ეფექტის ერთიანობისათვის, რადგან მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი მკითხველის უეცარი მოჯადოება. მკვლევარების მთელი რიგი, მათ შორის პეტროვსკი, ეიხენბაუმი და სხვები, სთვლიან რომ ნოველის ერთ-ერთი სპეციფიკური მხარეა სწორედ მოულოდნელი. ეფექტური დასასრული. ლიტერატურათმცოდნეობაში ასეთი აზრი შეფასებული იყო როგორც ფორმალისტური. ხშირ შემთხვევაში ამ ავტორთა ცდა, მაგალითად პეტროვსკის, რეფორმატორსკის და სხვათა, მოექდებნათ ნოველის კონსტრუქციის და არქიტექტონიკის ერთხელ და სამუდამოდ დაკანონებული ნორმები. მართლაც ფორმალისტური იყო, მაგრამ ნოველის მოულოდნელი ფინალის შესახებ მსჯელობისას ისინი არ მისდევენ დოგმებს და სხვათა შორის, სიმართლე მოითხოვს ითქვას, არც თვლიდნენ აუცილებელს ასეთ დასასრულს ყველა ნოველისათვის, ეიხენბაუმი მაგალითად წერდა: „თავისი არსით ნოველა, როგორც ანეკდოტი, აგროვებს მთელ თავის წონას დასასრულისათვის. როგორც სატყორცნი ნაღმი, ჩამოგდებული თვითმფრინავიდან. ის უნდა ჩქარა მიისწრაფო-

¹ Б. Э й х е н б а у м, „О'Генри и его новеллы“, „Звезда“, 1925, №6, გვ. 292.

დეს ქვემოთყენ. რომ მთელი თავისი ძალით დაარტყას საჭირო წერტილს. რასაკვირველია. მე ვლანარაკობ მოცემულ შემთხვევაში სიუჟეტური ტიპის ნოველანზე, განზე ვტოვებ რა მაგალითად რუსული ლიტერატურისათვის დამახასიათებელ ნოველ-ნარკვევას ან ნოველ-თქმას².

ავტორ შკლოვსკი არ იზარებს ამ მოსაზრებას. აცხადებს რა. რომ არსებობს ბევრი ნოველა, რომლის დასასრული არ არის სენსაციური; მიუხედავად ამისა, იგი ემხრობა აზრს, რომ ნოველას და ანექლოტს შორის ბევრია საერთო და ნოველა როგორც დამოუკიდებელი ჟანრი. წარმომდგარია ანექლოტისაგან.

შკლოვსკი ფიქრობს, რომ აღრეული ნოველები დამყარებული არიან საოცარ ამბებზე და შეიცავენ ეროტულ მომენტებს. ამ დებულების დასამტკიცებლად იგი იმოწმებს გოეთეს. რომელიც მოითხოვდა ნოველისაგან რაიმე განსაკუთრებულ სიტუაციას და შლეგელს, რომელიც აახლოვებდა ნოველას ანექლოტთან. შკლოვსკის აზრით აღრეული ნოველები, ისე როგორც ავანტურისტული რომანი, ხასიათდებიან სხვადასხვა მოვლენების და მდგომარეობის სწრაფი შეცვლით. ეს ეხება აღრეულ ე. წ. „სიუჟეტური“ ტიპის ნოველებს, როცა ავტორი არ ჩანს ნოველაში როგორც მთხრობელი. სულ სხვა გარემოებასთან გვაქვს საქმე, როცა ავტორი როგორც მთხრობელი ნოველაში წამოიწევა წინა ხედზე. ამჟამად კომპოზიციის მორგანიზებელი ძალა ეკუთვნის მთხრობელს და იგი აძლევს ტონს მთელ ნოველას. სხვათა შორის, ეს აზრი გამოითქვა ეხეინბაუმის მიერაც.

მკვლევართა მიერ დასმულია არაერთი საინტერესო საკითხი ნოველასთან დაკავშირებით. ასე მაგალითად, იგივე

² В. Э н х е н б а у м, „О'Генри и его повелны“, „Звезда“, 1925, № 6, გვ. 292.

შკლოვსკი გამოთქვამს საინტერესო აზრს, როცა ამბობს, რომ ნოველაში ხშირ შემთხვევაში საქმე გვაქვს პერსონაჟის უკვე ჩამოყალიბებულ ხასიათთან, მაშინ, როცა რომანში ნაწვენებია გმირის ხასიათის ჩამოყალიბება. ეს აზრი ბოლომდე არ ემხრობა შილერის აზრს. საერთოდ ხელოვნების დამოკიდებულება გმირთა ხასიათის მიმართ ცვალებადია. ადრეულ ნოველებს საერთოდ არ ახასიათებთ ყურადღება გმირის მიმართ. ეს არის ძირითადად აზრები საინტერესონი ი. ავიათაევად. მოგვიანოდ ნოველისტები უკვე დიდ ყურადღებას აქცევენ გმირის სულიერ რბევას. ამასეილებენ ყურადღებას ფსიქოლოგიურ მომენტზე. ამ მოსაზრებას ლოგიკურად ავსებს დ. ი. ტომოფეევის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ნოველა არის ერთი მომენტი ადამიანის ცხოვრებიდან, ერთი ეპიზოდი. მაშინ როცა რომანში ასახულია ადამიანის მთელი ცხოვრება. დაახლოებით ასეთ აზრს გამოთქვამდა ბელინსკიც. ამ აზრს მიემხრო თანამედროვე მკვლევარი ევენტოვიც, მაგრამ ამავე აზრმა სასტიკი მოწინააღმდეგე ჰპოვა მკვლევარ სოსკინის სახით. სოსკინი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ნოველაში ასახულია ერთი ეპიზოდი ადამიანის ცხოვრებიდან და წერს: „მაგალითად მოპყავთ თუნდაც ჩეხოვის „დუშენკა“ და „იონიჩი“. შემდეგ კითხულობენ, რა უნდა ვიგულისხმოთ ტერმინით „ეპიზოდი“? ადამიანი გავიდა ქუჩაში და მას ვხედავთ გადაურბინა კატამ. რაა ეს, უკვე შემთხვევაა, ეპიზოდი? მაგრამ მოთხრობა ამით მხოლოდ იწყება. როგორ და მოვიქცეთ შემდეგ“³.

ეს ხომ წმინდა წყლის ვულგარიზმია. როგორ შეიძლება არსებობდეს ეპიზოდის ასეთი გაგება, როცა წერენ, რომ ნოველაში ასახულია ერთი ეპიზოდი ადამიანის ცხოვრებიდან. მეორეც: კატის მიერ გზის გადაჭრა თუ დავაყენეთ ყურადღების ცენტრში, შესაძლოა ეს ინციდენტი თავისთავად გახდეს პატარა ნოველის საბაბი.

³ А. Соскин, „Возможности жанра“, Звезда, 1953, № 5, стр. 148.

წარმოდგენელია სოსკინს არ ესმოდეს, რა იგულისხმება ეპიზოდის ქვეშ, და არ ესმოდეს ისიც, რომ ცხოვრებაში ყოველი მოვლენის დანაწილება და დაკნინება ყოველთვის შესაძლოა.

როგორც ვხედავთ, მთელ რიგ მკვლევართათვის ნოველა, როგორც ჟანრი უდაოდ არსებობს და ისინი გულდასმით ამუშავებენ ცალკეულ საკითხებს მასთან დაკავშირებით. მაგრამ არიან პირები, რომელნიც ნოველას, როგორც ჟანრს, ცალკე არ სცნობენ და აიგივებენ მას მოთხრობასთან. აი რას სწერს მაგალითად კონსტანტინე პაუსტოვსკი: „ყველა თვისება ნოველისა — ეს ის თვისებაა, რომელიც ახასიათებს მოთხრობასაც, ამბავსაც (повесть), რომანსაც. ნოველის განსაკუთრებული სპეციფიკა ჩემის აზრით არ არსებობს“⁴.

მაგრამ, ამავე წერილში პატივცემული მწერალი ვარდება წინააღმდეგობაში, როცა წერს: „ყველაფერი ის, რაც შეიძლება ითქვას ნოველის გარშემო, არსებითად იგივეა, რაც შეიძლება ითქვას პროზის შესახებ, ყველა რომანის, ამბის (повесть) თუ მოთხრობის შესახებ, რომლისაგან ნოველა განსხვავდება თავისი მცირე მოცულობით და მოქმედების განვითარების სისწრაფით“⁵. მაშასადამე, იგივეობის ნიშნის დასმა ნოველასა და მოთხრობას შორის მიზანშეწონილი არაა. პაუსტოვსკი განაგრძობს: „იმისათვის რომ ჩავტიოთ შეკუმშულ ფორმაში დიდი შინაარსი, აუცილებელია გამოვიჩინოთ „სიძუნწე“. ნოველა უნდა იყოს „ძუნწი“. მასში უნდა ევიწროვებოდეს სიტყვებს, მაგრამ სიტყვები უნდა იყოს ნათელი და მეტყველი“⁶. მიუხედა-

⁴ К. Паустовский, „О новелле“, „Литературная учеба“. 1940, № 3, გვ. 68.

⁵ იქვე.

⁶ იქვე.

ვად იმისა, რომ პაუსტოვსკი პრინციპში უარყოფს ნოველას როგორც ჟანრს, ნებით თუ უნებლიეთ, იგი მაინც აღიარებს მის სპეციფიკურ მხარეს: „მცირე მოცულობას“, „მოქმედების განვითარების სისწრაფეს“, „სიძუნწეს“.

ისმის კითხვა, რა კატეგორიაა „სიძუნწე“, რომელსაც ხშირად მოითხოვენ ნოველისაგან, ხომ არ არის ეს ნოველის მცირე მოცულობა? რასაკვირველია არა. ბრწყინვალე ნოველისტი ერნესტ ჰემინგუეი წერდა: „მე ყოველთვის ვცდილობ ვწერო აისბერგის მეთოდით. მისი შვიდი მერვედი დაფარულია წყალქვეშ და მხოლოდ ერთი მერვედია წყლის ზედაპირზე. ყველაფერი რაც იცი, შეიძლება გამოტოვო, ამისგან შენი აისბერგი მხოლოდ უფრო გამაგრდება — უბრალოდ, ეს ნაწილი დაფარულია წყლით. მწერალს, რომელიც ბევრს ტოვებს უვიცობით, გამოსდის მხოლოდ ჩავარდნები“⁷.

ეს ნიშნავს, რომ ნოველაში უნდა იყოს ბევრი თქმული, მცირე მოცულობაში. ამიტომ უნდა იყოს ნოველა „ძუნწი“, შეიჩის ყველაზე უფრო დამახასიათებელი, ყველაზე უფრო საჭირო, ისე რომ მკითხველი მივიდეს დიდ საგანთან დიდი აღწერის გარეშე. სწორედ ამიტომ წერდა ლევ ტოლსტოი: „დიდ მოთხრობაში მკითხველს შეიძლება თვალი აუხვიო შესანიშნავი აღწერებათ, გონებამახვილი დიალოგებით, — ცოტაა განა... აქ თქვენ უნდა იყოთ ჰკვიანი, თქვენ უნდა იყოთ მნიშვნელოვანი — მცირე ფორმა არ განთავისუფლებთ დიდი შინაარსისაგან“⁸. და იგივე კონსტანტინე პაუსტოვსკი აღიარებს: „ყველაზე უფრო უმანკო, ყველაზე უფრო შთამბეჭდავი პროზა — ეს არის შეკუმშული პროზა. მისგან გამოთიშულია ყველაფერი ზედმე-

⁷ „Иностранная литература“, 1962, № 1, გვ. 217.

⁸ „Октябрь“, 1957. № 6, გვ. 197.

ტი, ყველაფერი რაც შეიძლება არ ითქვას და დატოვებულია მხოლოდ ის, რის თქმაც სრულიად აუცილებელია.

მაგრამ იმისათვის, რომ წერო შეკუმშულად, უნდა ის, რაზეც სწერ, იცოდეს იმე სრულად და ზუსტად, რომ გაურჩვლად შეარჩიო ყველაზე უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი, არ გაანელო თბრება ზედმეტი წვრალმანების წყლით⁹.

არსებობს ნოველის კლასიფიკაციის რამდენიმე ცდა. თანამედროვე მკვლევარი ნ. სტეპანოვი გამოყოფს ნოველის სამ ტიპს, როგორც ძირითადს. ეს არის:

1. რომანტიკული ნოველა სიუჟეტურ-ფსიქოლოგიური ტიპის (მერიმე, პუშკინი).

2. ნოველა რეალისტური და ნატურალისტური (ჩეხოვი, მოპასანი).

3. ავანტიურისტული, სიუჟეტურად მძაფრი ნოველა (ო' პენრი, ჩასტერტონი, კონან-დოილი).

სტეპანოვი წერს: „ნოველა „საერთოდ“, არ არსებობს. არიან ნოველები განსაზღვრული ისტორიული პერიოდისა, გამომსატველნი სხვადასხვა ჯგუფის იდეოლოგიის კონკრეტული თავისებურებებისა. არის ნოველები სხვადასხვა ჟანრისა: ავანტიურული, ფსიქოლოგიური, დიდაქტური, იუმორისტული და ა. შ. ეს კლასიფიკაცია შეიძლება განივრცოს, დაკონკრეტდეს კვლავ ბევრ და ბევრ რამეში“¹⁰.

უნდა ითქვას, რომ სტეპანოვი ამ შემთხვევაში ერთმანეთს ურევს ჟანრისა და შინაარსის კატეგორიას. ეს იგივეა, რომ ვთქვათ არ არსებობს რომანი საერთოდ, არსებობს რომანი ფსიქოლოგიური, ავანტიურისტული, ისტორიული და ა. შ. განა ეს კი ეწინააღმდეგება აზრს, რომ რომანი საერთოდ არსებობს?

⁹ К. Паустовский, „Поэзия прозы“, „Знамя“, 1953, № 9, 83-172.

¹⁰ Н. Степанов, „Техника новеллы“, „Знамя“, 1940, № 4, გვ. 26.

არავითარ შემთხვევაში არა. ასევეა ნოველაზე მსჯელობის დროსაც. ის რომ არსებობს ფსიქოლოგიური ნოველა, დიდაქტიკური ნოველა, იუმორისტული ნოველა, კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ ნოველა საერთოდ არსებობს.

რა ნიადაგზე წარმოიშვა იგი? ნოველის წარმომშობი მიზეზები ახსნილი აქვს ბელინსკის. იგი წერს: „ჩვენ საქმიანი ხალხი ვართ, ვზრუნავთ. ჩვენ ვუფრთხილდებით დროს, ჩვენ არ გვცალია წავიკითხოთ დიდი და გრძელ: წიგნები — ერთი სიტყვით ჩვენ გვჭირდება ამბავი (повесть)¹¹. ჩვენი თანამედროვე ცხოვრება მეტად მრავალფეროვანია, მრავალსახიანი. დატეხილი: ჩვენ გვინდა რომ იგი აისახოს პოეზიაში როგორც თლილ წახნაგოვან ბროლში, მილიონჯერ განმეორებული ყველა შესაძლებელ სახეში და ვთხოულობთ ამბავს (повесть).

არის მოვლენები, არის შემთხვევანი, რომელნიც, ასე ვთქვათ, არ ეყოფიან რიამასს, მაგრამ რომელნიც არიან ღრმა, რომელნიც ერთ წამში აგროვებენ იმდენ სიცოცხლეს, რამდენსაც ვერ გამოლევს საუკუნეებში: ამბავი (повесть) იჭერს მათ და ათავსებს თავის ვიწრო ჩარჩოში. მის ფორმას შეუძლია დაიტეოს ყველაფერი, რაც გნებავთ — მსუბუქი ნარკვევი ზნეობისა, მწვავე სარკასტული დაცინვაც ადამიანისა და საზოგადოების, სულის ღრმა იღუმალეზაც, ვნებათა ცხარე ღელვაც. მოკლე და სწრაფი, მსუბუქი და ღრმა იმავე დროს, იგი დაფრინავს საგნიდან საგანზე, ანაწილებს ცხოვრებას წვრილმანებზე და ამოგლეჯს ფურცლებს ამ ცხოვრების დიდი წიგნიდან... შეაერთეთ ეს ფურცლები ერთ ყდაში — და როგორი დიდი წიგნი, როგორი დიდი რომანი, როგორი მრავალსახოვანი პოემა. შესდგება მათგან... რომანი და ამბავი (повесть), ერთადერთი.

¹¹ ცნობილია, რომ ბელინსკი ნოველას ხშირად ამბავს (повесть) უწოდებდა. ამბის დამწერთ კი „ნოველისტებს“. ასე რომ მოყვანილ ციტატაში ბელინსკი საუბრობს სწორედ ნოველაზე.

სახეობანი არიან, რომელნიც წარმოიშვნენ ჩვენ ლიტერატურაში არა იმდენად მიმბაძველობით, რამდენადაც მოთხოვნილების შედეგად¹². ცხადია, მკითხველის მოუცლევლობით ნოველის წარმოშობას ვერ ავხსნით, მაგრამ სხვა მხრივ ბელინსკისეული ნოველის დახასიათება უთუოდ ღრმა და მეტად საინტერესოა.

სხვადასხვა ქვეყანაში ნოველა კულტივირებული იყო ცოტათ თუ ბევრად სხვადასხვა მიმდინარეობის ნიშნის ქვეშ. ასე მაგალითად საფრანგეთში პრიორიტეტი შედარებით მეტი ჰქონდა ნატურალისტურ ნოველას, რუსეთში — რეალისტურს. რასაკვირველია, საკითხის ასე გადაჭრით დაყენება არ იქნება მართებული, და ამ დებულების კატეგორიულად წამოჭრა მიზანშეწონილი. ასე მაგალითად, იმპრესიონისტულმა ნოველამ მოიარა ყველა ქვეყანა. (რასაკვირველია, საუბარია განვითარებული ლიტერატურის ქვეყნებზე).

საინტერესოა, რა გზებით წარიმართებოდა ნოველის განვითარება საქართველოში.

როგორც ცნობილია, ცხოველების შესახებ დაწერილ ზღაპრის ძველი ზეპირსიტყვიერი ფორმა გამოყენებული იყო აღმავალი ბურჟუაზიის მიერ, როგორც ბრძოლის ფორმა შუასაუკუნეობრივი ფეოდალური იდეოლოგიის წინააღმდეგ. ცხოველის სახით ასეთ ზღაპრებში გამოყვანილი იყო ხან ბერი, ხან რაინდი; იგავ-არაკების გვერდით ვითარდებოდა პატარ-პატარა ზეპირსიტყვიერი მოთხრობები, რომელნიც უკვე პირდაპირ დასცინოდნენ გამოყვეყჩებულ ფეოდალებს, რაინდობას, გაიძვერა ბერებს. ეს იყო იტალიური ნოველა, ფრანგული ფაბლიო, გერმანული შვანკი. აქედან წარმოიშვა ნოველა.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ აღრეულ ნოველას კავშირი აქვს ცხოველების შესახებ დაწერილ ზღაპართან, იგავ-არაკთან, მაშინ ქართულ ლიტერატურაში პირველ ორიგინალ-

¹² В. Г. Белянский, Собрание сочинений в III томах, т. I, 1948, м. გვ. 112—113.

ლურ კრებულად აღრეული ნოველებისა „სიბრძნე სიცრუისა“ უნდა ჩავთვალოთ¹³. რასაკვირველია, სულხან-საბა ორბელიანის მიზანი უფრო ფართე და უფრო დიდი იყო, ვიდრე მხოლოდ მანკიერი მხარეების გამომწეურება. „სიბრძნე სიცრუისა“ უფრო მეტად დიდაქტიკური ხასიათის თხზულებაა, მიუხედავად ამისა, მისი პატარ-პატარა, სხარტი არაკები ტიპიურ აღრეულ ნოველებს წარმოადგენდნენ, ხოლო მისი არქიტექტონიკა უკვე ცნობილია მსოფლიო ლიტერატურისათვის. იგივე კომპოზიცია, (ერთი ან რამდენიმე პირის მიერ ამბების მოყოლა), დამახასიათებელია ისეთ „აღრეულ ნოველების“ კრებულად აღიარებულ ნაწარმოებისათვის, როგორცაა სპარსული „ქილილა და დამანა“, არაბული „ათას ერთი ღამის ზღაპრები“. ამავე წესითაა აგებული პირველი ცნობილი ნოველისტის ბოკაჩიოს „დეკამერონი“. თუ საბა-სულხან ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ მივიჩნევთ აღრეულ ნოველების კრებულად, უნდა ვაღიაროთ, რომ მას შემდეგ ქართული ლიტერატურის სარბიელზე ნოველა დიდხანს აღარ ჩნდებოდა და თითქმის სრულიად იკარგება XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ცოტაა ისეთი ნაწარმოები, რომელიც უკმათოდ შეიძლება მივიჩნიოთ ნოველად. მოგვიანებით ჩამოყალიბებულ ნოველის ერთგვარ მაგალითს წარმოადგენს ნ. ლომოურის „ალი“, ეგ. ნინოშვილის „პალიასტომის ტბა“, ეკ. გაბაშვილის „თინას ლეკური“, „ღვინია გადაიჩეხა“, „მაგდანას ლურჯა“.

ნოველის ჭეშმარიტი აღზევება ქართულ ლიტერატურაში დაკავშირებულია შიო არაგვისპირელის, ჭოლა ლომთათიძის, ნიკო ლორთქიფანიძის სახელებთან. ნოველამ, როგორც სრულ-

13. სულხან-საბა ორბელიანს, როგორც ნოველისტს იხსენიებენ ვ. კოტეტიშვილი და გ. ნატროშვილი „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე 1934 წელს. კ. გამსახურდიამ იმავე გაზეთის ფურცლებზე გამოსთქვა საწინააღმდეგო შეხედულება, თუმც თავის მოგვიანებით დაწერილ წერილებში. საბაზე. ისიც იხსენიებს ორბელიანს. როგორც ნოველისტს.

ფასოვანმა ჟანრმა ყველაზე უფრო სრული განვითარება ჰპოვა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, ამიტომაც ქართული ნოველის ისტორია, არსებითად არის ქართული საბჭოთა ნოველის ისტორია. ნოველის გარშემო ლიტერატურათმცოდნეობაში კვლევა-ძიებაც არსებითად თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში მიმდინარეობს, რადგან როგორც საკვლევი მასალა, როგორც ჟანრი, ნოველა თანამედროვე ლიტერატურაში ჩამოყალიბდა.

ნოველასთან დაკავშირებული საკითხების დაყენებით, უთუოდ მნიშვნელოვანი იყო საქართველოში „ლიტერატურული გაზეთის“ ფურცლებზე გამართული პოლემიკა 1934 წელს. საინტერესო მოსაზრებები გამოსთქვეს ქართველმა მკვლევარებმა და მწვრტლებმა. ასე მაგალითად, ვასტანგ კოტეტიშვილმა ნოველის წარმოშობის დრო, ბევრად უფრო უკან გადასწია. მისი აზრით „ნოველა, როგორც სხვა ძრავალი პოეტური სახე, ძველის-ძველი დროიდან მომდინარეობს. ეგვიპტეში, ე. წ. დემოტიურ-ისტორიული რომანები, განსაკუთრებით „სეთონისა“ და „პეტუბასტის“ ციკლთა ირგვლივ (კაიროს, ვენის, სტრასბურგის პაპირუსები), უეჭველად ნოველებს უფრო უახლოვდება ვიდრე რომანებს“¹⁴. იზიარებს რა ზოგი ევროპელი მეცნიერის მოსაზრებას, კოტეტიშვილი ნოველის სამშობლოდ აღმოსავლეთს მიიჩნევს და არა ევროპას. კოტეტიშვილს, ისე როგორც სხვა მთელ რიგ მკვლევარებს (როდეს, ვესელოვსკის), შეუძლებლად მიაჩნია ნოველის წარმოდგენა რომანის ემბრიონად. მკვლევარი გამოჰყოფს ნოველის სამ სპეციფიკურ ნიშანს: 1. სიტუაციის ერთიანობა (რომანში სიტუაციის მრავალგვარობა);

¹⁴ ვ. კოტეტიშვილი. „ნოველა“. „ლიტერატურული გაზეთი“, 1934, 30 ოქტომბერი.

2. მზა პერსონაჟები და ხასიათი;

3. აღნაგობის ხერხი-რკალისებური ან კიბური სისტემა, ან ან ორი სისტემის კომბინაცია;

(კოტეტიშვილი ხსნის: „პირველ შემთხვევაში ამბავი ისე ვითარდება, რომ იმისმა დასასრულმა — დასაწყისთან უნისონი შექმნას, ე. ი. გარკვეული წრე შემოხაზოს და დაიკეტოს. მეორე შემთხვევაში ამბავი აღმავლობის გზით ვითარდება, ამბის ელემენტთა დაფენილობის გზით, რომ თანდათანობით გაიშალოს უკანასკნელ საქცევამდე და დაიკეტოს. მესამე შემთხვევაში კი, ამბავი ჩაღმავლობით დაიწყება და აღმავლობით გათავდება, ქცეული საფეხურების დაცვითა და თავბოლოს უნისონური შეფარდებით“¹⁵).

არსებითად კოტეტიშვილი ახალს არაფერს ამბობს. ნოველის სპეციფიკური ნიშნების გამოყოფის დროს. ხოლო მისი მესამე დებულება ნოველის არქიტექტონიკის შესახებ. შეიძლება მიესადაგოს ყველა მხატვრულ ლიტერატურულ ნაწარმოებს საერთოდ.

გ. ნატროშვილი წერილში „ძველი და ახალი ნოველა“ ძირითადად იხილავს ლ. ქიაჩელის ნოველებს, შავრამ შესავალ ნაწილში ყურადღებას უთმობს აგრეთვე ზოგიერთ თეორიულ მოსაზრებასაც. წინააღმდეგ კოტეტიშვილისა. ნატროშვილის აზრით „შეერთებული ნოველები იყო წინამორბედი თანამედროვე რომანისა“¹⁶; ნატროშვილი აღნიშნავს აგრეთვე, რომ ნოველას რომანისაგან სიუჟეტის სიმარტივე ასხვავებს. საკმაოთაა ნატროშვილის დებულება იმის შესახებ, რომ „ნოველა გამოსაცდელი რამაა, მწერლის სკოლაა“.

საინტერესო შენიშვნებით გამოდის გაზეთში კ. გამსახურდია. იგი აღნიშნავს, რომ „ნოველის პირველი ნიშანი არამც და არამც არაა სიმოკლე, რადგან ეს რომ ასე იყოს, მაშინ ყოველი კულა მოთხრობა ნოველა იქნებოდა და გრძელი კიდევ რო-

¹⁵ ვ. კოტეტიშვილი, „ნოველა“, „ლიტერატურული გაზეთი“. 1934, 30 ოქტომბერი.

¹⁶ გ. ნატროშვილი, „ძველი და ახალი ნოველა“ „ლიტერატურული“. 1934, 12 ოქტომბერი.

მანი“; შემდეგ: „არც სიმარტივე სიუჟეტის ჩაითვლება ნოველის უცილო ნიშატად“¹⁷. ცხადია, „უცილო ნიშატად“ ნოველისა, ვერც სიმოკლე და ვერც სიუჟეტის სიმარტივე ვერ ჩაითვლება, გამონაკლისები ყოველთვის იქნება, მაგრამ უმეტესი რაოდენობა ნოველებისა ხასიათდება ამ თვისებებით, (რა გარემოებით არიან ისინი გამოწვეულნი, ეს სხვაა) და აქ უკვე რაოდენობა თვალსაზრისით გადადის. კ. გამსახურდია „ლიტერატურულ გაზეთში“ მოთავსებულ წერილში გამოსთქვამს აზრს, რომ ნოველა, ისე როგორც ტრაგედია დაკავშირებულია მითოსთან. იგი წერს: „შესაძლებელია ნოველაში ყოველივე შესაძლებელის, მიუცილებელის, უკვე შემთხვეულის ან შესაძლებლად შემთხვეულის ფარგლებში ტრიალებდეს, მაგრამ ნოველაში უთუოდ უნდა იყოს ერთი უეცარი. შესაძლებელი, პოზიციურად დაუჭერბელი ეპიზოდი — აი სწორედ ეს გაზღავთ ნოველის კიპი. სწორედ ეს მომენტი გულისხმობს ნოველის კავშირს მითოსთან“¹⁸.

როგორც ვხედავთ ამ დებულების პირველი ნაწილი ერთგვარად ტრადიციულია, მაგრამ უთუოდ ორიგინალურია ნოველის მითოსთან დაკავშირება.

გამომდინარე მითოსის და ნოველის ურთიერთობიდან, გამსახურდია მიდის იმ დასკვნამდე, რომ არცერთ რეალისტს ჭეშმარიტი ნოველა არ შეუქმნია. იგი წერს „პარადოქსი არ გეგონოთ: არც ერთ რეალისტს, არც ნატურალისტს, არც ულტრარეალისტს და კონსექვენტურ ნატურალისტს კანონიერი ნოველა არ დაუწერია“¹⁹, ეს დებულება მართლაც უცნაურად ეღერს; რადგან მსოფლიო ლიტერატურას უხვად ჰყავს ბრწყინვალე ნოველისტები — რეალისტური სკოლის. წარმომადგენელი.

¹⁷ კ. გამსახურდია, ნოველა „ლიტერ. გაზეთი“, 1934. 12 დეკემბერი (ორთოგრაფია სიტყვისა (ნოველა—ავტორისეულია).

¹⁸ იქვე.

¹⁹ იქვე.

მოულოდნელია კ. გამსახურდიას აზრი იმის შესახებ, რომ „ნოველა საშუალო ფორმაა რომანსა და იგავს შორის“, მიუხედავად შემდეგი ახსნისა რომ ნოველას „რომანთან აერთიანებს ერთი. ორი ან რამდენიმე რკალის ფაბულარული გაშლა, განვითარება და ბოლოს შესკვნა, ხოლო იგავთან მზახასიათიანი პერსონაჟები“²⁰. ავტორი ნოველას ადარებს სონეტს. იგი წერს: „ნოველა პრაზაში იგივეა, რაც ლექსში სონეტი, ნოველაში აქცენტი ესმება სიმკვრივეს, სიმოკლეს და ეკონომიას თხრობისა — კონდენსაციას. და ნოველის ფაბულარული განვითარება ისეთი ძლიერი კრეშენდოთი მიილტვის ფაბულის შესკვნიდან ფაბულის შეხსნამდე, რომ მას რომანიტური სიგრძე და სიგრძე უთუოდ აუტანელად გახდიდა“²¹. როგორც ვხედავთ, ამ დებულებით კონსტანტინე გამსახურდია ხსნის სწორედ ნოველის მოცულობის სიმცირეს, რომელიც მას სხვა ადგილას ნოველის არსებით ნიშნად არ მიაჩნდა.

დისკუსია ნოველის გარშემო 1934 წელს, უთუოდ მეტად საინტერესო და აქტუალური იყო.

ბევრმა თანამედროვე მკვლევარმა ცალკეული ნოველისტის შემოქმედებას უძღვნა შრომები, მათ შორის სერგი ჭილაიამ, დიმიტრი ბენაშვილმა, ბესარიონ ჟღენტმა, აკაკი გაწერელიამ, ვიოლეტა ცისკარიძემ; ს. ჭილაიამ გამოაქვეყნა სპეციალური წერილიც „ქართული საბჭოთა ნოველა“, რომელშიც განხილულია ქართველი ნოველისტების ნიკო ლორთქიფანიძის, მიხეილ ჭავჭავიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლეო ჭიაჩელის და სხვათა ნოველები.

თითქმის ყველა მკვლევარი შეთანხმდა საკითხში, რომ ქართული ნოველაც ვერ აცდა იმპრესიონიზმის ერთგვარ გავლენას ათიან და ოციან წლებში, მაგრამ საბოლოოდ ქართულმა ნოველამაც არ გადაუხვია ქართული ლიტერატურის მაგისტრალურ ხაზს — რეალიზმს. ქართული ნოველის ეს ევოლუცია თავისებურად აისახა თანამედროვე ქართული ლიტერა-

²⁰ კ. გამსახურდია, ნოველა. „ლიტ. გაზეთი“. 1934, 12 დეკემბერი.

²¹ იქვე.

ტურის ერთ-ერთი უბრწყინვალესი წარმომადგენლის ნიკო
ლორთქიფანიძის შემოქმედებაში.

X X X

ნიკოლორთქიფანიძე სამწერლო ასპარეზზე გამო-
ვიდა მაშინ, როცა ქართული ლიტერატურის ისტორიაში საინ-
ტერესო ძვრები ხდებოდა. ეს იყო XIX საუკუნის მიწურული
და XX საუკუნის დასაწყისი. ქართულ სინამდვილეში იჭრებო-
და „ევროპეიზმი“, ლიტერატურაში შემოდიოდა ახალი სა-
წეები. ენარება, განწყობილებანი. ქართული ლიტერატურა
დაინტერესდა ესკიზებით, მინიატურებით, ნოველებით. ქარ-
თული კლასიკური თექვსმეტმარცვლოვანი შაირი ხშირად იცე-
ლებოდა სონეტით, ტრიოლეტით. უნდა აღინიშნოს, რომ „ევრო-
პეიზმი“ ქართულ ლიტერატურაში არსებითად მხოლოდ ლი-
ტერატურულ ფორმას და სტილს შეეხო, ხოლო მისმა შემომ-
ტანებმა არ უღალატეს ქართული ლიტერატურის ტრადიციას
და დიდ რეალისტებად დარჩნენ. ახალ გატაცებებს, წერის
ახალ მანერას და სტილს, სხვადასხვაგვარად აფასებდნენ. ვახ-
ტანგ კოტეტიშვილი წერდა 1920 წელს „ეურნალ“ „ლეილაში“:
„ქართულ ხელოვნების დაცარიელებულ დარბაზს აღარავინ
სდარაჯობს. მხოლოდ ვიდაც „ფრაკით“ შეიჭრა შიგ და კედ-
ლებიდან ხალიჩები ჩამოხსნა... „ობა“-„იზმით“ კარგა ხანია შე-
იკვალა და ასე აპირებენ განგრძობას. ყველა ევროპულობის
ციებ-ცხელებაჲ შეიპყრო, ყველას უნდა ბინოკლის შეფერება...
ევროპამ შეგვშალა და ალბათ წაგვშლის კიდევაც, თუ ასე გა-
გრძელდა“.

საბედნიეროდ, ევროპამ ვერაფერი დააკლო ქართულ მწერ-
ლობას. ქართულმა ლიტერატურამ თუ კი რაიმე გადმოიღო
ევროპიდან, მაშინვე ეროვნულ ნიადაგს დაუკავშირა. შეიძლე-
ბოდა კი რომ ქართული ლიტერატურა განზე დარჩენილიყო
იმ ენართა მრავალგვარობისაგან, რომელიც XX საუკუნემ წარ-
მოშვა? ალბათ, არა, ქართულ ყოფაში შემოდიოდა ელექტრო-
ნი, მანქანა, კინემატოგრაფი, ეცნობოდნენ მსოფლიო ლიტე-
რატურის საუკეთესო თანამედროვე მხატვართა შემოქმედებას,

ღრმად სწავლობდნენ ფილოსოფიას. ყველაფერი ეს იყო XX საუკუნე და ყველაფერი ეს აისახა ლიტერატურაში და აისახა ისე, როგორც უნდა ასახულიყო — ქართველი კაცის თვალთახედვით. მიმბაძველობით შექმნილი ნაწარმოები თუ კი იქმნებოდა. იქმნებოდა მწერლის შემოქმედების დასაწყისში, მისი პროფესიონალური მოუწიფებლობის პერიოდში. იშვიათად შეხვდებით ამ პერიოდში მწერალს, რომელსაც არ აწუხებდეს თავისი ხალხის სატკივარი. სამშობლოს ბედი, არ იყოს დაინტერესებული სოციალური საკითხებით. ქართული ლიტერატურა გამდიდრდა ახალი ჟანრებით, სახეებით. მაგრამ მას არ გადაუხვევია ძირითადი გზიდან. იგი კვლავ დარჩა მაღალი გემოვნების, დიდი იდეების. ამალღებული ეროვნული ლიტერატურა.

პატრიოტიზმი და დიდი ჰუმანურობა იყო მთავარი ძარღვი ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში. ღრმა ლირიზმით არის ამეტყველებული მისი დიდი მოთხრობები თუ პატარა ნოველები, ესკიზები თუ მინიატურები. მიძღვნილი სამშობლოსადმი, სულერთია ენებიან ისინი მის ისტორიულ წარსულს თუ წარმოსახვენ მწერლის თანამედროვე ცხოვრებას.

ნიკო ლორთქიფანიძის ადრეული ესკიზებიდან ბევრი უთუოდ არის ლექსები პროზად, ლამაზი, რიტმული, ოქრომკედლური ნაკეთობის. ერთი ამოსუნთქვით დაწერილი. უნდა აღინიშნოს, რომ მათ უფრო ესთეტიკური ტკბობის მიზანი აქვთ და ნაკლებად ატარებენ უფრო ღრმა პრობლემის სიმძიმეს; მაგრამ უკვე პირველსავე ნაწარმოებებში. გვხვდება ისეთი, რომელნიც საუკეთესონი რჩებიან ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში. განსაზღვრავენ მის იდეურ და მხატვრულ მრწამსს. მხედველობაში გვაქვს ნოველა „მთვარიანი ღამის ჩრდილში“ და მინიატურა „გული“.

ნოველაში „მთვარიანი ღამის ჩრდილში“ ნიკო ლორთქიფანიძე გვევლინება როგორც სიტყვის ჩამოყალიბებული ოსტატი. უზადო, წერის ტექნიკის თვალსაზრისით. უაღრესად ლაკონური თხრობა, საკირო ტონი და ფერები; ნიკო ლორთქიფანიძისათვის ჩვეული ლირიზმი; ჩვენ თვალწინ გაივლებს ერთი ფრაგმენტი „დიდი წიგნიდან“. აი, შარაგზაზე მოდის რამდე-

ნიმე ურემი და შეზარხოშებული ცხენოსანი — ბრუნდებიან სტუმრადნამყოფი სოფლები. ურემზე მჭდომ ქალიშვილს მალულად ეტრფიალება ვაჟი. გოგონა ინაზება, შემდეგ პირობას აძლევს „შენს მეტს თუ გავყვე, ღმერთი გამიწყრეს, დედა წამიწყდეს“. გოგონას მამა კი სხვა სასიძოზე ფიქრობს.

„მთვარიანი ღამის ჩრდილში მზადდება ღრამა.

ქალაღზე კი არ დაიბეჭდება. მსახიობები კი არ წარმოადგენენ, ცხოვრების ჭრელ დაფაზე შეეტაკებიან ხასიათები: იქნება ბრძოლა ნებათა, სურვილთა, ძალთა და უფლებათა. დამარცხებული ველარ იხარებს მთვარიანი ღამის ჩრდილში“²². ესაა და ეს — პატარა ამბავი. ანატოლ ფრანსი წერდა: „გამოგიტყდებით. მე უსასრულოდ მიყვარს ყველაფერი, რაც დასრულებული არ არის. მე მეჩვენება. რომ სამყაროში არსებობს მხოლოდ ფრაგმენტები და ნატეხები. აი ისინი აძლევენ სულს წარმოდგენას სრულქმნილებაზე“²³. და თუ მართლაც შესაძლებელია მკირედით დაინახო დიდი, ნაწყვეტით შეიგრძნო უსასრულოება, აუცილებლად უნდა მოიხიბლო ამ პატარა კოლორიტული ნოველით. შეიგრძნო იმერეთის მთვარიანი ღამის ჩრდილი.

აღნიშნული ნოველა დამახასიათებელია ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებისათვის. როგორც თემის არჩევით. ისე მასალის დამუშავების გზებითაც. და თუმცა იგი ლორთქიფანიძის ადრეულ ნოველებს ეკუთვნის, მისწრაფვის იმ გზისაკენ, რომლითაც წარიმართა ნ. ლორთქიფანიძის საუკეთესო თხზულებანი.

უნდა აღინიშნოს, რომ ნიკო ლორთქიფანიძის ადრეულ ნაწერებში მრავალგვარი და მრავალსახის ნოველები გვხვდება. ესაა სრულიად ლირიული, უსიუჟეტო „წინათ და ახლა“, რომელიც სიყვარულის დაღადის წარმოადგენს, ესაა ნოველა-ანექდოტი „გათხოვეს“, ესაა დიდაქტიკური ქადაგება „ოჯახი“, ესაა სარწმუნოებრივი ექსტაზით დაწერილი „და ქრისტე აღდგა ჩემ გულში“. უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ მათგანში ნ. ლო-

²² ნ. ლორთქიფანიძე, თხზულებათა სრული კრებული ოთხ ტომად. ტ. 1, 1958. გვ. 17. (შემდეგში ყველა ციტატა ამ გამოცემიდან).

²³ А. Ф р а н с, Собрание сочинений, т. 8, 1960, გვ. 549.

რთქიფანიძე გვევლინება როგორც არათანაბარი სიძლიერის მხატვარი, ბევრ მათგანს აკლია ლორთქიფანიძის სიტყვის მაღლი და ლაზათი, მაგრამ ამ ადრეულ ნაწერებშიც ყველგან იგრძნობა ნ. ლორთქიფანიძე—ერუდიტი და მოაზროვნე მწერალი. თუ პოლ ლაფარგს დავენდობით „არამოაზროვნე მწერალი მხოლოდ ხელოსანია“. მაგრამ მხოლოდ მოაზროვნე მწერალიც ვერ მოგვანიჭებს ჩვენ დიდ სიხარულს და ალტაცებას, ამიტომაც ბევრი ზემოთ ჩამოთვლილი მოთხრობა თუ ნოველა ვერ შევა ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედებით აქტივში. საყურადღებო და მნიშვნელოვანი ნაწარმოებია ამ პერიოდში „უიალქნოდ“²⁴. უკვე სათაურშივე გამოთქმულია ის პესიმიზმი, რომელიც თვით ნაწარმოებშია ჩაღვრილი, ის ქაოტურობა, რომელიც სუფევს ნაწარმოების გმირის კვიხაშვილის მსოფლმხედველობაში. მეგობარს მეგობართან მოაქვს ვინმე კვიხაშვილის ჩანაწერები — ის ოდესღაც მისი მეგობარიც იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ მისი ჩანაწერების გადარჩენა მოუსურრებია. კვიხაშვილი ერთ დროს ბრწყინვალე ახალგაზრდა ყოფილა, შემდეგ კი ვინმე მეძავ ქალს გადაჰკიდებია. დაგლაზავებულა, გალოთებულა. კვიხაშვილის მეგობარი სიკო ამ მეძავ ქალს კვიხაშვილის საფლავზე ხვდება, მიყვება შინ ჩანაწერების წამოსაღებად, მაგრამ ასეთი კეთილშობილური მიზნებით მისულს, ავიწყდება ყველაფერი და ბღალავს ადამიანის მაღალ მოვალეობის გრძნობას, ღამეს ატარებს კვიხაშვილის ქვრივთან. შემდეგ თვითონ სასოწარკვეთილი თავისი მოქმედებით მირბის მეგობართან, გაენდობა მას და კვიხაშვილის ნაწერებსაც მას უტოვებს. ეს არის „უიალქნოდ“ პირველი ნაწილი, მეორე კვიხაშვილის ჩანაწერებს შეიცავს. ისმის კითხვა, რა უნდა მივაკუთვნოთ „უიალქნოდ“. ეს არც რომანია. არც მოთხრობა, არც ნოველა. ცალკე ნოველად შეიძლება მოკვეთილი იყოს „უიალქნოდ“, პირველი ნაწილი, მეორე შეიძლება არსებობდეს სავსებით დამოუკიდებლად, როგორც ე. წ. „ეპისტოლარული“ ლიტერატურის ნიმუში. საერთოდ ნიკო ლორთქიფა-

24 ნ. ლორთქიფანიძე, ტ. 8, გვ. 7.

ნიძისათვის ჩვეულია ასეთი გართულებული კომპოზიციები, მოვარგონოდ თუნდაც „ხელოვანთა ყავახანა“ და სხვა. თუმცა ნოველების ავტორთათვის ასეთი კომპოზიციები იშვიათი არ არის, მაინც ისინი უფრო ჩამოყალიბებულ და ტრადიციულ ხასიათს ატარებენ სხვაგან. ასე მაგალითად, ვიქტორ შკლოვსკის აზრით, „ნოველათა სისტემატიზაციის საშუალებანი შეიძლება არსებობდეს ერთდროულად. „დეკამერონის“ ნოველები გაერთიანებულნი არიან იმით, რომ მონათხრობი არიან ახალგაზრდა საზოგადოებით, რომელნიც ქალაქს განერიდნენ ჰირის გამო. ცალკეული დღეები გაერთიანებულნი არიან თემატიკურად. დიდ, მომცველ ნოველას, რომელიც აერთიანებს სიუჟეტების რიგს. ეწოდება ჩარხო²⁵. და მაინც ნ. ლორთქიფანიძის „უილქნოდ“ არ არის ნოველების შენაერთი, ეს სტიქიური ნაწარმოებია უანრული თვალსაზრისით, ღრმად გაფიქრებული საქმელის თვალსაზრისით, თუმცა-ღა რიგ შემთხვევებში შემცდარი და უმართებულო. მაინც ბევრი რამ ამ ნაწარმოებში დანახულია ნოველისტის თვალხედვით, მოკვეთილია ნოველისტის მიერ და რადგან „უილქნოდ“ საყურადღებო ნაწარმოებია ნ. ლორთქიფანიძის ამ პერიოდის ნაწარმოებებში, ჩვენ გვინდა შევეხოთ მას სწორედ ამ ასპექტით. ვიპოვოთ მასში ნ. ლორთქიფანიძე — ნოველისტი.

..ვანა მწერალს. როგორც ყველა ადამიანს, ცოტა ჰყავს ნაცნობი, რომელიც მზის დაბნელებასავით ერთხელ უნახავს, რომელზედაც გაუგონია ორიოდ სიტყვა და უბრალო შეხვედრაც მესხარებიდან ვერ აღმოუფხვრია? განა უფლება არა აქვს ბელეტრისტს შემთხვევითი შეხვედრანი, ყურმოკრული ხმები, წუთიერი შთაბეჭდილებანი გადასცეს თავის მეგობარ მკითხველს?“—წერს ნიკო ლორთქიფანიძე და აგრძელებს: „მე სხვადასხვა სურათს მოგაწვდენ ცხოვრებიდან. მათი ერთმანეთთან შეკავშირება შენთვის მომინდვია... მე მაინც მგონია, რომ მკითხველს მეტი ადვილი უნდა დაეთმოს ფანტაზიისათვის, შემოქმედებისათვის.. მკითხველს მოსწყინდა ყველაფერი უკვე შემუ-

²⁵ В. Шкловский, „Художественная проза, размышления и разборы“. 1959. М., гл. 145.

შავებული, თავ-თავის ადგილზე კპოვოს²⁶ — წერს „უიალქ-
 ნოდ“-ის დასაწყისში ნ. ლორთქიფანიძე. მეტად საყურადღებო
 აზრია დიდი მხატვრისა. ხშირად იგი შეფასებული იყო, რო-
 გორც ლორთქიფანიძის მიერ იმპრესიონიზმის პოზიციებთან
 მისვლა. ჩვენ არ ვიტყვით, რომ ნ. ლორთქიფანიძისათვის უც-
 ხოა იმპრესიონისტული გატაცებანი. მაგრამ მის მიერ წამოყე-
 ნებული ეს დებულება არავითარ შემთხვევაში არ არის იმპრე-
 სიონიზმის დეკლარაცია. აქ არის ნაგულისხმები, ის, რასაც თავ-
 ვის დროზე გულისხმობდა ბელინსკი. როცა ნოველის სპეცი-
 ფიკას ეხებოდა, ის, რასაც გულისხმობდა ჰემინგუეი, როცა ამ-
 ბობდა, რომ მწერალს: თუ მან იცის რაზეც წერს, შეუძლია გა- :
 მოტოვოს ბევრი რამ და მკითხველი გამოტოვებულს ისევე
 ცოცხლად აღიქვამს თუ კი მწერალი მართლად წერს. ეს არის
 დაოსტატებული მწერლის მოთხოვნილება და არა მართო
 მწერლის, არამედ თანამედროვე მკითხველისაც. თუ გნებავთ
 ეს არის ეპოქის მოთხოვნილებაც. ჩვენ ასლა თითქმის ყოველ-
 თვის შეგვიძლია გავარჩიოთ ეკუთვნის თუ არა XX საუკუნეს
 მწერალი, მისი წერის მანერის მიხედვით: თანაც ხანდახან შეგ-
 ვიძლია შევამჩნიოთ ისიც. რომელ კონკრეტულ პერიოდს XX
 საუკუნისა ეკუთვნის იგი. რასაკვირველია, ეს არის სრულიად
 სხვადასხვა ინდივიდუალობის მწერლები, სხვადასხვა თემით.
 მისი სხვადასხვანაირი გადაწყვეტით, მაგრამ მათ თვალთახედ-
 ვაში, მათ მხატვრულ აზროვნებაში იგრძნობა XX საუკუნის
 ადამიანი. ნიკო ლორთქიფანიძე XX საუკუნის პირველ ათეულ
 წლებს განეკუთვნება არა მართო ბიოგრაფიულად, არამედ
 მხატვრული აზროვნების მიხედვითაც. თვითონ „უიალქნოდ“-
 ის ფორმაც ამითაა განპირობებული. მაშინ ხშირი იყო ასეთი
 ნაწარმოებები. რომელნიც თვით ლორთქიფანიძის სიტყვით
 რომ ეთქვათ: „არც ლექსია. არც პროზა. არც რეალისტურია,
 არც დეკანტური; არც სურათებია და არც საჩქაროდ გამო-
 ხატული ესკიზია“, და იქვე მწერალი აფასებს ასეთ ნაწარმოე-
 ბებს: „ფასიც ამას აქვს — მივუგე მე გაცხარებით — ავტორის
 ყურადღებას მწერლობის დარგები კი არ იპყრობდა, არამედ

26 ნ. ლორთქიფანიძე, ტ. I, გვ. 71.

გულში რაღაც ცეცხლი ჰქონია და მისი გამოთქმა ნდომებია. შეიძლება ვერ იყოს ხელოვნურად შეკონილი, მაგრამ შთაბეჭდილებას მაინც მოახდენს მასზე. ვისაც ასეთი რამ გულში უღვივის²⁷. უნდა ვთქვათ, შთაბეჭდილებას მართლაც ახდენს ზოგიერთი ლამაზი ფრაზა, კარგი მუსიკალური სმენით დაწერილი ზოგიერთი ადგილი, მაგრამ ხანდახან გაღიზიანებთ კიდევ მოქარბებელი სენტამენტალიზმი, დამტვერილი პოეტური აქსესუარები — ველები, ჩანჩქერები, სალი კლდეები. ბევრი ნაწყვეტი კვიხაშვილის ნაწერებიდან ფილოსოფიურ ქვეტექსტს შეიცავს, გაუმართლებელს და მიუღებელს ჩვენთვის. რაც მთავარია არც ახალს და არც ორიგინალურს. ესეც XX საუკუნის პირველი ათეული წლებია... მაგრამ უნდა ითქვას ნ. ლორთქიფანიძემ მაინც შესძლო შეექმნა მხატვრულად მართალი ხასიათი ლაზარე კვიხაშვილისა, მეოცნებე ინტელიგენტისა, რომელიც უნებისყოფობის გამო გალოთდა და ფსკერზე დაეშვა. უბრალო ფოსტის მოხელე. იგი ხშირად სვამდა და ჩუმად წერდა გზააბნეულ სტრიქონებს მალალ მატერიათა შესახებ. ცინიზმის განსახიერებაა ლაზარეს ცხოვრების თანამგზავრის მეძავი ქალის სახე და თუ ნ. ლორთქიფანიძემ შექმნა ცოცხალი მხატვრული სახეები, ეს ისევ მისი დიდი რეალიზმის გამარჯვებაა. ამ ქაოტიურ ნაწარმოებებშიც, სადაც ბევრია ვნება და სევდა, დაღლილი აზრი და პესიმიზმი, ბევრია სიყვარულიც. უპირველეს ყოვლისა პატარა ადამიანისადმი, მისი სწრაფვისა და ოცნებისადმი, შემდეგ კი კვლავ სამშობლოსადმი, თუმცა და სასოწარკვეთილი და დაუძღურებელი სიყვარული პატარა ადამიანისა დიდი სამშობლოსადმი. აი რას წერს კვიხაშვილი: „ჩაუქრალის რწმენით შემიძლია მხოლოდ გისურვო განათლებული დილა. მხოლოდ იმედით შემიძლია ვიცხოვრო, როცა დაქანცული გული კვნესის; დრმა სევდით მიყვარხარ მხოლოდ ჩემო სამშობლო“²⁸. და ალბათ ამიტომ წერს ნ. ლორთქიფანიძე, როცა კვიხაშვილის ნაწერებს აფასებს: „შენ მოკვდი, პა-

²⁷ ნ. ლორთქიფანიძე, ტ. I, გვ. 82.

²⁸ ნ. ლორთქიფანიძე, ტ. I, გვ. 89.

ტარა ადამიანო. ნაშრომი არ დაგიტოვებია, სახელი არ მოგიხვეჭია.

მართალია, არც ტკბილი ჩანგით გიმღერია, არც უნაზესი ძალები აღგიძვრია სამოქმედოთ. მაგიერათ იღუმალს. შეუგნებელს ჩვენ სურვილს ხორცშესხმულად ვხედავთ შენში. შენს გულის სიღრმეში გალობდი ზარს ჩვენის ნალველის და კაემნისას.

ულრმესი პატივისცემის, უსაზღვრო სიყვარულის!

უგულითადესი პატივისცემის მაგიერ. თუ სადმე სამართალია, შენ უნდა ჩამოგძახონ უამსა მას სანეტაროს „თავისუფალია“!

მაშინ პირველად გაიღიმებ.

მაშინ პირველად შეგეცოდება შენი თავი,

მაშინ პირველად შეგენანება, რომ სახელი ვერ დასტოვე ქვეყნად²⁹.

იგივე სულისკვეთებაა გატარებული „საშობაო მინიატურების“ ერთ მინიატურაში „საქართველო იყიდება“.

„იყიდება საქართველო. მინდორ-ველით, მთა-გორით, ვენახით, სათესით: წარსულის ისტორიით, მომავალი სვე-ბედით, მშვენიერის ენით; ნაქარგი ფარჩა-ხავერდით; ვაჟკაცური ხასიათით, სტუმარმოყვარეობით; ჩუქურთმიანი მონასტრებით და ეკლესიებით; თვალწარმტაც ბანოვანთა გუნებით; გონებაგახსნილ ვაყებით, მალხაზი ბავშვებით; ვერცხლისფერი თმით შემოსილ პატივსადებ მოხუცებით; იყიდება საქართველო დედით და მამით, შვილით და ძირით, ძმით, დით, ცოლით და ნათესავ-მოყვრებით“³⁰. დიდი გულისტკივილი და დიდი სიყვარულია ამ სტრიქონებში. „საშობაო მინიატურებში“ სულ სამი მინიატურაა: „სარეცელზე“, „საქართველო იყიდება“ და „ბრმა თერძი“. ნაწარმოები მოფიქრებულია როგორც ერთი მთლიანი ნოველა. შობის წინა დამეს, ავტორი დაგვანახვებს სამ სურათს და სამივე ნაკლებ სანუგეშოა ჩვენთვის. ორ მინიატურას სიუჟეტი გააჩნია, „საქართველო იყიდება“ კი მთლიანად რიტო-

²⁹ ნ. ლორთქიფანიძე, ტ. I. გვ. 92.

³⁰ იქვე, გვ. 105.

რიკულია, თუმცა მას თავისი მხატვრული განსახიერება აქვს. ეს არის მოზაიკა, ვიტრაჟი, ლამაზი და შთამბეჭდავი. ჩვენ გვესმის ავტორის პროტესტიც არსებულის წინააღმდეგ, თუმცა ეს არ არის არც სიუჟეტური ნაწარმოები, არც პუბლიცისტური წერილი. ეს მხოლოდ მინიატურაა.

საინტერესოა ნ. ლორთქიფანიძის გატაცება ამ პერიოდში, (მხედველობაში გვაქვს ათიანი წლები) მინიატურებით, ესკიზებით. რასაკვირველია, ეს ერთგვარი ხარკის მოხდა იყო იმპრესიონიზმის მიმართ, ჩვენ ვიტყვოდით ვერიზმის მიმართაც. დასასაბუთებლად საკმარისია ესკიზები გაერთიანებულნი საერთო სათაურით, შათ შორის „სევდის სურათი“, „რეკა“, „ქადრაკი“ და სხვა. აშკარა იმპრესიონისტულ ხასიათს ატარებს „სულიერი განწყობილებანი“: „სურათი“, „ბავშვი“, „ქეწნის ჩრდილში“ და ა. შ. ნაწარმოების ეპიგრაფში ნ. ლორთქიფანიძე წერს: „უმთავრეს მიზნად დასახული მქონდა ერთგვარი სულის განწყობილება გამომეწვია — სიტყვის საშუალებით მუსიკის საწადელი მიმეღწია. ქართულ მწერლობაში იშვიათია ასეთი ცდა. შეცდომაც და უხერხულობაც ამიტომ მრავალი იქნება“³¹. აქვეა „სევდიანი ნახატები“, რომელთა შორის ბევრია აგრეთვე იმპრესიონისტული, აქვეა რომანტიკული „რაინდი“, ნოველა წარსულის ქსოვილზე მოქარგული, ნატიფი, მსუბუქი და კეთილშობილი, აქვეა ღრმად რეალისტური „კერიასათვის“ და ნოველა „სანახავათ“. აქაა „წერილი“, რომელსაც ასეთი განმარტება აქვს „დედანი ლექსადაა დაწერილი“. ეს გახლავთ აპუხტინის კარგი ლექსის თითქმის სიტყვა-სიტყვითი პროზაული თარგმანი. ასეთი სხვადასხვაობა ინტერესთა, მრავალგვარობა ფერთა, ცხადყოფს, რომ ავტორი ჯერ კიდევ ჰეშმარტების ძიებაშია.

საინტერესოა ნიკო ლორთქიფანიძის ამ პერიოდის შემოქმედების საილ ესტრაციოდ განვიხილოთ მისი ერთი მინიატურა — „უფერ ელობა“.

„მოწყენაა.

³¹ ნ. ლორთქიფანიძე. ტ. I, გვ. 434.

დაბალი ჰერი. გაულაქავი იატაკი. ნაცრისფერი კედლები. მიულაგებელი მაგიდა. მიყრილ-მოყრილი პაპიროსის ნამწვავები და ფერფლი. მბუხუტავი ლამპის მკრთალი სინათლე. მოწყენაა.

ღია ფანჯარაში შემოდის ნოტიო. წვრილად წვიმს. სიჩუმეა. მოისმის მხოლოდ წვეთების ჰყაპა-ჰყუჰი. მოწყენაა³².

სურათი დანახულია მახვილი თვალთახედვით, შემჩნეულია კოლორიტული დეტალი, მოტანილია ძუნწად და კარგად, შექმნილია განწყობილება, მაგრამ რისთვის? მხოლოდ განწყობილებისათვის. ახალგაზრდა კაცი ფიქრობს, წავიკითხო რამე, თუ დავწერო: რომ დავწერო, რისთვის, არავინ წაიკითხავს... შემდეგ აღებს უჯრას, იღებს რევოლვერს. ერთხანს ფიქრობს. შემდეგ რევოლვერს კვლავ უჯრაში ინახავს. მოწყენაა.

განწყობილება გადმოცემულია ძალიან კარგად, მაგრამ ესაა და ეს. მხოლოდ განწყობილება, სხვა არაფერი.

ხშირია შემთხვევები, როცა ნ. ლორთქიფანიძე მიმართავს ზღაპრისა თუ ლეგენდის ფორმას, ჩანაფიქრის განსახორციელებლად და თუმცა ეს ძლიერ ხშირად ზღედა, ეს მაინც არ არის ნიკო ლორთქიფანიძე. ნიკო ლორთქიფანიძე, როგორც ნოველისტი, ჩვენთვის ძვირფასია როგორც „ფეოდალების“ და „თავსაფრიალი დედაკაცის“ ავტორი, „ბებრებისა“ და „ტრაგედია უგმიროდ“-ის დამწერი. ეს არის ჰეშმარიტი შემოქმედება ამ დიდი მხატვრისა, გვირგვინი მისი ნოველისტიკის, ის რაც მწერალს არაერთხელ უნახავს, ის რაც მშობლიურ ნიდადაგზეა აღმოცენებული, ის რაც საჭირბოროტოა ქართველი კაცისათვის.

უკვე პირველსავე ნოველებში ნ. ლორთქიფანიძე ეძებს ნაწარმოების აგების ახალ გზებს, ახალ არქიტექტონიკას. საინტერესოა და საყურადღებო ამ მხრივ ნოველა „ვალსი და უბრუნებელი ჟამი“. ეს მოხდენილი ნოველა მთლიანად დიალოგისაგან შედგება: მოკლე, სხარტი ფრაზები, ზედმიწევ-

³² ნ. ლორთქიფანიძე, ტ. I. გვ. 341.

ნით დაწურული ტექსტი, თითქოს ერთგვარად კიდევ გად-
მოგვეცემენ ვალსის რიტმს. მეჯლისზე საუბრობენ ორნი — მა-
მაკაცი და ქალი. ისინი გიმნაზიის წლებიდან და კიდევ უფრო
აღრეც, იცნობდნენ ერთმანეთს; ელტვოდნენ, ესწრაფოდნენ...
ქალი სხვას გაჰყვა. მამაკაცი ახსენებს მას გასულ წლებს,
ელაპარაკება უდიერად, მკაცრად... და სადღაც მაინც გამო-
სკვივის მიმქრალი გრძნობა. ბოლოს იგი მოითხოვს დაუკრან
ვალსი „დაუბრუნებელი ჟამი“, მაგრამ განრისხებული ქალი
უარს ეუბნება ვალსზე.

ნოველა მსუბუქია და არცა აქვს პრეტენზია იყოს სხვაგვა-
რი. როგორც აღვნიშნეთ იგი საინტერესოა იმ თვალსაზრისით,
რომ დიალოგი მასში გამოყენებულია როგორც ნოველის სა-
შენი მასალა, არც ერთი სიტყვა ნოველაში ავტორს არ ეკუთ-
ვნის. გარდა ამისა ნოველის შინაგანი რიტმი გვაგონებს ვალ-
სის რიტმს. ჩანს ნ. ლორთქიფანიძე მართლაც დაინტერესე-
ბული ყოფილა „სიტყვის საშუალებით მუსიკის საწადელის-
თვის მიელწია“. ამის დასამტკიცებლად გამოგვადგება მინი-
ატურა „რეკა“.

„დაუგდეთ როდესმე ყური ლიტანიის რეკას:

ქრისტე — დაიკრიალებს ერთი ზარი.

აღსდგა — მიაძახებს მეორე.

ქრისტე აღსდგა — გუგუნებს მესამე.

ქეშმარიტად აღსდგა — უპასუხებს მეოთხე.

კი-კი-კი-კი

კი-კი-კი-კი — წრიპინებენ პატარა ზარები“³³.

არ შეიძლება ამ ნაწყვეტმა არ აღგვიძრას ზარების ქლე-
რის ასოციაცია. ასეთ ოსტატურად დაწერილ ადგილებს, ხში-
რად ენაცვლება უფერული ნოველები, როგორცაა მაგალი-
თად „ერთი დრამის ეპილოგი“. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს
ის გარემოება, რომ რაღაც არ უნდა იყოს უფერული ნოველა,
როგორც ნოველა მთლიანობაში, ჩვენ მასში ვერ შევხვდე-
ბით გაურანდავ ადგილებს, ფრაზებს, რომელნიც ყურს მოგვ-
პრიან; მეტყველების კულტურა ნ. ლორთქიფანიძეს დახვე-

³³ ნ. ლორთქიფანიძე, ტ. I, გვ. 115.

წილი აქვს უაღრესად. ნ. ლორთქიფანიძემ იცის როდის როგორ იმეტყველოს.

მსუბუქი იუმორითაა დაწერილი ნოველა „რუმბი“. არავითარი ბგერითი ასოციაციები, არავითარი ორგინალობის ძიება კომპოზიციაში. სადა, მაღალფარღოვანებას მოკლებული ენით, მწერალი გვყვება რუმბის ამბავს, რომლის გამო იმერელმა თავადმა და აზნაურმა სასამართლოებში, სიარულით წელი გაიწყვიტეს. თითომ სამას-სამასი მანეთი დახარჯეს, და კვლავ განაგრძობენ საჩივრების წერას. ზუსტად არის გადმოცემული ნოველაში ყოფითი დეტალები, სალაპარაკო კილო, ზასიათები. ავტორი სამართლიანად დასცინის გადაჭარბებულ კულაბზიკობას, იმას, რაც არაერთხელ გამხდარა დავისა და უმიზეზო შფოთის საბაბი. მთხრობელს მოძებნილი აქვს საჭირო ტონი, საჭირო ფერები. ამ მხრივ ნიკო ლორთქიფანიძე ყოველთვის შეუცდომელია. იგი საგნებსაც კი სხვადასხვაგვარად აღიქვამს, სხვადასხვა კონტექსტის დროს — სრულიად სხვაგვარი ეპითეთები, შედარებები; ნოველა „უვარსკვლავო ღამეში“ ლირიული არაკია. მასში ვკითხულობთ: „უვარსკვლავო ღამეში ზღვის პირად განმარტოებით მდგომი ლერწამი ირხეოდა: ტალღებს დაადებდა ყურს და სულგანაბული უსმენდა; ტირიფების შტოებში შეჰყოფდა თავს და ჩურჩულებდა“³⁴. ნოველა „მარად და მარად“ იმერეთის ცხოვრებიდანაა. იგი იწყება შესაბამისად, უბრწყინვალესი შედარებით: „მხარე აფერადებული, ვით ღარიბი დედაკაცის ჩამოთხოვილი ნაჭრებიდან შეკერილი საბნის პირი“³⁵. არ ვიცი, შეიძლება ამ შედარებით იყო შთაგონებული დავით კაკაბაძის იმერეთის პეიზაჟები. საოცრად დასანანია, რომ ასეთი დიდი მხატვარი (მხედველობაში გვყავს ნ. ლორთქიფანიძე) არათანაბარ შთაბეჭდილებას ტოვებს აღრინდელ მოთხრობებში, იქ სადაც ხარკს უხდის ლიტერატურულ გატაცებებს. უნდა ითქვას, რომ ეს ლიტერატურული გატაცებანი თავისთავად არ არის საბაბი ნ. ლორთქიფანიძის ზოგიერთი ნოველის

34 ნ. ლორთქიფანიძე, ტ. I, გვ. 212.

35 იქვე, გვ. 269.

სისუსტის. ამავე ლიტერატურული გატაცებებით მან შექმნა კარგი, და ძალიან კარგიც, ნაწარმოებები. საკითხი ალბათ აქ არ წყდება. მნიშვნელობა აქვს ზოგჯერ მეტისმეტად ხელოვნურ თემას. ყველა იმ სამარადისო საკითხს, რომლის გადაწყვეტა არაერთხელ უცდიათ იმავე ლეგენდების, ზღაპრების და მითების მეშვეობით. ეს არ არის ორიგინალური ფორმა, მით უმეტეს რომ იგი ნაკლებად შეეფარდება ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედებით პროფილს, მაგრამ იმდენად დიდ ადგილს იკავებს მოცულობის თვალსაზრისით მის შემოქმედებაში, რომ უიმისოდ უკვე ძნელია ამ პროფილის წარმოდგენა. მთელი ეს „ებრაული“. „ეგვიპტური“, „შექმნილი ლეგენდები“ და თქმულებანი, თუმცა და უმეტეს შემთხვევაში უკეთილშობილეს და უსპეტაკესს აზრს ატარებენ, მაგრამ ხელს უწყობენ ვადაჭარბებულ რიტორიკას, ზოგჯერ ტვირთავენ მკითხველს მეცნაერული სიმძიმით და ხშირად გადაჭარბებული დიდაქტიკური ხასიათი აქვთ. უკეთესობა არ მოაქვს იმ გარემობას, რომ ისინი ხშირად ამდღეებულ ლირიულ ტონში არიან დაწერილნი. რასაკვირველია, არავის არა აქვს უფლება უარყოს ასეთი ლიტერატურა — მას თავისი წონა აქვს და თავისი ფასი. მაგრამ ეს არ არის ნ. ლორთქიფანიძის სტიქია. ნ. ლორთქიფანიძე ბუნებით პოეტია, შეგნებით რეალისტი და ხედვა ხშირად იმპრესიონისტული აქვს. შესაძლოა ამიტომაც გვხვდება მის შემოქმედებაში სხვადასხვანაირი ნოველები. შესაძლოა ამიტომ ვგრძნობთ მათში სრულიად სხვადასხვა მხატვარს.

ნოველა „ბუმბერაზი“ ხალხური გადმოცემის ყაიდაზეა დაწერილი. იგი დაწერილია უბრალო, ძირმაგარ გლახის საგვარეულოს გმირობით და ყოფით გამოწვეული ალტაცებით, დიდი ოპტიმიზმით. ასეთ ადამიანებს, ასეთ კუნთმაგარ რაინდებს. როგორნიც ფრანგულაშვილები იყვნენ არ უწერიათ გადაშენება. სრულიად სხვაგვარი განწყობაა მოთხრობათა სერიის „პანაშვიდი“ — უაღრესი უიმედობა, უნდობლობა ყველაფრის მიმართ. მოთხრობათა ეპიგრაფი: „ვუძღვნი მათ, ვისაც უკანასკნელი და უდიდესი პატივი ვერ ვეცი — ერთი“

მუქა მიწა ვერ მივაყარე“³⁶. ყველა მოთხრობა სიკვდილის აჩრდილითაა შთაგონებული. საოცარი მწუხარება, სასოწარ-კვეთილება იპყრობს ავტორს, რადგან მისი აზრით ადამიანი არარაობაა — იგი მოკვდავია. მას არ შეუძლია გაუმკლავდეს სტიქიას, იგი მისი მსხვერპლი ხდება ყოველთვის. და ის რომ იგი აზროვნებს, გრძნობს, უყვარს, ყოველივე ამას უდიდეს ტრაგედიადა აქცევს. ამ სულისკვეთებითაა გამსჭვალული ნოველა — „ტაბაკელა“, „შემოქმედი“. „ყვავილები“, ბევრი ნოველა სერიიდან „პანაშვიდი“, როგორც არაერთხელ აღნიშნა სალიტერატურო კრიტიკამ, დეკადენტურ განწყობილებებს ატარებს; მაგრამ აქაც, ამ სერიაშიც გვხვდება ჭეშმარიტი ღრამატიზმითა და დიდი რეალიზმით დაწერილი ნოველა. ესაა „ცხოვრება სალომიკასი“, რომელმაც არ შეიძლება არ მოახდინოს დიდი შთაბეჭდილება. ეს არის უბრალო სოფლელი ქალის ცხოვრება, რომელმაც მთელი სიცოცხლე დიდ შრომასა და დიდ გაჭირვებაში გაატარა, ესაა დიდი ჰუმანურობითა და სიყვარულით დაწერილი ნოველა. რეალისტური ფერებითაა შესრულებული ნოველა „საბაც“. საბა ჩუმი. მორჩილი, სოფლისა და ოჯახის მიერ აბუჩად აგდებული ახალგაზრდაა. იგი შრომობს მუყაითად, მაგრამ არც ამას აფასებს ვინმე, იღებს ამას როგორც თავისთავად არსებულს. საბას სულში იღვიძებს პროტესტი, მაგრამ ეს არის წუთიერი ამბოხება, იგი კვლავ წყნარდება და ცხოვრების ჩვეულ უმადურებას ურიგდება. „საბა“ დაწერილია კარგი ფსიქოლოგის მიერ. გმირის ხასიათი კარგადაა მოწოდებული და მოტანილი მკითხველამდე. მთელი ნოველა შექმნილია ამ ხასიათის გარშემო, ესაა მთავარი საკითხი, რომელმაც დააინტერესა მწერალი. ანალოგიური ამბავია ნოველაში „ქორწილი“. აქაც ძლიერ კარგადაა დახატული ახალგაზრდა ქალის ხასიათი, რომელიც ძლიერად არის შეყვარებული თავის ქმარში, აღმერთებს მას, ლოთსა და უდარდელს. ერთ ქორწილში ქეთო, ასე ჰქვია ქალს, წაესწრება მამაკაცთა ჩხუბს, მის ქმარს დასჭრიან. იგი მძიმედ დაჭრილი არ აღმოჩნდება და განიკურნება, მაგრამ

36 ნ. ლორთქიფანიძე, ტ. I, გვ. 444.

ეს შემთხვევა საბედისწერო აღმოჩნდა ქალისათვის — იგი ჰკუიდან შეცდა. ნოველაში მუქი ფერებითაა დახატული ავტორის შეხვედრა გაგიჟებულ ქალთან, ეს ეპიზოდი საოცრად მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს.

„საბაც“ და „ქორწილიც“ მოფიქრებულია როგორც ერთი მიზნის გამოხატულება — საინტერესო ხასიათის გამოკვეთა, ყველაფერი სხვა ამ ნოველებში, ემსახურება ამ მიზნის განხორციელებას. საბას და ქეთოს ხასიათები უკვე ჩამოყალიბებულ სახეს ატარებენ ზემოთ ხსენებულ ნოველებში. როგორც ცნობილია, ზოგი მკვლევარი, მაგალითად ვ. შკლოვსკი, ა. ელიაშჩევი, ხასიათთა სტაბილურობას ნოველაში თვლიან მის ერთ-ერთ მთავარ სპეციფიკურ თვისებად. არაიშვიათია შემთხვევები, როცა ტიპაჟი შთააგონებს მწერალს შექმნას ესა თუ ის ნაწარმოები. ამ ხასიათებისთვის შემდეგ იქმნება ანტურაჟი და წარმოიშობა თხზულება. ასე მაგალითად სტენდალი თვლიდა, რომ ხასიათები ქმნიან სიუჟეტებს. ტურგენევი წერდა: „ლიტერატურული ნაწარმოები მე გამომდის ისე, როგორც იზრდება ბალახი. მე ვხვდები ცხოვრებაში მაგალითად ვინმე ფეკლა ანდრიას. ასულს, ვინმე პეტრეს, ვინმე ივანეს; ამ ივანეში მაკვირვებს რაღაც განსაკუთრებული, ის რაც არ მინახავს და არ გამიგონია სხვაგან. მე ვაკვირდები მას. ჩემზე ესა თუ ის, ახდენს განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას. ვუფიქრდები; შემდეგ ეს ფეკლა, ეს პეტრე, ეს ივანე მშორდებიან, იკარგებიან არ ვიცი სად, მაგრამ მათ შიერ მოხდენილი შთაბეჭდილება რჩება, მწიფდება. მე ვუთანხმებ ამ სახეებს სხვა სახეებს, შემეყავს ისინი სხვადასხვა მოქმედებათა სფეროში“³⁷...

ანალოგიური აზრები გვაქვს ამ შემთხვევაშიც. არავითარი სხვა მიზანი, გარდა ქალის თავისებური ფსიქოლოგიის დახატვისა, ქეთოს ხასიათის შექმნისა, არ უნდა ჰქონდეს „ქორწილის“ ავტორს. ასევე ითქმის „საბას“ შესახებაც. ორივე ნოველა დაწერილია ნატიფი ქართულით და გაშუქებულია რეალისტურ ასპექტში.

³⁷ „Звезда“, 1957, № 10, გვ. 194.

ნოველაში „სამი შაური“ ყურადღების ცენტრში მოქცეულია ჩვეულებრივი ამბავი, ხაზგასმულია სწორედ მისი ყოფითობა და უბრალოება, ამავე დროს ამ პატარა ამბით გადმოცემულია არაპატარა გრძნობანი. ნოველა დაწერილია პირველი პირით და ამიტომაც მანძილი მწერალსა და მკითხველს შორის საოცრად მცირდება. პატარა ბიჭი სოფლიდან ქალაქში ჩამოდის სასწავლებლად, ხშირად ოცნებობს თავისიანებზე, ალერსზე, ხილზე, ტკბილეულობაზე. ერთხელ ქუჩაში სოფლიდან ჩამოსულ მღვდელს შეხვდება ხილეულობის მაღაზიასთან. მღვდელი მას სამშაურიანს ჩუქნის, ხილი იყიდეთ და თუმცა ბიჭს ძლიერ სურს ხილი, იგი უარს ამბობს სამშაურიანზე, ძმისგან გაგონილი სიტყვებით — „ფულს საჩუქრად არ ვღებულობ“. მოხუცი მღვდელი დაიბნევა, მოუბოდიშებს. „მთელ ქალაქში ამ ერთ არსებას სურდა ჩემთვის ესამოვნებინა და მე ვერ მიუხვდი“ — ასრულებს მთხრობელი ამბავს.

„სამი შაური“ ტიპური ნოველაა, ნოველის თეორეტიკოსების ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. პატარა მოცულობა, სიუჟეტის კონცენტრაცია, სიუჟეტად ერთი ეპიზოდი. საინტერესოა, რამდენად ხორციელდება ეს მოთხოვნანი საერთოდ ნიკო ლორთქიფანიძის ნოველებში. უნდა ითქვას, რომ ნოველის თეორეტიკოსების ბევრი მოთხოვნა, მაგალითად მოულოდნელი დასასრულის შესახებ, უცნაური ამბის ან საკითხის ახლებურად დაყენების შესახებ, უთუოდ ძალიან ხშირად შეგვხვდება ნოველებში საერთოდ და აუცილებლად გვენიშნება. მაგრამ ეს არ არის განმსაზღვრელი, აუცილებელი ხაზი ნოველაში. ამაზე არაერთხელ ითქვა და დაიწერა. საერთოდ დღევანდელ პირობებში ძნელია მოიძებნოს ისეთი ნოველა, რომელიც აკმაყოფილებდეს ყველა იმ მოთხოვნას, რომელსაც მას უყენებენ. მით უმეტეს, რომ ბოლო დროს გავრცელდა ინერტიული სიუჟეტის ნოველები, ე. წ. „უსუჟეტო“ ნოველები. მიუხედავად ამისა, ამა თუ იმ ნაწარმოების კითხვის დროს, თქვენ მაშინვე იგრძნობთ რომ ეს არის ნოველა და იგი უთუოდ დააკმაყოფილებს იმ ზოგად მოთხოვნებს, რომელიც აუცილებელია მისთვის: მცირე მოცულობას, ერთ ამ-

ბავს, მოქმედების ერთიანობას, მოქმედ პირთა სიმცირეს. ზოგჯერ ამ მოთხოვნათაგანაც კი ირღვევა ზოგიერთი და ნოველა მაინც ნოველად რჩება. ასე მაგალითად, ცნობილი ნოველისტის მერიმეს ნოველები ხშირად შედარებით განვრცობილი მოცულობისა არიან, მიუხედავად ამისა ეს ტიპიური ნოველებია, რადგან მათ ახასიათებთ სიუჟეტის კონცენტრაცია, მოქმედების ერთიანობა, მოქმედ პირთა სიმცირე, მათ არა აქვთ პარალელური მოქმედებანი, ისინი ასახავენ ცხოვრების ერთ მონაკვეთს. ნ. ლორთქიფანიძის ნოველებად წოდებულ ნაწარმოებებში ბევრია ისეთი, რომელიც ცოტად თუ ბევრად ვრცელი ხასიათის არის. ცოტად თუ ბევრად გადაუხვევს ნოველის ნორმებს, მაგრამ არიან ისეთნიც, რომელნიც სავსებით აკმაყოფილებენ მათ. ასეთია მაგალითად ნოველები „ივლისელი“, „სოფლის მასწავლებელი“, „სამი შაური“, „ჩარღაში“ და სხვა.

ოციან წლებში უფრო მძლავრდება ნიკო ლორთქიფანიძე — რეალისტი, და უკანა ხედზე იწევს ნ. ლორთქიფანიძე — იმპრესიონისტი, თუმცა ჯერ კიდევ საგრძნობია ამ უკანასკნელის გავლენა. სწორედ ამ პერიოდშია შექმნილი ლორთქიფანიძის ბრწყინვალე ნოველა — „ტრაგედია უგმიროდ“. ესაა მართლაც რომ ჭეშმარიტი ტრაგედია, დაწერილი უნაკლოდ, შესანიშნავი ოსტატის მიერ. მარტოხელა კაცი, უალრესი გაჭირვება, მშვიერი ბავშვები. ძლივს იშოვა ცოტაოდენი ფქვილი, გამოაცხო ჭადი, რომ პატარეა დაეპურებინა. მოსინჯა. მასში იღვიძებს დაუცხრომელი შიმშილი, შემოეკმება მთელი ჭადი. მშვიერი ბავშვები ტირიან. კაცს იპყრობს სინანული, სირცხვილი... ერთადერთ გამოსავალს იგი თვითმკვლელობაში ხედავს — თავს იხრჩობს. ეს ამბავი გადმოცემულია დიდი დრამატიზმით, დაწერილია ბრწყინვალედ. თვითმკვლელობაში სიტყვა განკვერტილია, არცერთი მარცვალი არ არის ზედმეტი, ყველაფერი საოცრად დამაჯერებელია და ხალასი. ესაა დიდი სოციალური ტივილით, დიდი ჰუმანურობით დაწერილი ნოველა, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა მთელ ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში. უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში სოციალურ თემაზე ნ. ლორთქიფანიძემ რამდენიმე

კარგი ნოველა შექმნა. მათ შორის ნოველები „შეგირდი“, „ბედნიერება“; ამავე პერიოდშია შექმნილი ნ. ლორთქიფანიძის ღრმად ფსიქოლოგიური ნოველა „თავსაფრიალი დედაკაცი“, ერთი ბრწყინვალე ნოველათაგანი ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში და მთელ იმდროინდელ ქართულ პროზაში.

ნოველა შთამბეჭდავად არის დაწერილი, ერთი, შეუხელებელი რიტმი გასდევს მას თავიდან ბოლომდე. ჩვენ წინ იხატება თავსაფრიალი დედაკაცი, უბრალო გლეხის ქალი, უკეთილშობილესი თავისი არსებით. მან გაიარა დიდი ცხოვრება, უმამობა არ აგრძნობინა შვილებს. მოხუცდა. რძლები აღმაცერად უყურებენ, გრძნობს, რომ ზედმეტია შვილები-სათვისაც. მიდის ოჯახიდან და შვილებს წერილს წერს, ნუ მეძებთ, ნუ შესწუხდებით, მე სალოცავად მივდივარო. უღრმესმა გაჭირვებამ მათხოვრად აქცია, ბოლოს მტკვარში ჰკოვებს სასუფეველს.

მიუხედავად იმისა, რომ ნოველა თავისი არსით უაღრესად რეალისტურია, მიუხედავად იმისა, რომ მასში შექმნილია ქართველი ქალის შესანიშნავი ტიპი, ჩვენ მასში შევხვდებით ნ. ლორთქიფანიძეს იმპრესიონისტსაც, ბევრი ადგილი მასში დახატულია მის მიერ. უნდა ითქვას, რომ ეს არ არის ნაკლი, პირიქით, იმპრესიონისტული ხილვა უაღრესად რეალისტური დეტალებისა, თავისებურ ელფერს აძლევს ამ ნაწარმოებს: უფრო ზუსტად: „თავსაფრიალი დედაკაცი“ არის რეალისტური ნაწარმოები, რომელშიდაც გამოყენებულია იმპრესიონიზმის ზოგიერთი ხერხი. ეს კი არ ამდაბლებს ამ ნაწარმოების მაღალმხატვრობას, პირიქით, უფრო ზრდის მას. თქმულის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ნაწყვეტი ნოველიდან:

„სადედოფლო:

მაქვა და თითისტარი;

კეცი და ჩოგანი

ლარი და საჩეჩელი

პრასი და ოხრახუში;

მეწველი ძროხა

კრავიანი ცხვარი;

გოჭებიანი ღორი;

თხას... თხას არ გაუშვებს: ნამყენ ხეხილით სავსე კარმი-
დამოს გადაღრღინან

ბატები სისინებენ და ამაოდ ეძებენ ტბას;
ქათმები ჩიტებივით დაფრენენ ტოტიდან ტოტზე.
ციცარი გასართობათ.
სავსე ოჯახი

სამეფო:

ხარდანიანი ვენახი საკუთარ ეზოში;
სიმინდის მალალი კალო—სამესამედოთ
ნაბატონართან.

გაპრიალებული ნაჯახი სახელმწიფო ტყეში;
წელმაგარი კომლი³⁸.

ასეთ პატარა ნიჟარებისაგან შესდგება ბევრი ადგილი ამ
ნაწარმოებში, მიუხედავად ამისა სურათი იხატება ზედმიწევ-
ნით სრულიად და სავსედ. მთელი ნოველა დაწერილია დიდი
მხატვრული გაქანებით, ლაკონიურად, ლამაზად, შთამბეჭდა-
ვად. ნ. ლორთქიფანიძე ამ ნოველაში აღწევს უაღრეს გამომსა-
ხველობითობას, პორტრეტის უაღრეს პლასტიკურობას:

„ქართველი ქვრივი დედაკაცი თავსაფრიდან წულეზამ-
დის... წინდაც კი შავი.., თუ გამოჩნდა, პეტისმეტად ლილიან
წყალში გავლებული საცვალი,

თეთრი შუბლი,
შავი მაცვალივით თვალები,
მზეზე გაშავებული ლოყები,
მოქნილი ცხვირი,
სისხლისფერი ტუჩები,

თეთრი, გრძელთითებიანი ხელები, ეტყობა ბევრს ველარ
საქმიანობს, — იმატა ობლების მტერმა, იკლო მოყვარემ, და
იგი დადის

პოლიციაში,
სასამართლოში,
მეზობლებთან,

³⁸ ნ. ლორთქიფანიძე, ტ. II, გვ. 87—88, 1959, თბილისი. (სხვა-
გან ციტატები ამ გამოცემიდან).

მამასახლისთან,
თავმდაბალი,
საჩივრით,
მუდარით,
ისე რომ ვერ აჩერებს კედელი,
მარკა,
სიშორე, —
გადაიფრენს, იშოვის, გადაივლის, გასცურავს,
მიიფრენს,

თავისას კი მიაღწევს:
ბავშვებს სამართალს მოუნახავს,
დახმარებას გამოითხოვს,
მაგრამ ოჯახს არ უმტყუნებს,
კერიას არ გააცივებს“³⁹.

„თავსაფრიანი დედაკაცი“ ეს მთელი ეპოპეაა მოცემული ერთ პატარა ნოველაში. ეს არის უდიდესი რეალიზმით გამოძერწილი ქართველი ქვრივის ხასიათი. იმპრესიონისტული ხერხი ხმარებული ზოგჯერ ამ ნაწარმოებში, როგორც ავლნიშნეთ, არას ვნებს მას, მხოლოდ კიდევ უფრო ცხოველმყოფელს ქმნის მის გამომსახველობითობას. „თავსაფრიანი დედაკაცი“ მეტი სიზუსტით ახასიათებს ნ. ლორთქიფანიძეს, როგორც შემომქმედს: ნიკო ლორთქიფანიძე ყოველთვის იყო დიდი რეალისტი, მისი იმპრესიონიზმი არსებითად ზოგჯერ ხმარებული ხერხით ისაზღვრებოდა. პატარა ნოველა, რომელიც „თავსაფრიან დედაკაცის“ სახელწოდებას ატარებს, სამართლიანად ითვლება ნ. ლორთქიფანიძის დიდ შემოქმედებით გამარჯვებად, და საპატიო ადგილს იმკვიდრებს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში.

ამავე პერიოდს განეკუთვნება ნ. ლორთქიფანიძის ნოველა „ეპისკოპოზი ნადირობაზე“. ეს ნოველაც ტრადიციულია თავისი აღნაგობით და ყოველმხრივ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რომელთაც ნოველას უყენებენ. ნოველა აგებულია ანეკდოტზე — ეპისკოპოზი, რომელსაც სურს დაააჯოს

39 ნ. ლორთქიფანიძე, ტ. II, გვ. 89.

მღვდელი ნადირობის გულისათვის, შემთხვევით წაესწრება კურდღელზე. ნადირობას და გამოაჩენს ისეთ აზარტს, ისეთ გატაცებას ნადრობით, რომ აპატიებს ამ ცოდვას მღვდელსაც. „ცოდვილია ადამიანი, ცოდვილი... მეც გამიტაცა ამ ამოვბამ“ — ამბობს ეპისკოპოზი.

ნოველა მსუბუქად იკითხება. გვხიბლავს მისი ზომიერი იუმორი, მოკლებული შარყს და გროტესკულობას, მისი სიცოცხლის მოყვარეობა, ამქვეყნიურის განდიდება. ამა სოფლის ცთუნებანი შეეხნენ ეპისკოპოზსაც. ეკლესიის კურთხევაზე მან შესცვალა თავისი ქადაგების თემა, და იქადაგა „ნუ განიკითხავთ, რათა არ განიკითხნეთ“... „სიტყვას არ ჰქონდა დამზადებული პათოსი, აკლდა საღვთისმეტყველო ტექსტები, ვერ იყო მოქნალი მკერმეტყველების კანონების მიხედვით, სამაგიეროთ იგი იყო სათნო, სადა და ბევრათ უფრო შეეფერებოდა მიღებულ მოხუცის ლმობიერ ხმასა და სახეს“⁴⁰.

„ეპისკოპოზი ნადირობაზე“ დაწერილია სადად და ოსტატურად. შესანიშნავ შთაბეჭდილებას სტოვეებს „ფეოდალები“ — ნოველა იმერეთის ყოფაცხოვრებიდან. სხვათაშორის, ნიკო ლორთქიფანიძეს ხშირად აღარებენ „შემოდგომის აზნაურთა“ დიდ მემბტიანეს — დავით კლდიაშვილს. ეს არ არის შემთხვევითი. არის მათ შორის მართლაც საერთო — გადაგვარების გზაზე შემდგარ თავადაზნაურთა თემა, ასახული იმერეთის ყოფის ფონზე, დიდი სირბილე და ჰუმანურობა — ეს მართლაც საერთო თვისებებია ამ ორი მხატვრისა. მაგრამ მათ შორის არის ერთი დიდი არსებითი სხვაობაც. დავით კლდიაშვილი ხშირად კომიკურ სიმძაფრეს აღწევს „შემოდგომის აზნაურთა“ ხატვის დროს, თუმც შესანიშნავად იცის, რომ „სასაცილოა, სატირელი რომ არ იყოს“. ნიკო ლორთქიფანიძის პალიტრაზე უფრო შერბილებულ ფერებს ვპოულობთ, უაღრესად კომიკური სიტუაციებიც კი, მოწოდებულია სიმძაფრის გარეშე, თავიდანვე გამიზნული ერთი ტონით. ასეა ნოველაში „ფეოდალები“. ორი აზნაური წაკინკლავდება ერთად ნაყიდი თუთუნის გაყოფის დროს, ერთს ხელი გაეჭრე-

⁴⁰ ნ. ლორთქიფანიძე, ტ. II, გვ. 104.

ბა დანით. მაშინვე შეცბუნდებიან, შერიგდებიან. ტკბილი საუბრით წევენ ომით მოპოვებულ თუთუნს. და მაინც იზადება აზრი — რომ იჩივლოს დაზარალებულმა... უცილებელია, სიტუაცია კომიკურია, მაგრამ იგი აღწერილია ისეთ რბილ, ღირიკულ ტონში, რომ უფრო ნათლად ჩანს მწერლის ტკივილი, ვიდრე ამბის კომიკურობა. იჩივლის შერცხვა დაზიანებულს; მეზობლებმა მოციქულობაზე კი უარი თქვეს. ვერც მედავითნემ აასრულა დაპირება — მას არ მოუვლია მიცვალებულსათვის, — რადგან არც ერთს არ ღირსებია სამარე ეკლესიის გალავანში, საკუთარ სასაფლაოზე, ნაკურთხ მიწაში“⁴¹ — ასრულებს ამბავს ავტორი.

ნოველაში შესანიშნავად არის გამოყენებული იმერული კილო პერსონაჟთა სალაპარაკო ენად. მთლიანი ნოველა ერთი სცენის შთაბეჭდილებას სტოვებს რომელიმე პიესიდან. დასაწყისში ძენწად, მაგრამ სრულად დახატულია სამოქმედო აქტიუმი.

„სალამო აუქმებული.

ეკლესიის გალავანზე, მღვდლის მოლოდინში, გადმოყუდებულა მედავითნე, იქვე, თითქმის გალავანზე მიდგმულ დუქნის წინ, ღირებზე, ზის ერთი და წალდის ყუით ხაზავს, მგონი მეზობელთან სადაო ნაკვეთის საზღვრებს.

კუთხეში, კუნძზე, წამომჯდარა მეორე, ცხვირსახოცით თავწაკრული და შალის ნაგლეჯით წელშემოკრული;

ახლადგათლილ სარს დაყრდნობია მესამე;

მედუქნე-ხარაზი მუშაობს გაღებულ დარაბის იქეთ.

სოფლის დამამშვიდებელი მიდამო.

მასლაათობენ“⁴².

მთელი ნოველა არსებითად დიალოგებისაგან შესდგება, და მათში მახვილად იხატება მოსაუბრეთა ხასიათი, ათასი წვრილმანი მათი ცხოვრებიდან. კარგად არის დაქერილი ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო დეტალები.

„ფეოდალები“ სრულყოფილია ყოველმხრივ — დიალოგების აგებით, ავტორისეული ტექსტის უაღრესი ლაკონიურო-

41 ნ. ლორთქიფანიძე, ტ. II, გვ. 115.

42 იქვე, გვ. 109.

ბით, საყოფაცხოვრებო დეტალების ზომიერი და კარგი მოტანით. ეს მშვენიერი ნოველა კიდევ ერთხელ მოწმობს ნ. ლორთქიფანიძის დიდ რეალისტურ ჰვრეტას, მის დიდ შემოქმედებით ძალას.

კარგი ნოველა უძღვნა ნ. ლორთქიფანიძემ ბავშვებს. „შეჯიბრებაში“ დახატულია პიონერების საქმიანობა, მათი ცხოვრება არდადეგების დროს.

ბავშვებისათვის არის აგრეთვე განკუთვნილი ზღაპრები „ავთანდილ ბრძენი“ და „მეგობრები“. ანეკდოტებზეა აშენებული ნოველები „აზნაურ დევდარიძეების ქარაგმა“ და „თავის წერილი“.

ოციან წლებს მიეკუთვნება ნ. ლორთქიფანიძის ნოველა „ბებრები“. ეს გახლავთ პატარა აკვარელი, სათუთი და ფსიქოლოგიურად ღრმად დამაჯერებელი. მოხუცი ცოლი და ქმარი, დაუძღვრებული ხანდაზმულობით და ზაფხულის შუადღის სიციხით, იგონებენ ახალგაზრდობას, დროს, როცა პირველად ნახეს და გაიცნეს ერთმანეთი. ესაა ნოველის სიუჟეტური ხერხემალი. ნოველა დაწერილია კარგად, დიდი სიყვარულით და დიდხანს მიჰყვება მკითხველს. ძუნწად, სულ რამდენიმე შტრიხით არის დახატული აზნაურის სამოსახლო იმერეთში: „ხელის გულივით სწორია აზნაური ბეგლარის ფრჩხილის ოდენა ეზო. ნაშუადღევის სიოს ქინძისა, პიტნისა და ომბალოს სუნი ბოსტნიდან მეორე მხარეზე გაშენებულ ვენახში გადააქვს. წნელის ღობე, კვინძები და ყორე გადახლართულია მაყვლით“⁴³.

ეზოში სთვლემენ ბებრები. იღვიძებენ და ცოლი უყვება ქმარს სიზმრად ნანახს. ქალს ახსენდება ქმრის ახალგაზრდობა, მისი ჭირითი ცხენით, მისი ხუჭუჭი თმები, ქმარს ცოლის გრძელი ნაწნავები და წითელი ფერის ტუჩები; ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს ორი მოხუცი ოდესღაც ასეთი იყო; სიცოცხლით და ჯანღონით სავსე. „მუსაიფის დროს ბეგლარი ხელს მოხვევს. ეკატერინე თავს გულზე დაადებს: მოგონებათა ბუ-

⁴³ ნ. ლორთქიფანიძე, ტ. I, გვ. 598.

რუსში გახვეულნი ჩუმად სხედან და ძნელი გამოსაცნობია, სთვლემენ თუ გაქვავებულან“⁴⁴.

„ბებრები“ ესაა დიდი მხატვრის რბილი გაღიმება, თბილი, მზიანი ფერებით შესრულებული კოლორიტული სურათი. ესაა კიდევ ერთი შესანიშნავი ნოველა ნიკო ლორთქიფანიძის ნოველებს შორის.

საინტერესოა ნ. ლორთქიფანიძის „მოქანდაკე“; თუმცა იგი ერთგვარად ცდება ნოველის ფარგლებს და მოთხრობას უახლოვდება, მაინც ჩვენ მას გვერდს ვერ აუვლით, როგორც საბჭოთა სინამდვილის თემაზე შექმნილ ერთ-ერთ საყურადღებო ნაწარმოებს ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში. თუ შემოქმედნი და ხელოვანნი ნ. ლორთქიფანიძის წინა წლების ნოველებისა პესიმიზმის და ცინიზმის არტახებში მომწყვდეულან ხშირად, ახალგაზრდა მოქანდაკის შემოქმედებითი ბიოგრაფია საბჭოთა წლებში, არის განხორციელება დიდი ოპტიმიზმისა და ასახვა იმისა, თუ რაოდენ დიდ მზრუნველობას ნიჭისადმი იჩენენ დღეს, ჩვენ ქვეყანაში. „მოქანდაკე“ დაწერილია რეალისტურ ჭრილში, თხრობა დადინჯებულია და სადა. მაინც ეს არ არის ნ. ლორთქიფანიძის საუკეთესო ნოველათაგანი, თუმცა და უეჭველად შედის მის კარგ ნოველების რიცხვში.

ნიკო ლორთქიფანიძემ გრძელი და რთული გზა განვლო როგორც მწერალმა. ერუდიტებულმა და ჰუმანიურმა შემოქმედმა გამოავლინა დიდი შემოქმედებითი ნიჭი და უნარი, შექმნა ჰუმანიტად მაღალმხატვრული ტილოები. ნ. ლორთქიფანიძე ყოველთვის დიდი რეალისტი რჩებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ვერ ასცდა იმპრესიონიზმის ერთგვარ გავლენასაც. თავისი არსით ნ. ლორთქიფანიძე პოეტია. მისი სწრაფვა მუსიკალობისადმი, მისი თითქმის ყოველთვის ამალღებული თხრობითი ტონი, ამის დამადასტურებელია. შესაძლოა სწორედ აქ უნდა იყოს სათავე მისი დაინტერესების ლეგენდებით და თქმულებებით, რომელნიც ეგზომ ჰარბადაა წარმოდგენილი მის შემოქმედებაში. მაგრამ, უნდა ითქვას, ბევრ ლეგენ-

⁴⁴ ნ. ლორთქიფანიძე, ტ. I, გვ. 599.

დასა თუ თქმულებებში ნ. ლორთქიფანიძე ვერ აცდა გადაქარბებულ ფილოსოფიურ ელემენტს, თხრობას მოაკლო მხატვრული აზროვნების ნიმუშები და ამრიგად ერთგვარად სქოლასტიკური გახადა ისინი. ამგვარი ლიტერატურა არ არის ნ. ლორთქიფანიძის სტიქია. იგი შეუდარებელია თავის ღრმარეალისტურ ნოველებში, რომელნიც აგებული არიან იმერთის ყოფაზე ან ნ. ლორთქიფანიძისათვის უფრო მახლობელ და ნაცნობ საკითხებს ეხებიან. როგორც მოქალაქემ ნ. ლორთქიფანიძემ იგრძნო და თავის მოქმედებაში ასახა გადაგვარების გზაზე დამდგარ აზნაურების პორტრეტები, სურათები მათი ცხოვრებიდან. ამ მხრივ ყველაზე თვალსაჩინო ნაწარმოებია „დანგრეული ბუდეები“, რომელთა მხატვრული ღირსება კიდევ ერთხელ მეტყველებს ნ. ლორთქიფანიძის დიდ რეალისტურ თვალთახედვაზე — კარგი, დახვეწილი ქართული, ნოველების ტიპაჟი და მისი მეტყველება, პეიზაჟები ჩახატული გამოცდილი ოსტატის მიერ, ათასი დეტალი და შტრიხი, მეტად დამახასიათებელი და საჭირო, ყველაფერი ეს ზემოთქმულის დადასტურებაა. ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედების მაგისტრალური ხაზი უდაოდ არის პატრიოტიზმი. ღრმად შეყვარებული საქართველოს ბუნებასა და ხალხში, მის ისტორიასა და ვაჟკაცურ სულიკვეთებაში, ნ. ლორთქიფანიძე თითქმის ყველა ნაწარმოებში მოგვიწოდებს „მოუარეთ საქართველოს!“ წრფელი, ამადლებული სტრიქონები უძღვნა ნ. ლორთქიფანიძემ სამარადისო გრძნობას — სიყვარულს, და შესაძლოა, სწორედ ამ სტრიქონებში ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოჩნდა ნ. ლორთქიფანიძე — პოეტი. ჭეშმარიტი ჰუმანიზმით არის გამსჭვალული ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედება, დიდი სიყვარულით პატარა, უმნიშვნელო ადამიანების მიმართ, მათი სატკივარისა და მისწრაფებების მიმართ.

როგორც შემოქმედისათვის, ნ. ლორთქიფანიძისათვის ყველაზე უფრო მახლობელია ნოველის, მინიატურის, ესკიზის ფორმა; ის უფრო ეგუება მისი შთაბეჭდილებების და განცდების გადმოცემას, მის პოეტურ სულისკვეთებას. ნ. ლორთქიფანიძის ნოველებს შორის არის როგორც საესეებიც ტრადიციული ნოველები თავისი აღნაგობით, ისე ნოველებიც, რო-

მელნიც ერთგვარად ცდებიან ნოველის ჩარჩოებს და მაინც ნოველისტიკას მიეკუთვნებიან. ხშირად ნ. ლორთქიფანიძე თავის ნოველებში ყურადღებას ამახვილებს ყოფით საკითხებზე, ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებზე. მაგრამ ყოველთვის ამბობს დიდ სატემელს. ბევრ ნოველას ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში მწვავე სოციალური ელერადობა აქვს, გამოხატავს პროტესტს არსებულის წინააღმდეგ. ნ. ლორთქიფანიძის ბევრ ნოველას აქვს საინტერესო არქიტექტონიკა; ხშირად ავტორი გამოდის როგორც მთხრობელი და ამით უფრო ახლოს მიდის მკითხველთან. უფრო აგრძნობინებს მას თავის საწადელს. ხშირად, მაშინაც კი, როცა ნოველი ვითარდება მთხრობელის გარეშე, ე. ი. არ სწარმოებს პირველი პირით, ავტორი უტბად მოულოდნელად ჩაერევა ნოველის მსვლელობაში, გამოსთქვამს თავის მოსაზრებას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

ნ. ლორთქიფანიძემ მთელი თავისი შესაძლებლობანი გამოამყვანა სწორედ ნოველებში, მათი შექმნით მოიპოვა დიდი ოსტატის სახელი. მიუხედავად ამისა, ნ. ლორთქიფანიძე მაინც არ არის ჩამოყალიბებული ნოველისტი იმ გაგებით, როგორც შეიძლება ვუწოდოთ ეს სახელი ჩეხოვს ო' ჰენრის, მოპასანს. შ არაგვისპირელს. ლორთქიფანიძის ნაწარმოებები ხშირად ატაობენ სტატიურ ხასიათს საუყუეტის, კომპოზიციის თვალსაზრისით. ხშირად ნოველის მსვლელობის დროს ავტორი გამოთქვამს აზრს ამა თუ იმ საკითხზე და თითქოს ბზარი შეაქვს მოქმედების მონოლითურობაში. ნ. ლორთქიფანიძის ნოველები არაიშვიათად მოკლებულნი არიან მძაფრ დანაშაურობას. მაინც ქართული ნოველის ისტორია მკადროდ უკავშირდება ნ. ლორთქიფანიძის სახელს, რადგან იგი შ. არაგვისპირელის შემდეგ ამკვიდრებს ამ ეანრს ქართული ლიტერატურის სარბაელზე ისეთი ბრწყინვალე ნოველებით. როგორცაა „ტრაგედია უგმიროდ“, „თავსაფრიანი დედაკაცი“. და სხვა

საოცრად დიდია ნ. ლორთქიფანიძის დამსახურება მხატვრული მეტყველების განვითარების დარგში. იგი შესანიშნავად ფლობს თხრობის რიტმს, ინტონაციას და ალბათ ამით

აიხსნება ის გარემოება, რომ ხშირად არასავალდებულო ადგილები ნოველაში კომპოზიციის თვალსაზრისით, გაგვიჭირდება რომ შევამჩნიოთ, გამოვყოთ ცალკე.

ნ. ლორთქიფანიძის ნოველები, მიუხედავად იმისა, რომ არ არიან ხშირ შემთხვევაში ტიპური ნოველები, გვაჭადოებენ თავისი უშუალობით. ყველაფერი, რაზეც წერს მწერალი, ძალიან მახლობელია მისთვის. ნ. ლორთქიფანიძე არ არის ემოციებს მოკლებული ანალიტიკოსი, პირიქით ბევრი რამ, რაზეც იგი წერს, ახლო მიაქვს გულთან, განიცდის მას. ალბათ ამიტომაც, რომ მისი ნაწარმოებები აღბეჭდილია ხანგრძლივი არსებობის ნიშნით, ხიბლავს და შთააგონებს დღევანდელ მკითხველს.

მას შემდეგ, რაც ნ. ლორთქიფანიძემ უკანასკნელი ნოველა დასწერა, საკმაოდ ბევრმა ხანმა გაიარა. ბევრი რამ შეიცვალა მხატვრულ აზროვნებებში, უფრო განატოვდა. ახლა ნოველისტები ცდილობენ უაღრეს ლაკონურობას მიაღწიონ. ყველაზე მაღალფარდოვანი დებულებები ითქმება რაც შეიძლება სადად, თითქოს შემთხვევით. ხშირად ნოველებს არა აქვთ პირდაპირი მითითება იმის შესახებ, რა აზრისაა ამ საკითხზე ავტორი, მკითხველი თვითონ უნდა გაერკვეს ქვეტექსტში. ასეთი გზებით მიემართება ქართული ნოველაც.

* * *

ქართული საბჭოთა ნოველის დიდოსტატთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს სერგო კლდიაშვილს. მისი შემოქმედება არის დინჯი და ბევრის მცოდნე მწერლის შემოქმედება, რომელიც გვაჭადოებს თავისი უბრალოებით, სიღრმით და კეთილშობილებით. სერგო კლდიაშვილი არის შესანიშნავი მთხრობელი, ყოველთვის ოსტატურად ფლობს მკითხველის ინტერესს, დაბავს და იყოლიებს მას. თავის შემოქმედების დასაწყისში სერგო კლდიაშვილმაც ერთგვარი ხარკი გადაუხადა დეკადენტიზმს, რომლის ელემენტები შეიმჩნეოდა მის ადრეულ მოთხრობებში, მაგრამ მალე განერიდა მას და მტკიცედ დაადგა ქართული რეალისტური პროზის გზას. სერგო

კლდიაშვილის ნოველათა კრებულები ყოველთვის გვხიბლავენ თავისთავადობით, დიდი რეალიზმით, ტაქტიკითა და დაყენებული საკითხის მხატვრული გადაწყვეტით. რასაკვირველია, ყველა მათგანი არ არის ერთნაირი ძალისა და შთამბეჭდაობის, ეს არც შეიძლება იყოს, მაგრამ მათი უმრავლესობა სწორედ ასეთია და ამიტომ ძვირფასი ჩვენთვის. სერგო კლდიაშვილის გმირები, ეს უმეტესად ჩვენი თანადროულობის ადამიანებია: ჩვენ მათ შევხვედრივართ, ჩვენ მათ ვიცნობთ, ჩვენ მათ გვერდით ვცხოვრობთ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე ადრეულ მოთხრობას, რომელიც მწერალს მოგვიანებით არცერთ კრებულში არ შეუტანია, სერგო კლდიაშვილის შემოქმედება გვხიბლავს თავისი მონოლითურობით, როგორც იდეურ, ისე მხატვრული თვალსაზრისით, თავისი პრინციპულობით და ჰუმანურობით. აქ უკვე არავითარ საფეხურებთან და გარდატეხასთან არა გვაქვს საქმე და ამიტომაც მისი ნოველები შეიძლება გაირჩეს ასე ვთქვათ დროისა და სივრცის გარეშე, მათი დაწერისა და გამოქვეყნების თარიღების გარეშე, მათი მხატვრული კონცეპციისა და შესრულების ხარისხის მიხედვით. სხვათა შორის, იგივე პრინციპია გამოყენებული სერგო კლდიაშვილის ნოველების უკანასკნელ წიგნში, სადაც თავმოყრილია მწერლის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი და გამოქვეყნებული თითქმის ყველა აღსანიშნავი ნოველა.

სერგო კლდიაშვილიც ბუნებით პოეტია. რომ არაფერი ვთქვათ მინიატურებზე „სოფლის დამე“, „როცა ზედაზნიდან გავცქერი“, „რთველში“; რომელნიც ჭეშმარიტი ლექსებია პროზად, ეს კარგად იგრძნობა კლდიაშვილის პატარა ნოველაშიც, რომლის სათაურია „სოფლის გზაზე საქართველოში“. არაფერი განსაკუთრებული არაა მოთხრობილი მასში, მაგრამ მისი პათოსი ამადლებულია და, რაც მთავარია, არ უკარგავს ნოველას გულწრფელობას, ჩვენ გვჭერა მწერლის და ვტკბებით მისი ნოველის ლექსისებური შთამბეჭდაობით. უთუოდ ღირიულია ს. კლდიაშვილის მშვენიერი ნოველაც „ჰინკა-ბიჭები“, რომელსაც ქვესათაურად აქვს „ერთი უბნის მოკლე მატყანე“. ეს მართლაც აბესაძეების უბნის თავისებური მა-

ტიანეა, ჩატეული ერთ ნოველაში. აბესაძეების უბნის მამა-მთავარმა პაპა ლაზარემ დიდხანს იცოცხლა, „შვილები კინალამ სიბერეში დაეწივნენ, ხოლო შვილიშვილები მოწიფულობაში შევიდნენ. ბევრი გასაჭირის გადამტანი მოხუცობაში მშვიდად ცხოვრობდა და მშვიდადვე მიიცვალა: წინაყართან რომ საჩრდილობელი ბეოლის ხას ძირში გათლალი ქვა იდო. იქ ჩამოქვდარს სამუდამოდ ჩაეძინა“⁴⁵ შესაძლოა პაპა ლაზარეს საკვდილმა სადღაც მოხუცი ფორსაიტის სიკვდილი მოგვაგონოს (ისიც უღრტვიხველდ კვდება თავის მამულში საყვარელი ხის ჩრდილში), მაგრამ ეს არ არის ლიტერატურული რემინისცენცია, ეს წმინდა ქართული ამბავია, ქართული სულით შთაბერილი. და მაინც მოხუცი ფორსაიტის გახსენება ღირს. ღირს იმიტომ, რომ უფრო მეტად გავუსვათ ხაზი ნოველის სპეციფიკას, მის სხვაობას დიდტანიან რომანებთან, იმ გარემოებას რომ ერთი გვარის მატთანე შეიძლება დაიტოს მრავალტომიანმა წიგნებმაც და პატარა ნოველამაც. ორივეს, ცხადია, თავისი ღირსება აქვს, თავისი სათქმელი. ს. კლდიაშვილი კარგად გრძნობს უანრის ჩარჩოებს და ამიტომაც ნოველას მიანდო ჩანაფიქრის პოეტური ხორცშესხმა. „ჭინკა-ბიჭებში“ ყველაფერი ლამაზია და არაფერი შელამაზებული. ლამაზია ის, რომ კერიას ყოველთვის ჰყავს ჭინკა-ბიჭები, რომ ცხოვრება იმეორებს კარგს და მიდის როგორც მდინარე, რომელიც შესაძლოა აღარ ბრუნდება, მაგრამ ყოველთვის ხმაურია. ლამაზია იმერული სოფლის ხატება, ჩვენ თითქოს ვგრძნობთ გადამწიფებული ალუჩის, მოწითალო მტევენების სურნელსაც კი. ლამაზია ის ოპტიმიზმიც და ის სიყვარულიც რომელიც სჭვალავს ნოველას. შესანიშნავ მხატვარს და პიროვნებას პოლ სეზანს, როგორც ამას მისი თანამედროვე ამბრუაზ ვოლარი იგონებს, უთქვამს: „ყოველივე დიადი — მე ამას ვამბობ არა ცუდი გაგებით, — ბოლოსდაბოლოს გლლის. არიან ისეთი მთები, რომ მათ დანახვაზე უნებურად წაშოიძახებ: „ეშმაკმა დალახვროს!“ მაგრამ

⁴⁵ ს. კლდიაშვილი, ნოველები. თბილისი, 1960. გვ. 4. (შემდგენსაკუთრებული მითითების გარეშე, ციტაცია ამ წიგნიდან).

ყოველი დღისათვის ჩვენ სრულიად დაგვაკმაყოფილებდა პატარა ბორცვი“. არის რაღაც მსგავსება ნოველასა და იმ ბორცვს შორის, რომელზედაც სეზანი ლაპარაკობს. არა ყოველდღიურობით გამოწვეული, არამედ განწყობით. განწყობა ხშირად წარმოშობს ნოველას (ყოველშემთხვევაში ნოველაში იგი უფრო ხელშესახებია), ვიდრე პროზის რომელიმე სხვა დიდ ტილოს. ლაპარაკია არა მსოფლმხედველობრივ მომენტებზე (თუმცა ისინიც იგულისხმებიან თავისთავად). არამედ უპირატესად სწორედ განწყობილებაზე, ავტორისა ან მოქმედ პირის ხასიათის (ამა თუ იმ მომენტში) გამოვლინებაზე ნოველაში. და სწორედ ეს მომენტი აახლოებს მას ლექსთან. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ყოველი ნოველა დაწერილი უნდა იყოს პოეტური აღმაფრენით, უსათუოდ ქლერადი და ა. შ. მაგრამ ყოველი ნოველა, როგორც არ უნდა იყოს იგი, გაცილებით მეტ შესაძლებლობას იძლევა განწყობილების გადასაცემად.

სერგო კლდიაშვილის საუკეთესო ნოველებს ეკუთვნის აგრეთვე ნოველა „შემოდგომის წვიმა“. დიდი ჰუმანიზმით გამთბარი და ოსტატურად შესრულებული პატარა ამბავი. მწერალი იგონებს, როგორ შეიფარა და გაათბო გლახა წვიმიან ამინდში მისმა დიდებამ. ორი დღე და ღამე იყო მიყუჩული ბუხართან გლახა. მესამე დღეს იღარა. გლახა „წასასვლელად გამზადებული რამდენიმე წუთს. ისევ იღგა და ცეცხლს თვალს არ აშორებდა.

— შენთვის კარგი დარია, აღარაფერი გიშავს!

დიდებდას ამ სიტყვებზე თითქოს გამოერკვაო, თავი მდაბლად დაუქრა. რაღაც წაიდუღუნა და მძიმე ნაბიჯით კარებისაკენ წავიდა

— შე კაი კაცო მადლობასაც აღარ ამბობ? — ხმა დააწია დიდებამ — პატივი რომ გეცი, ამაზე ნაწყენი მიდიხარ? შენისთანა კაცი უნდა შეიფარო და გაათბო ადამიანმა?!

მათხოვარი შეჩერდა და მაშინ პირველად მისი ხმაც გავიგონე:

— მადლობელი ვარ, ჩემო ქალბატონო. ღმერთი სიკეთით გადაგიხდის... — ისევ მდაბლად დაუქრა თავი და მერე ამოიხ-

ვრით დაუმატა: — შენი კარგად ყოფნით, ნეტავი მართლაც არ გაგეთბე...“⁴⁶. ეს ამბავი დიდი ხნის წინად მოხდა, მწერალს კი უბრალო შემთხვევამ გაახსენა: იმ დღეს როდესაც მათხოვარა გამოჩნდა, სახლში მანკვეალას არჩევდნენ. დიდი ხნის შემდეგ სოკოს სურნელებამ გაახსენა მწერალს ეს ამბავი ფსიქოლოგიურად სავსებით გვაჭერებს დეტალი — სოკოს სუნმა გაახსენა მწერალს ერთი ეპიზოდი მისი ბავშვობიდან. ეს კარგად მიგნებული დეტალია, მაგრამ მთავარი, რასაკვირველია, თვით ის ამბავია, რომელიც მას მოაგონდა. და ამ ამბის გახსენებაც უთუოდ ღირდა. ძალიან ბევრია ტრაგიკული ერთი შეხედვით თითქოს და უმნიშვნელო ამბავში — უპატრონო კაცმა ორი დღის განმავლობაში კვლავ განიცადა ბუხრის სითბო. დაიძინა უშფოთველი ძილით. სწორედ ეს ნოველა შესანიშნავი ილუსტრაციაა იმისა, რომ სადა, ლაკონიურ ფრაზებს შეიძლება ამოფარებული იყოს უდიდესი გრძნობა და სინაზე. უბრალო ამბავმა ღრმად დაგვაფიქროს და დიდი სათქმელი სთქვას. „შემოდგომის წვიმა“ ტიპიური ნოველაა თავისი ჩანაფიქრით. მისი განხორციელებით და რაც ყველაზე უფრო დასაფასებელია ჩვენთვის — ჩვენ მასში ვგრძნობთ კემშარიტი ხელოვანის ხელს.

ჯერ კიდევ ფრიდრიხ შლეგელი ამბობდა: „კემშარიტი პროზაში ყველა სიტყვა უნდა იყოს ხაზგასმული“, მაშასადამე მნიშვნელოვანი და არა უმიზნო, მით უმეტეს ნოველაში. სერგო კლდიაშვილს არ უყვარს მრავალსიტყვაობა, ის ამბობს მხოლოდ საჭიროს და აუცილებელს. მაგალითად: „ტელეგრაფისტი სანდრო მინდიაშვილი, მისთვის საუბედუროდ, არ იყო მეოცნებე. ეს თვისება რომ ჰქონოდა, იქნებ უფრო ადვილად აიტანდა არგვეთში ყოფნას. ის თავის თავს სთვლიდა ფაქიზი განცდების მქონე ადამიანად და ამიტომ მარტოობას გრძნობდა“. სერგო კლდიაშვილი ძალიან კარგი მთხრობელია; მისი ეს თვისება შესანიშნავად მოსჩანს ისეთ ნოველებში, როგორიცაა „უუუუნა, მინდვრის ყვავილი“, „სერაფიტა“ და სხვა. თქმა იმისა, რომ სერგო კლდიაშვილის ყველა ნოველა თანა-

⁴⁶ იქვე. გვ. 25.

ბარი სიძლიერის არის, რასაკვირველია მართებული არ იქნება. კლდიაშვილის შედარებით სუსტი ნოველაა „ზურია“. მეტად სქემატური სიუჟეტი არ გვაღელვებს და არ გვიპყრობს, და თუმცა ნოველა სამამულო ომის თემაზეა შექმნილი, უნდა ითქვას რომ ამ დიდმა თემამ ვერ ჰპოვა შესაბამისი მხატვრული განხორციელება.

ხელოვნურია ნოველა „მეგის“ კონფლიქტიც. მიუხედავად იმისა, რომ ამ ვრცელ ნოველაში ბევრია ქეშმარიტი ოსტატობით დაწერილი ადგილები, მთლიანად ნაწარმოები არ გვაჯერებს.

ნოველა „ბნელ ღამეში“-ც სამამულო ომის თემაზეა დაწერილი. ეს ნოველა გვარწმუნებს, რომ ორიგინალური კუთხით საკითხის დაყენება, თითქმის ყოველთვის ეფექტურია, თუ მას სათანადო მხატვრული გადაწყვეტა გააჩნია. ნოველის მოქმედების მსვლელობის დროს არ გვესმის ქვემეხთა და ნაღმთა ხმა, აო ვხედავთ ფრონტს, მაგრამ მთლიანად დაკავშირებული ვართ მასთან, ის ძალიან ახლოა ჩვენს შეგრძნებასთან, განუწყვეტლივ ვგრძნობთ მას. ნოველაში მშვენივრად არის გამოკვეთილი ტიპაჟი — პროვიზორი მაკარი და ფოსტის მოხელე მირიანი. ერთი სიცოცხლის მოყვარული, ჯანსაღი ადამიანია, განუზომლად შეყვარებული ყოფიერებაზე, მეორე — შეშინებული და იჭვიანი, მაგრამ არსებითად კეთილი და კეთილსინდისიერი. საოცრად დამაჯერებელია მათი დიალოგები, რომლებშიც მკაფიოდ ვლინდება მოსაუბრეთა ხასიათები. გვამახსოვრდება განგაშის შემდეგ ქალაქის პეიზაჟის აღწერაც. გვაღელვებს ის დიდი სითბოც და ის დიდი ოპტიმიზმიც, რომლითაც გამსჭვალულია ნოველა.

სამამულო ომის თემაზეა შექმნილი ნოველა „დაბრუნებაც“. ოჯახი ელოდება დაღუპულის მეგობარს, დაბრუნებულს ფრონტიდან. აი ისიც, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ახალგაზრდა. ყველანი სიხარულით ხვდებიან მას და არის რაღაც სევდაც მათ სიხარულში — სტუმარი ხომ ის ადამიანია, რომელიც გარდაცვლილის უკანასკნელ დღეს დაესწრო. ნოველა ქმნის საჭირო განწყობილებას, მიუხედავად მინორისა ღრმად ოპტიმისტურია. პატარა ბიჭი, ოჯახის უმც-

როსი წევრი, შვილი დაღუპულისა, განასახიერებს სიცოცხლის უწყვეტელობას. მის ძალასა და მარადიულობას: ის აღლევს საბაბს ბაბუას იზრუნოს, არ მიეცეს დარდს, ის ავსებებს დაქვრივებულ დედის ცხოვრებას.

სტუმრის გაცილების შემდეგ ბინა რამდენიმე ხნით სიჩუმემ მოიცვა. მაგრამ აი ეზოდან ამორბის ბავშვი და ყველაფერი კვლავ ახმაურდება. ნოველა სრულდება შემდეგი ფრაზით: „რამდენიმე წუთის წინად სიჩუმეში ჩაძირული სახლი ისევ ხმაურით და სიცოცხლით აივსო“. ეს ნიშანდობლივი წინადადება სავსებით ეხამება ნოველის მთლიან პათოსს. „მოჩვენებით უკონფლიქტობის დროს, ნოველის კომპოზიცია, უკავშირებს რა ერთმანეთს სინამდვილის ნიშნებს, უჩვენებს ჩვეულებრივში არაჩვეულებრივს და ამ არაჩვეულებრივში ყველაზე მთავარს, ყველაზე არსებითს“ — წერს ვიქტორ შკლოვსკი, ჰერიფრაზს უკეთებს რა ტიკის ცნობილ გამონათქვამს. მართლაც „დაბრუნება“ შესანიშნავი ილუსტრაციაა ზემოთ მოყვანილი დებულებისა.

სერგო კლდიაშვილს აქვს რამდენიმე სატირული ხასიათის ნოველაც. მათ შორის „აბესალომ ნახუცარა“, „სარიდონ ში. შიას ვნებანი“. „უდანაშაულო დამნაშავე“, „ცხოვრება პატარა კაცისა“. აქ ხშირად შევხვდებით კომიკურ სიტუაციებს. ამ ნოველებში კომიკურს არსებითად წარმოშობს კონტრასტები. მაგალითად: ყოფილი ხუცესი მედუქნე ხდება, მორწმუნე ურწმუნოთა საზოგადოებაში ეწერება, და ა. შ. მწვავე სატირულ ხასიათს ატარებს აგრეთვე ნოველები „მთვრალი ლანდი“ და „კარაბადინი“. ზემოთ ჩამოთვლილ ნოველებში არის ნოველები ანეკდოტური ხასიათისაც. ნოველა, როგორც ცნობილია, ბევრითაა დავალებული ანეკდოტისაგან. ასე მაგალითად ცნობილია, რომ შლეგელის აზრით ნოველა თავისი წარმოშობით ანეკდოტია, ისტორიაა, ახალი ამბავი ან თუნდაც დამოუკიდებელი ფაბულა. მაგრამ, ეს არ არის მთავარი: პროფ. ბერკოვსკი, გადმოგვცემს რა შლეგელის აზრს, წერს, რომ ფაბულა, რომელიც არსებობდა მხატვრამდე, ბოროტად მტკვარს ან თავისი ფაქტიურობით, ან რედაქციის ტრადიციულობით. „მაშასადამე ოსტატობა ნოველისტს შეუძლია

გამოამჟღავნოს მხოლოდ ტრაქტოვკის თავისებურებით, მხოლოდ ავტორის სუბიექტურობაზე ეცემა მახვილი, როდესაც ვასდება მოხეტიალე სიუჟეტის დამუშავება⁴⁷. სიუჟეტის დამუშავების ხარისხი — აი მთავარი ფაქტორი ნოველის შექმნისა. ცხადია, შლეგელის ეს მოსაზრება გულისხმობს ადრეულ ნოველას, მაგრამ არ კარგავს თავის მნიშვნელობას ანალოგიურ შემთხვევების დროს ჩვენ თანამედროვეობაშიც. რასაკვირველია თავისთავად მეტად მნიშვნელოვანია რას გადმოსცემ, მაგრამ ქეშმარიტი ხელოვნება უთუოდ იზომება იმის მიხედვითაც, როგორ გადმოსცემ. ვაკრეჟილი ბერის ლიტერატურული სახე. საკმაოდ მოარულია. სხვადასხვა მწერალი სხვადასხვა აქცენტს სვამდა მისი შექმნის დროს. სერგო კლდიაშვილმა შექმნა ძლიერი სატირა და კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა ქეშმარიტი ოსტატობა, გარდა ამისა თავისი პოზიციებიც. პოზიციები მოწინავე საბჭოთა მწერლისა, რომელიც დაუნდობლად ამთრახებს მანკიერს. აბესალომ ნახუცარა ღმერთს თავს ანებებს არა იმიტომ, რომ მის შეგნებაში მოხდა რაიმე დიდი ძვრები. ან წარსული ცხოვრების გადაფასება. არა. აბესალომი მედროვეა და მედუქნეობა ახალ ვითარებაში მისთვის უფრო სარფიანი საქმეა. სარადონ შოშიაც მედროვეა. მაგრამ განსხვავებული აბესალომისაგან. იგი ნაკლებ გაიძვერა და უფრო მეტად მშვიშარა. მშვენიერად არის გადმოცემული ნოველაში სარდონის კოშმარული სიზმრები. რომელნიც მისი ურწმუნოთა საზოგადოებაში ჩაწერის შემდეგ, სტანჯავენ მას. ნოველაში ყველგან დაცულია რეალისტური ნახატი, რომელიც გვაჩერებს და ვვაცინებს კიდევ.

სერგო კლდიაშვილის ნოველებს შორის თავისი კლორიტულობით და ხატვის პლასტიკით უთუოდ გამოირჩევა ნოველა „ქალაქი ზევში“. შემთხვევა, რომელიც ნაამბობია მასში. სულ უბრალო და უმნიშვნელოა. მაგრამ პატარა პროვინციული ქალაქისათვის შეუფოთების და მიძინებული ცხოვრების გამოცოცხლების საბაბი გამხდარა. ყველაფერი მოვლენად

⁴⁷ Литературная теория немецкого романтизма, под редакцией проф. Берковского, 1934, Л., гл. 35.

ირიცხება ხევში გაშენებულ ქალაქში — ტელეგრაფისტისათვის თბილისიდან მიღებული დეპეშა უზომოდ გასახარელი ამბავია; ყველაფერი მდორეა ნოველაში დახატულ პროვინციაში, ყველაფერი მოძველებული. პურიც და ბოლოკიც კი, რომელსაც მიკიტნები ჰყდიან. სადგურში ჩამოკიდებული ზარი სევდიანად ჟღერს, ძველი ეკლესიის კედლები დამსკდარა. მწერალი რბილი იუმორით გადმოქცევს ამ პატარა ქალაქის ცხოვრებას, მის ბინადრთა პორტრეტებს და მკითხველს უხარია, რომ ეს უკვე შორეული ლანდებია.

სერგო კლდიაშვილს აქვს ნოველებიც, რომელნიც კონსტრუქციით ტრადიციულნი არიან. ასეთია მაგალითად ნოველა „აპრილის საიდუმლო“, ტრადიციული მოულოდნელი დასასრულით. მოხუც ესტატეს ღიმილითა და ალერსით შეხვედება ერთი თანამდებობის პირი, რომელიც სხვა დროს, არც კი ესალმებოდა მას, ოდესღაც კი მისი მეგობარი იყო. ესტატე ბედნიერია და ყველაფერს აპრილს, მზეს და სილამაზეს აბრალებს. ნოველის ბოლოში კი ირკვევა რომ თანამდებობის პირი სამსახურიდან მოუხსნიათ და აპრილი აქ არაფერ შუაში არ არის.

„აპრილის საიდუმლოს“-თან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ს. კლდიაშვილის თითქმის ყველა ნოველა მოგვიწოდებს კეთილშობილებისადმი, მაგრამ მწერლის ამ დიდ ქადაგებას მკითხველი ქვეშეცნეულად ითვისებს და არასოდეს არ ხდება მშრალი დიდაქტიკის მსხვერპლი. ამას მწერალი აღწევს შესანიშნავი მთხრობელობით, მკვეთრად გამოკვეთილი ტიპაჟით, განწყობის საუკეთესო გადმოცემით და მხატვრული ოსტატობის სხვა არაერთი საშუალებით, რომელთაც სერგო კლდიაშვილი თანაბრად ფლობს.

ცალკე ფურცელს ს. კლდიაშვილის შემოქმედებაში წარმოადგენს „სვანური ნოველები“, რომელნიც თავისი შთამბეჭდაობით დაუვიწყარნი ხდებიან: „ლაშხეთის ბატონი“. „ხალდე“, „უშგული“... სვანი ხალხია ამ ნოველების მთავარი გმირი. „სვანური ნოველების“ ჰეროიკა მოითხოვდა ამ ნოველების განსხვავებულ ჟღერადობას და ავტორის თხრობის ტონიც შესამჩნევად იცვლება: ამალღებული და ამავე დროს

ეპიკრი ხდება, ყოფით ნოველებთან შედარებით. მაგრამ სერგო კლდიაშვილი არ ლაღატობს თავის არსებით გზას: დაკვირვებულობა, დეტალის დამუშავება, კვლავ აუცილებელ კომპონენტებად რჩებიან ამ ნოველებში. ასე მაგალითად: „ლაშხეთის ბატონი დევლეთ ყიფიანი მთებში გარბოდა. რვა ერთგული ყმა თან მიყვებოდა.

მთებში სიჩუმე იყო. ისმოდა მხოლოდ ცხენების თქარუნნი და ბილიკიდან უფსკრულში დაგორებული ქვების ხრიალი“. „ბილიკიდან უფსკრულში დაგორებული ქვების ხრიალი“ არას ვნებს წარმოსახულ სურათის მონუმენტურობას.

„სვანურ ნოველებში“ სერგო კლდიაშვილმა შექმნა თავისუფლებამოყვარული ხალხის სახე, რომელიც თავისუფლებას ბრძოლით ეძიებს. ლაშხეთის ბატონი იძულებულია გადახტეს კოშკიდან და შუბებზე წამოეგოს, რადგან ამბოხებული გლეხობა სულერთია მას სიკვდილს არგუნებს. ჰკლავენ უშგულელები დაჩქილანსაც. ნოველაში „უშგულ“. რადგან სამართალს ეძიებენ.

ძველი სვანეთის წესს და ჩვეულებას ასახავს ს. კლდიაშვილის ნოველა „მურზაყანი“, რომელშიდაც კარგადაა გადმოცემული მოხუცი სვანის ფსიქოლოგია, მისი შურისმაძიებლური ინსტიქტები. მურზაყანი იმდენად მოხუცია, რომ არც მეზობლები, არც მოკლულის ჰირისუფლები არ ასახელებენ მას მკვლელად, რათა იგი არ დაისაჯოს. მაგრამ თვით მურზაყანი მთელი თავისი არსებით ცდილობს დაამტკიცოს რომ მკვლელი იგია, რადგან სხვა შემთხვევაში მას არ ჩაეთვლება სისხლის აღება.

თუ როგორ იცვალა ფერი სვანეთის ადათებმა ჩვენ, განახლებულ დროში, ჩანს ნოველაში „მტრები“, რომელიც აგრეთვე სისხლის აღების წესს ეხება. გუშინდელი მტრები დღეს ნამდვილ, კარგ მეგობრებად იქცევიან.

„სვანურ ნოველებში“ სერგო კლდიაშვილმა ფართე, დიდი მონახაზებით დახატა სვანეთი. მწერლისათვის სვანეთი არის არა ეგზოტიკური კუთხე და არა სხვა სამყარო. პირიქით, ეს მთების, თავისუფლებამოყვარეობის მკაცრი და სამართლიანი მხარე, მისთვის განუზომლად მახლობელია. მან კარ-

გად იცის მისი ადათები, ბუნება, და რაც მთავარია იგი მას უყვარს.

„სვანური ნოველები“ გამოირჩევა ამავე დროს სიტუაციის სიმძაფრით, რაც სამართლიანად აღნიშნა ვიქტორ გოლცევი თავის წერილში სერგო კლდიაშვილზე, ამავე დროს იგი დიდ ფრანვ ნოველისტს პროსპერ მერიმეს შეადარა. გოლცევი წერს: „სარგებლობს რა გროტესკის ხერხით და ამძაფრებს რა სინამდვილეს, კლდიაშვილი არა იშვიათად აღწევს დიდ მხატვრულ გამომსახველობითობას. რომელიც მას პროსპერ მერიმესთან ანათესავენს. ინარჩუნებს რა თვითმყოფადობას და თავისი შემოქმედების ნაციონალურ თავისებურებას, ქართული მწერალი არაერთხელ ეხმაურება „კარმენისა“ და „კოლომბოს“ ავტორს“⁴⁸ (სხვათაშორის სერგო კლდიაშვილსა და მერიმეს შორის ერთგვარი მსგავსება დაინახა გურამ კანკავამაც. წერილში რომელიც უფრონალ „ცისკარში“ დაისტამბა 1959 წელს).

„სვანური ნოველები“ უთუოდ მნიშვნელოვანი ეტაპია ს. კლდიაშვილის შემოქმედებაში.

დიდი ჰუმანიზმით და სიცოცხლისადმი დიდი სიყვარულით არის გამთბარი სერგო კლდიაშვილის ბევრი ნოველა. მათ შორის „სერაფიტა“, „პირმშო“, „თქვენი გამარჯვებისა იყოს ძმებო!“ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ს. კლდიაშვილი მთელი თავისი მოწოდებით არის ნოველისტი. ნოველა არის საუკეთესო ფორმა მისი მხატვრული ყალბისათვის, რომელიც ავტორმა ჩაატია ბევრი სასაცილო და ბევრი დრამატული ამბავი. სადა, უპრეტენზიო წერის მანერა ყოველთვის დიდ მხატვრულ ყალიბშია მოქცეული. ნოველებში მწერალი გვევლანება როგორც უაღრესად კეთილშობილი შემომქმედი, ორმად შეყვარებული თავის ხალხსა და ქვეყანაში. ბევრი მისი ნოველა პოეტური შთამბეჭდაობით არის სავსე და წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს. სერგო კლდიაშვილი არის დიდი ერუდიციის მწერალი. რომელიც თავის ნოველებში არსები-

⁴⁸ В. Гольцев. Литературно-критические статьи, Тб., 1957, გვ. 275.
56

თად გვევლინება როგორც ქართული რეალისტური პროზის ტრადიციების განმგრძელებელი; ამიტომაც მისი ნოველები კიდევ ერთი შთაგონებული ფურცელია ქართული ნოველის ისტორიანი.

* * *

ქართული რეალისტური ნოველის განვითარება და სრულყოფა უთუოდ მკვიდროდაა დაკავშირებული მ ი ხ ე ი ლ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ის სახელთან. ამ დიდმა თანამედროვე მწერალმა შექმნა შესანიშნავი ნოველები ღრმად ამაღლებელი თავისი დრამატუზმით. ადამიანისადმი სიყვარულით, მხატვრული შესრულებით. ასეთია მისი „ჩანჩურა“, „ტყის კაცი“, „მართალი აბდულაჰ“. „ეურკას ქორწილი“. მ. ჯავახიშვილმა გამოძერწა ბრწყინვალე სახეები თავისი მხატვრული სიძლიერით — გაიძვერა ყაშასი და მომთაბლავი ლამბალოსი, მოხუცი პაპა დიმოსი და კოლორიტული დამპატიყესი.

მ. ჯავახიშვილის ნოველების უმეტესობა ტიპიური ნოველებია, ე. ი. მათ ახასიათებთ ნოველის თითქმის ყველა სპეციფიკური ნიშანი: კომპაქტურობა. მოქმედ პირთა შეღარებითი სიმცირე, ზოგჯერ უცნაური ამბავი, მახვილის დაცემა ნოველის დასასრულს. ჩანს. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს, რადგან „გივი შადურში“ ჩვენ ვკითხულობთ: „ისიც ჩემზე უკეთ მოგესხენებათ, რომ მოთხრობაში თავდაპირველად მთლიანი შეკუმშული ამბავი უნდა იყოს ჩასხმული. ყოველივე დანარჩენი უბრალო სამკაულია, როგორც კოხტა კაბა მასზე უფრო მშვენიერ სხეულზე ჩაცმული.

გარდა ამისა. მოთხრობა ისარივით პირდაპირი მიზნისაკენ უნდა მიდიოდეს. ისიც გვეცოდინებათ. რომ მოთხრობის დასაწყისი. დასასრული და სათაური ნახევარ გამარჯვებას უდრის“¹⁹.

სხვათა შორის ჩეხოვი ამბობდა. რომ იგი შეეჩვია პატარა მოთხრობებს, რომელნიც დასაწყისისა და დასასრულისგან

¹⁹ მ. ჯავახიშვილი. რჩეული მოხულებანი ექვს ტომად. ტომი III. 1960. გვ. 427.

შესდგებიან. ცხადია, ჩეხოვი გულისხმობდა მის მოთხრობათა მოცულობას, მაგრამ ამ გამონათქვამშიც მოისმის ის აქცენტუაცია, რომელიც ჩვეულებრივ ხდება ნოველის დასაწყისსა და ბოლოში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა მოულოდნელი, ანაზღეული დასასრული, (რაც აგრეთვე რიგ ნოველებს ახასიათებს), არამედ ის გარემოება, რომ არსებითად ეს ნაწილები — დასაწყისი და ბოლო, არეგულირებენ ნოველის პულსაციას. და როგორც ხშირად ლექსი იწერება უკანასკნელი ტაქვისათვის, ისე ხშირად ნოველის დასასრული ერთ ნოველად ღირს. ცხადია, ეს არ არის უაპელაციოდ ნათქვამი. საერთოდ ლიტერატურაში კანონმდებლობა მეტად საეჭვოა, რადგან თითქმის ყოველთვის შეგვხვდება გამონაკლისი.

უთუოდ საყურადღებოა მ. ჭავჭავიძის გამონათქვამი - მოთხრობის დასაწყისი, დასასრული და სათაური ნახევარ გამარჯვებას უდრის“-ო. ცხადია, დასაწყისი და დასასრული ყოველთვის უფრო მომგებიანია ეფექტის თვალსაზრისით (ეს წმინდა ფსიქოლოგიური ამბავია) მაგრამ სავსებით სამართლიანია ჭავჭავიძის აზრი, რომ კარგად შესრულებული თავი და ბოლო მხოლოდ „ნახევარ გამარჯვებას უდრის“. სრული გამარჯვება რასაკვირველია, დამოკიდებულია მთლიანი ნაწარმოების განსახიერების ხარისხზე, ყოველი ნაწილის კეთილსინდისიერ დამუშავებაზე. თვითონ ჭავჭავიძე ამ მხრივ სამაგალითოა. თითქმის ყველა ნოველა თავიდან ბოლომდე დაწერილია მაღალი პროფესიონალიზმით. ყველგან იგრძნობა ნაცადი ოსტატის ხელი, სულერთია, იქნება ეს შესანიშნავი „მართალი აბდულაჰ“, თუ თავისთავად უფერული ნოველა „შურისმაძიებელი“. მხატვრული ნაწარმოებთან სიმრთელე, მონოლითურობა, ეს, ჩვენი აზრით ჭავჭავიძის ერთ-ერთი სპეციფიკური თვისებაა. შეიძლება დაიბადოს აზრი — მხატვრული ნაწარმოების მონოლითურობა ხომ ყველა დიდი მხატვრის თვისებაა. რასაკვირველია, — მეტნაკლებად, მაგრამ ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს თითქმის პრინციპამდე აყვანილი თვისება — გაირანდოს ნოველა ისე, რომ მისმა ყველა შემადგენელმა ნაწილმა ერთიანი, ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინოს. ყველა ნიუანსი

ყველა დეტალი ნოველაში დამუშავებულია დიდი გულისყურით. ასეთია ჭავჭავიძელის „ჩანჩურაც“.

ნოველა შემდეგნაირად იწყება: „ბოლოს, ბევრი წვალეზისა და ლაპარაკის შემდეგ, პოლიციის ბოქაულმა აღმოაჩინა, რომ ოცდასამი წელიწადია რაც პოლიციელი პეტროვი ბაზარში მსახურობს, იქვე სცხოვრობს და აქამდის არც კი სცოდნია ჩანჩურას ნამდვილი გვარი და სახელი.“

მუნჯი ჩანჩურა იქვე იდგა და ფიქრობდა: — რა ვქნა, ეს სად მომიყვანეს, ან რა უნდათ ჩემგან⁵⁰. ყოველგვარი ექსპოზიციის გარეშე, ჩვენ პირდაპირ მოვლენათა შუაგულში აღმოვჩნდებით და თავიდანვე საკმაოდ ორიენტირებულნი ვართ. — ჩვენს წინ უკვე ისახება მუნჯი ჩანჩურა, საწყალი კაცი და რაღაც ნიშნებით უკვე მოხაზულია ბაზრის ბოქაულიც და პოლიციელი პეტროვიც.

ჩანჩურა მუნჯი, უსახლკარო, მათხოვარა. მთელი ბაზრის გასართობია. განსაკუთრებით თავს იქცევენ ყასბები, რომელნიც დაბეჩავებულ ჩანჩურას მურას აჭიდებენ ფულტვის რამოდენიმე ნაჭრისთვის. საშინელია ჩანჩურას ბედი. მას განსაკუთრებით აშინებს მურა, რომელიც ჩანჩურას ლუქმასაც ართმევს, ქალამნებსაც, შარვალსაც უგლეჯს. მაგრამ კიდევ უფრო საშინელია ჩანჩურასთვის თორმეტი წლის ბიჭი არტუშა, რომელსაც მოსალხენად და თავშესაქცევად, გონებაშეზღუდული ჩანჩურას გამასხარავება განუზრახავს. მკაცრი, ძუნწი შტრიხებით, მკითხველის თვალწინ ნელნელა იშლება მთელი სიბრიყვე და უღმობელობა იმ ბრბოსი, რომელიც ჩანჩურას გარს არტყია. ამ ბრბომ არ იცის შებრალება და ჩანჩურას, მოკლებულს ადამიანურ ღირსებებს, მაგრამ მაინც ადამიანს. უღმობელად თელავს და ურიცხვ ტანჯვას აყენებს, რაც მან, ბრბოს, ამხიარულებს და აცინებს. ან კი რამდენად გადაგვარებული უნდა იყო, როგორც პიროვნება, რომ სიამოვნება მოგაყენოს საწყალი კაცის ტანჯვამ, რამდენად შეზღუდული ინტერესები უნდა გქონდეს, რომ გაერთო ძაღლისა და კაცის ჭიდილით, თანაც არასრულფასოვანი კაცისა. შეიმადრწუნებელია

⁵⁰ შ. ჭავჭავიძელი. რჩეული თხზულებანი ექვს ტომად, ტ. I. 1958. გვ. 5.

ჩანჩურას სიკვდილის სცენა. მურასთან ჭიდილის შემდეგ, დევნილი პოლიციელისაგან, იგი თავს ერთ შესახვევს აფარებს, მაგრამ იქიდან გამოვარდნილი ეტლი, გადათელავს მას და ჩანჩურა ფილაქნიდან ველარ წამოდგება... ცხოვრება კი თავის დინებით განაგრძობს გზას. პოლიციელი პეტროვი კვლავ საგონებელშია, ბოქაულმა დაავალა გაიგოს ჩანჩურას სახელი. გვარი, ვინაობა, საიდან ჩამოვიდა...

ნოველა ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს. იგი არ არის დინამიური სიუჟეტის განვითარების მხრივ, ეს სწორედ ის ნოველაა, რომელთაც ინერტულ, სიუჟეტიან ნოველებს უწოდებენ. ეს მხოლოდ რამოდენიმე სურათია ჩანჩურას შემადრწუნებელი ცხოვრების მათიანედან. ძირითადი სიმძიმე ნოველაში ჩანჩურასა და მის გარშემო მყოფთა სახეებსა და ხასიათთა გამოკვეთაზეა გადატანილი. შესანიშნავად არის გადმოცემული ჩანჩურას პირუტყვეული ფსიქოლოგია, დახატული ჩანჩურას პორტრეტი. მწერალი ამჩნევს დამახასიათებელ დეტალებს და თითქოს შემთხვევით ურთავს თხრობაში, ხაზს არ უსვამს მათ. მაგრამ როგორ რეალურ ატმოსფეროს ქმნის იგი. მაგალითად: -ჩანჩურამ რასაკვირველია კარგად იცის რა განსაცდელიც მოელის იმის დღევანდელ სადილს, ამიტომ არტუშას და ზურას დანახვაზე მაშინვე ქვევით გაიქცევა, მაგრამ საშინელი სისწრაფით მოელვარე ფეხის გულებს კვალდა-კვალ მისდევენ არტუშა. მურა, მისი მხიარული წკმუტუნია, ყასბების ხარხარი და პეტროვის ჭეჭა: Я те покажу у-у!-⁵¹. „საშინელი სისწრაფით მოელვარე ფეხის გულები“ ქმნის თითქმის კინემოტოგრაფიულად შთაბეჭქდავ სურათს. ამავე დროს ნათქვამი არის თითქოს სხვათა შორის. მთლიანად ნოველას გასდევს ავტორისეული სადა, თავშეკავებული თხრობა, მოკლებული ყოველგვარ იაფ ეფექტურობას. ჭეშმარიტი დიდი მხატვრული გაქანებითაა დახატული ჩანჩურას სიკვდილის სურათი. არცერთი ყალიბი და არცერთი ზედმეტი დეტალი.

მ. ჯავახიშვილს რამოდენიმეჯერ უსაყვედურეს ის გარემოება, რომ მან თავისი არაერთი ნოველის ცენტრში დააყენა

⁵¹ მ. ჯავახიშვილი. რჩეული თხზულებანი ექვს ტომად. ტ. 1.

ასე თუ ისე ფსიქოპათოლოგიური პირები („ჩანჩურა“, „კურ-
კას ქორწილი“, „მეჩექმე გაბო“). არსებითად ამას არ უნდა
ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარია თვით ნაწარ-
მოების პათოსი, ის ჰუმანური საწყისი, რომელმაც ბიძგი მის-
ცა მწერალს შეექმნა „ჩანჩურა“. თანაც ეს არის მკაცრი სა-
ღებავებით დახატული სურათი, რომელშიაც კარგად გამომ-
ქდავდა ავტორის რეალისტური ხელწერა. განა თავის დრო-
ზე დოსტოევსკის არ უყენებდნენ ბრალდებად იმას, რომ ჩვე-
ულებრივ მის ნაწარმოებში იხატებოდა პატარა ადამიანის
თალხი ცხოვრება, შეზავებული ბოროტმოქმედებით, სიკვდი-
ლით და სხვა ამგვარი ყალიბის შემთხვევებით. რომელიც
გამოწვეული იყო ამ პატარა ადამიანის თითქმის პათოლოგი-
ური პატივმოყვარეობით, რადგან მის თავმოყვარეობას ყოველ-
თვის ბლალავდნენ. მაგრამ განა იმავე დოსტოევსკის აღტაცებით
არ შეხვდნენ მესამოციანელთა ისეთი მესვეურები როგორც
იყვნენ ბელინსკი, დობროლუბოვი, პისარევი. რომელნიც დოს-
ტოევსკში ხედავდნენ უპირველეს ყოვლისა ადამიანს, ღრმა თა-
ნაგრძნობით გამსჭვალულს უთანასწორობისა და დამონების
წინააღმდეგ მემამბოხეთა მიმართ. დოსტოევსკი აქ იმიტომ კი
არ გავიხსენეთ, რომ რამე პარალელები გავავლოთ მასა და
ჯავახიშვილს შორის, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტა-
ტებს შორის (თუმცა არც ეს გარემოებაა გამორიცხული).
არამედ იმიტომ, რომ კიდევ ერთხელ დავასაბუთოთ დებუ-
ლება — ყოველ მოვლენას შეიძლება შევხედოთ სხვადასხვა
კუთხიდან და უპირველეს ყოვლისა დავინახოთ ის, რაც ძვირ-
ფასია ჩვენთვის.

„მეჩექმე გაბო“ — უცნაური ამბავი ერთი მეჩექმის უცნა-
ური ვნებისა, შესაძლოა ამიტომაც მოქცეული ნოველის ჩარ-
ჩოებში. გაბოს ცხოვრების უმაღლესი სიმოწინებაა იყიდოს
ტკბილეულობა. საჩუქრები და ეწვიოს საროსკიპოს, რომე-
ლიც იმავე ეზოშია მოთავსებული რომელშიც თვით გაბო
ცხოვრობს. მაგრამ ეწვიოს არა ერთი საათით, ისე როგორც
ხვები. არამედ დაარიგოს საჩუქრები, მოეფეროს თავის „ჭუ-
ჭულებს“. როგორც თვითონ ამბობს, ისიამოვნოს მისი სა-
ჩუქრებით ატეხილი ყრიაშულით. გაბოს ამფსონი მღებავი.

ანტონა ამბობდა გაბოზე: „ამას თითო შემოსვლა თუმანი უკდება იცი?“ ან კიდევ „ეს ქალები ცოლ-შვილზე მეტად უყვარს და რა ჰქნას საწყალმა?“. გაბოს მართლაც ახირებულად უყვარდა მეძავი ქალები, რასაც იშოვნიდა ჯაფით პირველ სართულზე, უმაღლვე მეორე სართულზე ხარჯავდა, შინ კი ცოლსა და ბავშვებს ბევრი რამ აკლდა. ცოლი ავადმყოფობდა; უწინ შეძლებული გაბო ნელნელა ფლანგავდა თავის ქონებას და მაინც სულმოუთქმელად ეხმარებოდა ხანუმას — მეძავი ქალების პატრონს. ბოლოს რაღაც წვრილმანებზე დაროვილი ხანუმას ვალიც დაედო, ერთიორჯერ ხელიც მოაწერა რაღაც ვექსილზე გაბომ, მაგრამ არც კი იცოდა რამდენი ემართა ხანუმასი. ვალი კი იზრდებოდა. და აი, ერთხელ უმადურმა ხანუმამ გაბოს მეორე სართულზე ასვლა აუკრძალა და ვალის გადახდა მოსთხოვა. გაბომ ვერ მოახერხა საჭირო თანხის გადახდა და რაც კი ებადა ყველაფერი აუწერეს. მაგრამ ყველაზე უფრო მტკივნეული გაბოსთვის მაინც მეძავი ქალების უნახველობა აღმოჩნდა; ის და ანტონა დღენიადაგ კვლავ ამ ქალებზე და მათ ნახვაზე ოცნებობდნენ.

ასეთია „მეჩქემე გაბოს“ სიუჟეტური ქარგა. ცხადია გაბო ფსიქოპათოლოგიური პიროვნებაა და მკითხველში მხოლოდ უსიამოვნო გრძნობას იწვევს. სულ სხვაა ჩანჩურა, ის შეიძლება შეგენანოთ. გაბო თუკი შეგებრალემათ, ეს ზიზღნარევი შეცოდება იქნება. მაგრამ ნოველა უთუოდ მაღალკვალიფიციურია შესრულების იმ პროფესიონალიზმით, რომელიც მას თავიდან ბოლომდე გასდევს. რამ დააინტერესა მწერალი გაბოს ხასიათში? რატომ გახდა გაბო მთელი ნოველის შექმნის საბაზი? სოციალური ხაზი ამ ნოველაში მეტად მკრთალია. (თავისთავად იგულისხმება რომ პროსტიტუცია გარკვეული დროის ნაყოფია), ხოლო თქმა იმისა, რომ მწერალი ამ ნოველით ილაშქრებს პროსტიტუციის წინააღმდეგ, მეტად პირობითი იქნებოდა. მაგრამ ფაქტია, უცნაური გაბო მოქცეულია ნოველის ცენტრში. მ. ჯავახიშვილი ერთგან ამბობდა: „დაკვირვება ერთ დროს კულტად მქონდა გადაქცეული და ძალიანაც დამეხმარა. პროზაიკოსისათვის იგი ფრთებს უღრის. უამისოდ ვერ გაჟრინდება“. („როგორ ვმუშაობ“). ეჭვ-

გარეშეა, მეტად ლოგიკური დებულებათა, მაგრამ ჯავახიშვილი ზოგჯერ მეტისმეტად გატაცებულა დაკვირვებით და მისთვის თვითმიზნური ხასიათი მიუცია. სხვა საბაბით ვერ ავხსნით მეჩქემე გაბოს არსებობას. ყურით მოთრეული ამბავი იქნებოდა, ჯავახიშვილისთვის მიგვეწერა ფსიქოანალიტიკური (ზიგმუნდ ფროიდის) სკოლის იდეებით გატაცება. უბრალოდ ნოველა „მეჩქემე გაბო“ წარმოიშვა როგორც ანტურაჟი იმისათვის, რომ გამოკვეთილიყო გაბოს ხასიათი, სახე. ეს გამოწვეული იყო ავტორის რეალისტური ფერწერით გატაცებით, სურვილით, რაც შეიძლება ჭარბად გადაეტანა მხატვრულ ნაწარმოებში ცხოვრებისეული. ამას მოწმობს თვით ჯავახიშვილის აღიარებაც: „ჩანჩურაც ცოცხალი ვნახე, ვნახე მეჩქემე გაბო, კურკაც, ლამბალოც, ყაშაც. აბდულაც. კვაკი მრავალჯერ შემხვედრია, ჩემთვისაც გაუკრავს მას კლანჭი, ის ნარევი ტიპია“. მიუხედავად იმისა, რომ „მეჩქემე გაბოში“ გაბნეულია ბევრი კარგი, დამახასიათებელი დეტალი და როგორც აღვნიშნეთ, ნოველა დაწერილია მაღალი პროფესიონალიზმით, ის უფრო ბევრად მოიგებდა, რომ არსებობდეს ისეთი მიზეზი, რომელიც უფრო გაამართლებდა მის წარმოშობას. ფსიქოლოგიური ანალიზი უნდა იყოს საშუალება გმირის გამართლების ან დადანაშაულების, ან ემსახურებოდეს შექმნილი პირობების წარმოშობის მიზეზთა ჩვენებას, თავისთავად მას უნდა ჰქონდეს რაღაც ფუნქცია, თორემ მხოლოდ კლინიკური მეთვალყურეობა შორს ვერ წაგვიყვანს. სავსებით მართალი იყო ფლობერი, როცა ერთ-ერთ კერძო წერილში წერდა „დაკვირვებულობა — მეორეხარისხოვანი თვისებაა ლიტერატურაში“ ე. ი. მარტო დაკვირვებულობით ვერაფერს გახდებო, თორემ იმავე წერილში ედავებოდა რა ერთ მწერალს, ფლობერი განაგრძობს: მაგრამ ბალზაკის და დიკენსის თანამედროვეს არ ეპატიება ასე ყალბად აღწეროს საზოგადოებაო⁵². რასაკვირველია, ბევრად უფრო აჯობებდა ჯავახიშვილს თავისი მახვილი თვალთახედვით უფრო ღირშესანიშნავი მოვლენისათვის შეესხა ხორცი ამ ნოველაში. მიუხედავად ყოველივე თქმულისა, „მეჩქემე გაბო“ უთუოდ

⁵² Г. Ф л о б е р, Избрание сочинения, 1947. М., გვ. 601.

ძლიერად არის დაწერილი. გვინდა ავლნიშნოთ წინააღმდეგობანიც ვაბოს ხასიათში. ანტიპატიურია ვაბო თავის დამოკიდებულებაში ოჯახთან, ავადმყოფ ცოლთან, შვილთან და ზოგჯერ ღიმილსაც კი მოგვევრით ვაბოს ცდა, იყოს მნიშვნელოვანი მეძავი ქალების თვალში, მისი კეშმარტი სიხარული გამოწვეული მათი დასაჩუქრებით.

შესაძლოა საფუძველს მოკლებული არ იყოს აზრი იმის შესახებ, რომ ვაბო, ისე როგორც ჯავახიშვილის ნოველების სხვა გმირებიც — კურკა, ჩანჩურა ე. წ. „ფსკერის“ წარმომადგენლები არიან ქართულ ლიტერატურაში და თუ გორკიმ ამ თემას ხორცი შეასხა რუსულ ლიტერატურაში, მ. ჯავახიშვილი იყო პირველი, რომელმაც ამგვარი ტიპაჟი ქართულ ლიტერატურაში შემოიტანა. რაღაც საერთო ჯავახიშვილს ზემოთ ხსენებულ სახეებსა და გორკის „ბოსიაკებს“ შორის შეიძლება მართლაც იყოს, მაგრამ რაიმე არსებითი პარალელების გავლება აქ არ შეიძლება. არ შეიძლება იმიტომ, რომ გორკთან „ბოსიაკებს“ შემოყვანა ლიტერატურაში ღრმად გაფიქრებული მოვლენა იყო და ჟღერდა როგორც პროტესტი არსებულის წინააღმდეგ მის არაერთ ნაწარმოებში. („ბოლესი“, „ფსკერზე“ და სხვა). ჯავახიშვილთან კი იგი უფრო შემთხვევით ხასიათს ატარებს, არა აქვს ისეთი მწვავე სოციალური ჟღერადობა. ცხადია თავისთავად ეს ნოველები გვაშხედრებენ უსულგულობის წინააღმდეგ, ნერგავენ კეთილს, გვაცოდებენ ვილაცას და გვაფიქრებენ მის ბედზე. მაგრამ ჯავახიშვილის გმირები ამ ნოველებიდან, არა სოციალური წყობის მსხვერპლნი არიან, არამედ დაბეჩავებულნი არიან უპირველესყოვლისა თავისი არასრულფასოვნების გამო. ასეთია ვაბო, ასეთია კურკა. ჩვენის ღრმა რწმენით სოციალური ხაზი ნოველაში „ვაბო“, რომელზედაც ზემოთ იყო საუბარი მეტად მკრთალია, მკრთალია აქ პიროვნების დამცილების წინააღმდეგ ბრძოლაც, რაც ახასიათებს ნოველებს „კურკას ქორწილი“, „ჩანჩურა“.

სამაგიეროდ ნოველა „უპატრონო“ აშკარა პროტესტს წარმოადგენს მიმართულს პიროვნების დამცილების წინააღ-

მდეგ, რომელიც გამოწვეულია გარკვეული სოციალური ურთიერთობით. ნოველაში ნაამბობია თუ როგორ შეაქცინა ბატონმა უპატრონო ნუცა, თუმც მერე გაათხოვა და მზითვეიც მისცა, მაინც უბედური გახდა იგი. ამ ნოველაშიც კარგადაა გადმოცემული ნუცას ხასიათი. ჩუმი და უნებისყოფო საწყალი გოგოსი, რომელიც ყველაფერს ისე დებულობს, როგორც აუცილებელ საჭიროებას. მხოლოდ ერთხელ გაიბრძოლა მან მთელი ძალით, როცა მის პირმშოს საშიშროება ელოდა, მაგრამ მაინც ვერ დაიფარა იგი. ამბავი დრამატულია და მისი გადმოცემის დროს ავტორი ცდილობს გააძლიეროს შთაბეჭდილება ხშირი აღწერებით, რაც საერთოდ ეგზომ იშვიათია ჭავჭავიშვილის ნოველებში.

თითქმის ამავე თემაზე აშენებულია ნოველა „ეკა“, მაგრამ მას სულ სხვააირი გააზრება აქვს, თხრობა პირველი პირით სწარმოებს. ეს პირი ოდესღაც ყოფილა ახალგაზრდა ბატონი რომელსაც შეუყვარდა მოახლე ქალი ეკა, დაიახლოვა იგი, ბოლოს ძალა იხმარა და დაიჩიმა. ეკა სახლიდან გააგდეს, ახალგაზრდა კაცს არ ეყო გამბედაობა დაეტოვა იგი, გამოქომაგებოდა მას. და აი, მრავალი წლის შემდეგ, იგი შემთხვევით ხვდება ეკას და ათიოდე წლის ბიჭს, რომელსაც ალლოთი სცნობს. ეს მისი შვილია. და ძველ ჭრილობებგახსნილი ფიქრობს: „ვინ იცის ვინ იყო, ჩემი ნამდვილი საბედო, ვინ იცის? ვინ მეტყვის? ვინ გამოიცნობს?“

თავისი ლირიული ელერადობით, ამალღებული ტონით, საკითხის დაყენებით, თვით ამბით და კიდევ რაღაც უცნაური ნიშნებით, რომელთა ზუსტი ჩამოთვლა უთუოდ გაჭირდებოდა, „ეკა“ ი. ბუნინის შესანიშნავ მოთხრობას „ბნელ ხეივანებს“ მოგვაგონებს. უთუოდ რევოლუციურ განწყობათა ანარეკლია ჭავჭავიშვილის ნოველა „ჯილდო“ დაწერილი 1905 წელს. ნოველაში კარგადაა გადმოცემული ჭარისკაცის გიორგის განცდები. უეცარი შემთხვევით შეცბუნებული მისი სულიერი ცხოვრება. ამ ნოველასაც ატყვია ჭავჭავიშვილის ოსტატური ხელი. უფრო დაწვრილებით უნდა ვისაუბროთ ნოველაზე „კურკას ქორწილი“, რომელიც თავისი თემატიკით „ჩანჩურასა“ და „მეჩქმე გაბოს“ უკავშირდება. ნოველის

ცენტრშია დაბეჩავებული ხარაზი კურკა. ბევრი რამა აქვთ საერთო ჩანჩურას და კურკას. ავტორის სიტყვით „თავდიდა კურკა ყველას დაბრიყვებული ჰყავდა. ვისაც არ ეზარებოდა თავში ჩაუთაქუნებდა ან უკნიდან მიეპარებოდა, კანკში მისწვდებოდა და დაჰყვავდა. ან კიდევ სულ უმიზეზოდ შარს მოსდებდა და მისტყეპავდა“⁵³. მაგრამ ბევრი რამაც განასხვავებს ჩანჩურას და კურკას. ჩანჩურას, როგორც არასრულფასოვან ადამიანს, უფრო მეტი აქვს პირუტყვეული; კურკაც მახინჯია, მშიშარაა, მაგრამ იგი უფრო ადამიანურია, ნაკლებად განეთარებული, მაგრამ მაინც — გრძნობს, განიცდის, ოცნებობს, გეგმებს აწყობს. თანაც იგი ჩანჩურაზე ერთი-ორი საფეხურით მაღლა დგას საზოგადოებრივ კიბეზე — თავისი პატარა ღუქანი აქვს. მოქმედება ნოველისა არსებითად კვლავ ბაზრის ფონზე მიედინება. ჯერ კიდევ შორსაა კურკას ქორწილი, ჩვენ მხოლოდ კურკას ცხოვრებას ვეცნობით ჯერ. აი მან რისი ვაივაგლახით შეაგროვა ცოტაოდენი ფული. ხარაზ დარჩოსთან ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ სახარაზოს გვერდით ათიოდე ადლი მიწა დაიქირავა და პატარა ფიცრული წამოქიმა, რომლის ქვედა ნაწილში, თვითონ ხარაზობდა, ზემო კი თათარ მენოხეს მიაქირავა. მაგრამ მალე, კონკურენტი გაუჩნდა, კურკამ საქმეს ველარ მოაბა თავი, და დარჩოს დაუდგა მოჯამაგირედ. უღიმღამოდ მიდიოდა კურკას დღეები. და აი როგორც არსებობის რაღაც მიზანი, როგორც ხსნა მარტოობისაგან, გადასწყვიტა კურკამ შეერთო ცოლი. დარჩომ გაურიგა საეკვო ყოფაქცევის ქალი, რომლისათვის ალბათ სულერთი იყო, ვის მიეკედლებოდა. გაზარებული კურკა ვერაფერს ამჩნევდა. შეუძინა ახალი ტანისამოსი, გადაიხადა ქორწილი, დაცინვას აღარავის აბედვინებდა. ოცნებობდა სამოვარზე და ჩითის ფარდებზე. მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა კურკას ბედნიერება. კურკა ჯერ ალღოთი გრძნობს, ხოლო მერე რწმუნდება კიდევ, რომ მაშო დარჩოს საყვარელია. გაკაპასებული ცოლი მოსთხოვს დარჩოს, დაითხოვოს კურკა და

⁵³ მ. ჯავახიშვილი, რჩეული თხზულებანი ექვს ტომად. ტ. 1. 1958. გვ. 76.

მაშო. მაშო კურკას აღარ მიჰყვება, საოცრად ტრავმირებული კურკა ბოლოს მათხოვრად და მთელი ბაზრის თავშესაქცევად იქცევა.

აქაც, ამ ნოველაში, ჯავახიშვილი ილაშქრებს ადამიანთა უსულგულობის წინააღმდეგ. მკვეთრად და დახატული მაშოს სახე, დარბოს პორტრეტი, მაგრამ ყველაზე უფრო სისხლსავსეა კურკას სახე, საწყალი, პატარა ადამიანისა, რომელიც უკვე აღარას ეძებს და მხოლოდ არსებობს. ნოველას თან სდევს მწერლის დიდი გულისტკივილი — შევიბრალოთ და შევიწყალოთ, თუკი ჩვენ შეწყალებას მორალური საფუძველი გააჩნია. ამ ნოველაშიც, საკმაოდ კარგად ჩანს ჯავახიშვილის თსრობის მანერა. მწერალი თითქოს გულგრილი და უყურადღებოა იმ მოვლენების მიმართ, რომელთაც აღწერს. მაგრამ ყოველი ეპიზოდი, ყოველი სახე, დიდი ჰუმანიზმის მქადაგებელია.

შეწყნარების საკითხს აყენებს ჯავახიშვილის მეორე ნოველაც „ეშმაკის ქვა“. შევიწყნაროთ, მაგრამ განა ყოველთვის? თუ დამნაშავე ღირსია სასჯელის. განა მაშინაც შევიწყნაროთ? — ნოველის ცენტრშია ახალგაზრდა ქალი სოფიო, რომელმაც სოფელთან ერთად ერთი ქვა ესროლა გამოუსწორებელ რეციდივისტს, როცა მას ჰქოლავდნენ. მკვლელი ღირსი იყო სიკვდილისა. მაგრამ სოფიოს ბოლომდე სტანჯავს მისი საქციელი და ინანიებს მას. მძიმედ ტრავმირებული სოფიო ბოლოს გარდაიცვლება და სიკვდილის უკანასკნელ წუთებშიც კი იმ „ეშმაკის ქვაზე“ ბოდავს.

შევიწყნაროთ კი ყოველთვის? რასაკვირველია არა, მაგრამ ადამიანს უნდა ჰქონდეს შეწყნარების თვისება, უნდა კვლავაც და კვლავაც შეაფასოს და გადააფასოს თავისი საქციელი სხვის მიმართ. ეს შეიძლება რაღაც სარწმუნოებრივ მოძოვრებას გავდეს. მაგრამ ეს ჰუმანიური ჰუმანიტებაა. რადგან ადამიანი ადამიანია და არა მექანიზმი, იგი თავის შთაბეჭდილებებიდან ასე იოლად ვერ წაშლის განცდილსა და ნახულს. ჯავახიშვილი კი, როგორც ღრმად რეალისტი მწერალი უპირველეს ყოვლისა, დანატერესებულია ადამიანის სრული შესწავლით, მისი სულიერი გამოვლინების ზუსტი აღნუსხვით

და სასიხარულოა, რომ მწერლის ნოველების უმეტესობა უკეთილშობილეს სწრაფვებს ატარებს.

ქეშმარიტი მხატვრული სრულყოფითაა შექმნილი ჯავახიშვილის „ტყის კაცი“. ტრაგიკული ამბავი მეტყვევის უიღბლო ცხოვრებისა, რომელსაც ბედმა მხოლოდ განსაცდელი არგუნა. ეს მეტად საინტერესო თხზულებაა, მოცულობით საკმაოდ ვრცელი, ერთი შეხედვით გამცდარი ნოველის ჩარჩოებს, მაგრამ მაინც ნოველა. ყოველგვარი მეორე ხედი წაშლილია, მკითხველის ყურადღება თანდათან იძაბება მხოლოდ ერთი ამბის გარშემო — პავლეს გარშემო, ფონად მხოლოდ ბუნებაა, რომელიც უფრო მკვეთრად გამოყოფს მის საშინელ სიმარტოვეს და უფრო მძაფრად განაცდევინებს მას შვილების დაკარგვას. ქუიდან შემცდარი პავლე, დარბის უტყუვ ტყეებს შორის და სასოწარკვეთილი დაეძებს შვილებს. ამ ნოველაში განსაკუთრებით რელიეფურად მოსჩანს ჯავახიშვილის დიდი ნიჭიერება, მისი უნარი დაატყვეოს მკითხველი და ბოლომდე თავის გავლენის ქვეშ მოაქციოს. „ტყის კაცს“ დიდი მნიშვნელობა აქვს ჯავახიშვილის შემოქმედებაში, არა მარტო როგორც მხატვრულად მეტად ძლიერ ნოველას, არამედ თავისი პოსტულატითაც: ნუ განერიდები, ნუ მოშორდები ადამიანს, საზოგადოებას. მარტოხელა კაცი ბუნებას ვერ მოერევა.

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ნოველაზე „შურისმაძიებელი“. კონსტრუქციის ავალაზრისით „შურისმაძიებელი“ ნოველათა იმ რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც მოულოდნელი დასასრულით ხასიათდებიან. ნოველა ტრადიციული სამკუთხედის გარშემოა აგებული და ეფექტურობის მიღწევას ლამობს, მაგრამ არაფრით არ გაგვახარებს იგი, თვითონ ამბავიც ნაკლებად მახვილგონიერი გვეჩვენება.

უფრო დიდი პრობლემების სიმძიმითაა დატვირთული ნოველა „ცხრა ქალწული“. იგი ილაშქრებს ფუქსავატი ადამიანების წინააღმდეგ, რომელნიც გულგრილად ეკიდებიან ოჯახს, მოუწოდებს ზნეობრივი სიწმინდისაკენ, მაგრამ მხატვრული განხორციელების თვალსაზრისით ეს ნოველაც სუსტია.

აღსანიშნავია ერთი თვისება ჯავახიშვილისა, როგორც მხატვრისა: უცნაურობა. უფრო სწორედ უცნაური ამბები

უღევს საფუძვლად ჯავახიშვილის არა ერთ მოთხრობასა თუ ნოველას. ასეთია მოთხრობა „პატარა დედაკაცი“, ნოველების კრებული „ხუთის ამბავი“ და ნოველა „ოქროს კბილი“, რომლებზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, მაგრამ ყოველივე უცნაური ამ ნოველებში მოწოდებულია ისეთ რეალისტურ ფერებში. ისეთი დამაჭერებელი კილოთი, მწერალს შექმნილი აქვს ისეთი რეალისტური ანტურაჟი, რომ სავსებით ვრწმუნდებით ამ უცნაური ამბების შესაძლებლობაში, თანაც ეს ყოველივე ისეთ მაღალმხატვრულ ყალიბშია მოქცეული, რომ არა მარტო აინტერესებს მკითხველს, არამედ სავსებით აკმაყოფილებს მას როგორც ხელოვნების ნამდვილი ნიმუში. „ვთქვათ გულახდილად, ყველა ჩვენგანი სულის სიღრმეში ინახავს სიყვარულს ზებუნებრივისადმი. ყველაზე კეთილგონიერებასაც კი იზიდავს სასწაულები. მათ არ სწამთ ისინი, მაგრამ მომხიბლაობა ამით როდი მცირდება. დიად, ჩვენ, რომელნიც ვტრიაბაობთ ჩვენი გრძნობით. შეყვარებული ვართ ყოველივე ზებუნებრივში უიმედო სიყვარულით⁵⁴ — წერდა ანატოლ ფრანსი წერილში „რომანი და მაგია“. ცხადია, არავითარ მაგიაზე ლაპარაკი ჯავახიშვილთან არ შეიძლება და მაინც ზემოთ მოყვანილი ციტატი უთუოდ გვენიშნება მის შემოქმედებასთან დაკავშირებით, რადგან მკითხველს არა მარტო სასწაულები იზიდავს, არამედ უცნაურობანიც (არა-ყოველდღიურის გაგებით). უნდა ითქვას, ეს კლასიკური ნოველის ერთ-ერთი მოთხოვნათაგანია: ნოველაში უნდა იყოს რაიმე არაჩვეულებრივი, ან ყოველშემთხვევაში ჩვეულებრივი მოწოდებული ახლებურად. ეს საჭიროა რომ დაიძაბოს მკითხველის ინტერესი, რომ იგი შეუხელებელი იყოს და ამრიგად მიღწეულ იქნას, რომ ვიხმაროთ ედგარ პოს გამოთქმა. „შთაბეჭდილების ერთიანობა“. ი. ვინოგრადოვი, მხედველობაში აქვს რა ნოველა, წერს „იმისათვის, რომ რომელიმე ფაქტი იყოს აღნიშნული და ნაამბობი, საჭიროა, რომ იგი ამას იმსახურებდეს. ის უნდა იყოს რაიმეთი საინტერესო, აღსანიშ-

⁵⁴ А. Ф р а н с, Собрание сочинений, т. 8. М., 1960. გვ. 157.

ნავი“ (ხაზგასმა ჩვენია). რასაკვირველია, ყოველი ფაქტი, გამხდარი ლატერატურულ ნაწარმოების საბაზად, თავისთავად საინტერესოა მრავალი კუთხით და მიზეზით, მაგრამ ავტორს მხედველობაში აქვს მოვლენების არა საერთო შეფასება, არამედ სწორედ დაინტერესების, ინტერესის დაძაბვის მომენტი, რომლითაც უთუოდ ხასიათდება ნოველა.

ნოველათა კრებული „ხუთის ამბავიც“ უხვად შეიცავს სწორედ იმ დაინტერესების მომენტებს, რომლებზედაც ზემოთ იყო საუბარი. ნოველები გაერთიანებული არიან ერთი სიუჟეტური ძაფით. ამბავს ფრაგმენტალურად ჰყვება ხუთი პირი, და თვითუღის ნააჩბობი ცალცალკე ჩვენს წინ აღადგენს მის მთლიანობას. დასასრულს, ორი ოდესღაც შემთხვევით გაცნობილი ადამიანი მოსძებნის ერთმანეთს. მიუხედავად იმისა, რომ დრო, ასახული „ხუთის ამბავში“ მეტად საინტერესოა (რევოლუცია, სამოქალაქო ომი), რომ ტიპაჟი სისხლსავსე და კოლორატულია, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ „ხუთის ამბავი“ წარმოიშვა უპირველესად როგორც მწერლის გატაცება სპეციალური კონსტრუქციით ნოველათა კრებულისათვის. ამას მოწმობს ზოგიერთი გარეგანი ეფექტების წინ წამოწევა. ტრადიციული საწყისი და ამბავთა დასასრული.

ასე არ არის ნოველაში „ოქროს კბალი“, რომლის მოქმედების ასპარეზი გაცილებით უფრო მცირეა და შეზღუდული დროისა და სივრცის თვალსაზრისით. თუმცა ამ ნოველასაც საფუძვლად უდევს უცნაური ამბავი, უსათუოდ საინტერესო, ჩვენ ვერ შევზღუდებით მასში ეფექტებზე სიმძიმის გადატანას. ამბავი ინასკვება იქ, სადაც ერთმანეთს ხვდებიან ვინმე თომა შათაშვილი — მოლარე და თამარი, კლექით დასნეულებული. მათი შეხვედრა უცაბეღია და ხანმოკლე, რაც მთავარია, მათ ერთმანეთის ვინაობაც კი ვერ გაიგეს. მოლარე დაეძებს შემთხვევით ნანახ ქალს, მაგრამ მკითხველმა უკვე იცის, რომ აშაოდ. თამარი კვდება, ისე, რომ ისიც თომაზე ოცნებობს.

*** И. Виноградов, О творчестве новеллы, „Лит. учеба“, 1936, № 7, стр. 44.

ნოველის დასაწყისში თომა შათაყვილი თავისებური „კაცი ფუტლარშია“, ასე, მაგალითად, მას ეშინია სასეირნოდ გაჰყვეს დედამისს, რადგან დედას არ იცნობენ თბილისში და ღმერთმა დაიფაროს, ხმა არ გავრცელდეს, თომა ქალებთან სეირნობსო. მაგრამ, შემდეგ, ძლიერი გრძნობით წონასწორობიდან გამოყვანილი თომა სრულიად იცვლება — ყველა და ყველაფერი სულერთი ხდება მისთვის. კარგად არის წარმოსახული ნოველაში თომას ხასიათის ფერისცვალობა, უფრო სწორად ამ ხასიათის ჰეშმარიტი გამოვლინება. და თითქმის საყოველთაოდ აღიარებული თემა — ნოველაში საქმე გვაქვს მზა ხასიათებთან, აქ თითქმის ექვექვეშ დგება. „ცხოვრება ასეთია — წერდა ფლობერი — დარტყმა გრძელდება ერთი წუთი, მაგრამ ელოდები მას თვეობით! ჩვენი ვნებები ვულკანს ემსგავსება — დუღუნი ისმის ყოველთვის, მაგრამ ამოფრქვევა ხდება მხოლოდ იშვიათად“. ასე ემართება ნოველა „ოქროს კბილის“ გმირებსაც. რა ვუყოთ, რომ ისინი არ არიან არც სახელმონხვეჭილი ისტორიული პიროვნებანი ან რაიმე განსაკუთრებულ ნიშნით გამოარჩეული ადამიანები, ერთ მათგანს თითქოს შეტად „პრაზაული“ პროფესიაც აქვს — მაგრამ ისინი არიან ადამიანები; ამ პატარა ადამიანებისათვის შეტად ძნელი ასატანი გამხდარა დიდი გრძნობა, ვნება და მათი ბედი მხოლოდ სინანულს იწვევს.

ლამაზის სულის პატრონები, მოვალეობის გრძნობის ადამიანები, ცხოვრობენ და მოქმედებენ ნოველაში „ყბაჩამ და იგვიანა“. ბრმა ქალმა შეიყვარა თავისი თანატოლი და თანშეზრდილი ყბაჩა. გარემოებამ დააშორა ისინი. იმედგადამწყდარი ქალი ხეიბარის ცოლი ხდება და მისივე დახმარებით აეხილება თვალები. ამ დროს ასპარეზზე კვლავ ჩნდება ყბაჩა, მაგრამ ქალი, მადლიერების გრძნობით აღსავსე ხეიბარის ერთგული დარჩება, თუმცა ამ ნაბიჯის გადადგმა დიდ სულიერ ტანჯვად უღირს. სიუჟეტური ქარგა ნოველისა იმგვარია, რომ ადვილი მოსალოდნელი იყო, ზოგჯერ ავტორს ზომიერების გრძნობა დაეკარგა და თხრობა ზედმეტად სენტიმენტალური გამხდარიყო. მაგრამ ჭავახიშვილი თავისი მანერის ერთგული რჩება ყველგან — ყველაფერი მოზომილი,

არაფერი ზედმეტი და გაუმიზნავი. ზომიერი ფერადოვნება პეიზაჟისა, ქალაქის კარგად გამოკვეთილი სცენები, არსად არ არღვევენ მთხრობელის დინჯ კილოს. ნოველა უთუოდ ერთ-ერთი ძლიერთაგანია მ. ჯავახიშვილის ნოველისტიკაში. ასევე ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს ჯავახიშვილის ნოველა „ორი განაჩენიც“, მაგრამ თავისი შთამბეჭდაობით და წარმოსახვის სიძლიერით უთუოდ დაუვიწყარია „მართალი აბდულაჰი“. რომლის შესახებ სამართლიანად წერს პროფ. დ. ბენაშვილი: „უახლოეს ქართულ ლიტერატურაში იშვიათად გვეგულება ისეთი მხატვრული ღირსების ნოველა, როგორცაა ძრინციპიალურა ადამიანისა, რომელიც დანგრეული ოჯახის წილ სამართალს ეძიებს და კაცის მკვლელებს კი ხდება“⁵⁶. მშვენივრად არის გადმოცემული ნოველაში აბდულაჰის განცდები და ოცნებანი, მისი საზრუნავი და ფიქრები.

სხვანაირად არის გააზრებული და ხორცშესხმული ნოველა „მუსუსი“. ეს არის უხვი ფერების, მაჟორული ელერადობის ნოველა, რომელშიც ჰარბადაა შემოტანილი სოფლის სასაუბრო კილო თუ ხატოვანი პეიზაჟი, სხარტად არის დახატული ტიპაჟი. ნოველა ანეკდოტზეა აგებული და არა აქვს პრეტენზია რაიმე განსაკუთრებული სიღრმისა. ესაა ეანრული ჩანახატი, შეიძლება საჩოროთო ამბით, მაგრამ უეჭველად დიდი ტალანტით შესრულებული, ამიტომაც, ამჟამად ვერ დავეთანხმებით პროფ. დ. ბენაშვილს რომ „მუსუსი“ არის „ეთიკური და ესთეტიკური მარცხი მწერლისა“⁵⁷.

რა თემასაც არ უნდა ეხებოდეს ჯავახიშვილის ნოველები, დაბეჭდვებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი ყოველთვის გახსნილნი არიან რეალისტურ ჰრილში. ბევრი ფსიქოლოგიურად სწორი და შთამბეჭდავი დეტალი, უფლებას გვაძლევს ვთქვათ რომ ჯავახიშვილი დიდი დაკვირვების და გულმოდგინე ანალიზის მწერალია. (გავიხსენოთ თუნდაც მოხუცი კაიშაურის

56 დ. ბენაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება. 1959. გვ. 27.

57 იქვე. გვ. 29.

მიერ მშობლიური ენის გახსენება სიკვდილის წინ, ნოველაში „მიწის ყვილი“ ანალოგიური ამბავია ჰემინგუეის რომანში „მშვიდობით იარაღი“, სადაც მთავარი გმირები განსაცდელის უამს მშობლიურ ენაზე ამეტყველებიან).

ჯავახიშვილის მხატვრული ენა საოცრად ლაკონიური და სადაა. თხრობის კილო უმეტესად დადინჯებული და ამ თვალსაზრისით თითქოსდა მონოტონური. ნაკლებად გვხვდება ლირიკული გადახვევები და მეტაფორული სახეები. ამ მხრივ მიხეილ ჯავახიშვილი უთუოდ რიგინალურად გამოიყურება სხვა ქართველი ნოველისტების ფონზე, რომელთა უმრავლესობისათვის პროზა საერთოდ და ნოველა მეტადრე, უფრო ხშირად პოეტური პოტენციის გამოაშკარავების გზაა.

* * *

თუ მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება თავიდანვე რეალისტური გამომსახველობით გამოირჩეოდა, კონსტანტინე გამსახურდიამ თავისი პირველი ნოველები ექსპრესიონიზმის გავლენით დასწერა. თავისი რჩეული თხზულებების მეორე ტომის ბოლოსიტყვაობაში კონსტანტინე გამსახურდია წერს: „ჩვენ. ყველას, ვისაც ოქტომბრის რევოლუციამდე მოგვიხდა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა, უცილოდ დაგვემჩნა ერთგვარი დალი დეკადენტობისა.“

დეკადენტობა ეს იყო განსაზღვრული სენი მთელი საუკუნისა... ვინც დაინტერესდება ჩემი შემოქმედების საკმაოდ მღელვარე და მრავალგვარი წინააღმდეგობით აღსავსე გზით, იგი აშკარად შენიშნავს როგორი მეტამორფოზა განმიცდია მე ამ ორმოცდახუთი წლის მანძილზე, როგორც შემოქმედს „ფოტოგრაფიდან“ „მთვარის მოტაცებამდის“, გინდა „ვაზის ყვავილობამდის“.

დეკადენტებმა პროზა ვერ შექმნეს. თვით საუკეთესო ოსტატები ნოველას ვერ გასცდნენ, ასევე უნაყოფონი აღმოჩნდნენ ისინი სხვა სფეროებშიაც.

ჩემს დეკადენტურ ცოდვებს რომ მივუბრუნდეთ, აქ უნდა განვაცხადო, რომ მე ჩემი ბუნებისა და მწერლური ტემპერამენტის მიხედვით, არასოდეს ვყოფილვარ დეკადენტი.

პირიქით, მოგზაურობათა და განსწავლის პერიოდის შემდეგ, მე შეუფარველად ვებრძოდი დეკადენტური ტრადიციების გამოვლინებას ქართულ მწერლობაში.

მთავარი მიზანი ჩემი შემოქმედებისა, ეს იყო ნოველისა და რომანის კლასიკურ ფორმების დადგენა⁵⁸.

გამსახურდიას აღრეული ნოველები (მხედველობაში გვაქვს „საათები“, „დამსხვრეული ჩონგური“, „მკვდართან შეხვედრა“) მართლაც ტიპიურნი არიან დეკადენტური პროზისათვის როგორც ფორმის თვალსაზრისით, ისე განწყობის მიხედვითაც. ისინი ერთგვარი გარდამავალი ფორმის სახეს ინარჩუნებენ ნოველასა და ესკიზს შორის. „საათები“ სწორედ ასეთი პროზის ნიმუშია. საათები „ღიად დარჩენილი თვალები მარადისობისა“, საათები ქუჩებში, მოედნებზე. ბინებში, ავტორს მწვავედ განაცდევინებენ მხოლოდ ამოებას. აღუძრავენ მხოლოდ საოცარი სევდის გრძნობას. ავტორის ღრმა პესიზმი ჟღერს ამ საათების რეკაში.

ნოველაში „მკვდართან შეხვედრა“ გადმოცემულია ადამიანის შეშფოთება გამოწვეული ჩამომხრჩვალ კაცის ნახვით ტყეში, შინ დაბრუნებულ ნოველის გმირს, კოშმარები აწუხებენ, ყოველ წუთს ჩაესმის ვედრება: „ძირს ჩამომიღე, დამსვენე, შე ქრისტიანო!“ ხან უცნაური ასოციაციებით, ხანაც ძალიან ადამიანური და გასაგები განცდებითაც აღსავსეა ეს ნოველა. მაგრამ ცხადია, თვით ამბავიც, მისი ხორცშესხმაც, მხოლოდ უდიდეს გულგატეხილობას იტევს.

დეკადენტობის „ერთგვარ დაღს“, რომ ვიხმაროთ თვით გამსახურდიას გამოთქმა, ატარებს მხატვრული შესრულების თვალსაზრისით ბრწყინვალე ნოველაც „ზარები გრიგალში“. ეს უკვე სხვა ხერხის და წყობის ნოველაა. თუ ზემოხსენებული ნოველები არსებითად მხოლოდ ამბის ჩანასახს ატარებენ ნოველაში „ზარები გრიგალში“ გადმოცემული ამბავი დამარცვლული და გულდაგულ აშენებულია, თუმცა სადა და უბრალო, მაგრამ ღრმად ამაღლევებული. თავიდანვე უნდა

⁵⁸ კ. გამსახურდიას რჩეული თხზულებები რვა ტომად, ტ. II. 1959 თბ. გვ. 816.

ვთქვით, გამსახურდიას თითქმის ყველა ნოველა საოცრად უღერადია და რიტმული, რაც თეთრი ლექსის შთაბეჭდილებას ჰქმნის ხშირად. თავისი ბუნებით გამსახურდია უდაოდ დიდი ესთეტია და უთუოდ ქართველი ნოველისტი, რადგან ამ უკანასკნელთ ხშირად ახასიათებთ საერთოდ პოეტური აღმაფრენა თავის პროზაულ ნაწერებში. სამართლიანად უწოდებს ლირიკოსს კონსტანტინე გამსახურდიას პროფ აკაკი გაწერელია. იგი წერს: „საეარსამიძის ავტობორტრეტი „დიონისეს ღიმილში“. ამავე რომანის უკანასკნელი აბზაცები. ავტორის გასაუბრება მგელთან ერთერთ ნოველაში, თარაშ ემხვარის ფიქრები სიკვდილის წინათგრძნობის დღეებში; მთელი ნოველა „დამსახურეული ჩონგური“ — ნამდვილ ლირიკოსს ამხელენ“⁵⁹.

ნოველის „ზარები გრიგალში“ მთავარი გმირია ადამიანი, რომელსაც ყველაზე ნაკლებ შეიძლება ვუწოდოთ გმირი — მნათე ოქროპირ. „არიან ადამიანები, ნებაყოფლობით მგლოვიარენი, ისინი არ გრძნობენ არც ძრწოლას, არც მოწყენას. რადგან მათთვის უცნობია დიდი სიხარული. ისინი არ გრძნობენ გლოვას, რადგან მათ სულში არავის დაუთესია იქვის თესლი. ისინი უკეთესს არ ინატრიან, რადგან უკეთესი ვერ წარმოუდგენიათ“⁶⁰. ასეთი იყო ოქროპირი.

ასე თუ ისე ყველა შეეგუა ახალ გარემოს. ახალ დროებას — მღვდელიც კი, რომელმაც წვერი გაიპარსა და სამიკიტნო გახსნა. ოქროპირს „არათფერი ჰქონდა დასანანი. არც დიდი სიხარული ჰქონია, არც თუ დიდი სულიერი დღევა...“

მაგრამ... „ბედი მოვა, ჩრდილში მდგომებსაც შეარყევს შუაღამის გრიგალი“. დიდ ხუთშაბათს შეზარხოშებულმა მნათემ ანაზდი სიხარული იგრძნო. „სად წასულიყო ამ შუაღამეს? ვისთვის ეამბნა, რომ მის სულში სიხარული მოულოდნელად შემოიპარა. მნათე ოქროპირსაც რომ რაღაც უხარია. გასახარეული რა ექნება ლენჩ ოქროპირას, იტყოდნენ. შინ წასულიყო? მო-

⁵⁹ ა. გაწერელია. ჩრეული ნაწარმოები. ტ. 1. 1952, გვ. 331.

⁶⁰ კ. გამსახურდია, ჩრეული თხზულებანი რვა ტომად. ტ. 11. 1959, გვ. 15.

აგონდა ახრჩოლებული ქრაქი, მკვარტილიანი ფაცხა. მარტო-ობა... და მნათე ოქროპირმა ეკლესიას მიაშურა. წვიმდა.. „ჩამოჰკრა ზარებს, ექსტაზში შესული რეკდა დიდხანს. ხარობდა ოქროპირ. მისი ალტკინებული სული ფოლადსა და რკინას აგალობებდა, ამღერებდა დაქანგულ, დამუნჯებულ ზარებს“⁶¹ მოვარდა გრიგალი და ძველი სამრეკლო მიწას დაანარცხა, სული დალია ჩამოვარდნილმა მნათემაც.

ნოველა წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს. მშვენიერია ნოველაში ზარების რეკვის აღწერა, რომელიც თითქმის მთლიანად ასოციაციურია. მაგალითად: „ზარები ამღერდნენ. აქერდნენ, პაერში გაიფანტნენ (დამთვრალი ღამის ფრინველები ფარფატით ჩამოეშვნენ ისევ მიწაზე),

დაბალნი, ქედმოხრილნი, მორჩილნი ეახლნენ უჯიათ-მტერს. დაეცნენ მუხლებზე, იტირეს, ივაგლახეს, ფეხები დაუკოცნეს და შენდობა სთხოვეს ცოფიან ქარს“⁶². და ა. შ.

მნათე ოქროპირისათვის ზარების გაბმული რეკა ღამით იყო არა მხოლოდ თავდავიწყება, არამედ თავისებური შემოქმედებაც. ეს იყო მთელი მისი ნიჭიერების, ამოღების და შეძენილი გამოცდილების ჩვენების გზა. სწორედ ამიტომ „გაიხსნა ნათელი რძისფერი გზა მეზარესა და ცას შორის“. მხოლოდ შემოქმედების ბანგით გადიდებულ პატარა კაცს არად მოეჩვენა საწუთრო: „გახედა სოფელს, რა პატარა ბუდე ყოფილა! დაბალი — ქადრისა და ალვის ხეები, რა მოკლე — სიკოცხლის ნახევარი გზა!“⁶³. და ამიტომაც წერს მწერალი შემოქმედებით გატაცებულ მნათეს შესახებ: „ასწიეთ ადამიანი მალა, სულ მალა და დასვით მნათე ოქროპირ შემომქმედის მარჯვენა მხარეს, რადგან სიბნელეში დაბრმავებულმა, ერთხელ მაინც იგრძნო ალტაცება და ექსტაზში დაიღუპა“ (გვ. 20). მნათესათვის ზარებოს რეკა იყო შემოქმედება, რომელმაც აღამაღლა იგი და დაავიწყა ყოველივე.

61 კ. გამსახურდია. რჩული თხზულებანი რვა ტომად. ტ. II. 1959. გვ. 19.

62 იქვე, გვ. 18.

63 იქვე, გვ. 19.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნოველა დაწერილია ქვეშა-
რიტი პოეტური აღმაფრენით და მასში უფრო მეტია დანახუ-
ლი პოეტის მიერ, მაგრამ ნოველაში გვაქვს ისეთი ადგილე-
ბიც, რომელნიც გვხიბლავენ როგორც რეალისტური პროზის
მშვენიერი ნიმუშები. მაგალითად: ნახუცარმა „ოთახში გაიხ-
მო სტუმარი, მხარზე ხელი დაჰკრა. გამურული ჯამი გაუვსო.
ცალი ფეხი სუფრის კუთხეზე გადმოაგდო. სუფრა ჭრიალებ-
და. ნახუცარი ხითხითებდა. ტოკავდა უშველებელი, ზარმაცი
ტანი. ოქროპირმა დალია, ნაოქიან, ფერმკრთალ სახეზე სი-
წითლემ იელვა, ღვინო ემკვება, ღრმად ჩამჯდარი თვალები
დაუპატარავდა. სახე დაემანჭა. ნახუცარმა ისევ გაავსო, ბან-
ჯღვლიანი ხელი დაავლო გაქონილ ჭიქას“⁶⁴. ეს თითქოს ფლა-
მანდრიული სკოლის მხატვრის მიერ შექმნილი სურათია. სწო-
რედ ამიტომ ფიქრობს ალბათ პროფ. ს. ჭილაია, რომ ამ ნო-
ველაში კონსტანტინე გამსახურდიამ „მოარაგა მოდერნის-
ტული და კლასიკური სტილი“ („მნათობი“, 1960, № 12).

ნოველა „პორცელანი“ უთუოდ მოდერნისტული პროზით
გატაცების შედეგია. ამას მოწმობს მისი არქიტექტონიკა, თვით
აშბავი, აქსესუარები. ასე, მაგალითად, ნოველის გმირები,
როგორც ეს ხშირად ხდება დეკადენტური გატაცების ნოვე-
ლებში, პირველად ერთმანეთს ხვდებიან ნიღბოსანთა მეჯლის-
ზე, ნიღბებში და ა. შ. მაგრამ თავის არსით „პორცელანი“ გა-
ცილებით უფრო ღრმა ნაწარმოებია, ვიდრე ეს ერთი შეხედ-
ვით შეიძლება მოგვეჩვენოს. სამართლიანად აღნიშნავს
პროფ. დ. ბენაშვილი, რომ „პორცელანში“ მკითხველის ყუ-
რადლებას მშვენიერების პრობლემა იპყრობს“⁶⁵. ნოველაში
მშვენიერებას ერთგვარად ჩინური პორცელანი განასახიერებს,
რომლის გარშემო, თავს იყრიან არა მარტო ნოველის გმირე-
ბი, არამედ მათი ინტერესები, ოცნებანი. მოხდება ისე, რომ
პორცელანი ჰქრება ნოველის სამოქმედო ასპარეზიდან და
მაშინვე სახეს იცვლის ნოველის გმირთა ურთიერთობა, —

⁶⁴ კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, რვა ტომად, ტომი II,
1959, გვ. 16.

⁶⁵ დ. ბენაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, თბ., 1962, გვ. 19.

რაღაც გაიბზარა და გატყდა მათ დამოკიდებულებაში. როგორც ვხედავთ, სიტუაცია მეტად პირობითია, მეტიც, ხელოვნური, მაგრამ უთუოდ სიმბოლიურიც. ავტორს თითქოს ხაზგასმით სურს აღნიშნოს, რომ მშვენიერება გარკვეულ პირობათვის არის „პური არსობისა“.

ოცნებათა სამყაროში ცხოვრობს მადამ როტსტრუპი. მას სძაგს „ბანალური რეალიზმი“; (არა რეალიზმი საერთოდ, არამედ „ბანალური“). იგი ამბობს: „მე იაპონელებისა და ჩინელების მხატვრობა მიყვარს, ისინი არასოდეს არ ხატავენ ჩიტს. ისე, როგორც ეს ბუნებაშია, არამედ ჩიტს მუდამ ტრანზიტორულ მომენტში“.

პროფ. დ. ბენაშვილი, იხილავს რა „პორცელანს“ და ნოველა „ლილს“. წერს: „პირველში ხელოვნებითი მშვენიერია წინა პლანზე წამოწეული, ხოლო მეორეში ბუნებითი მშვენიერება. ნოველების ავტორის აზრით, ხელოვნებითი მშვენიერი ადვილად სძლებს დროსა და სივრცის საზღვრებს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ზიანდება გარეგანი მიზეზების გამო. სამაგეროთ მშვენიერი ბუნებაში, სწორად მანკიერია და უბრალო დაკვირვების შედეგად ამჟღავნებს თავის არაჰემმარიტ ბუნებას“⁶⁶.

რასაკვირველია, შესაძლოა, ასეთი გააზრება ჰქონდეს „ლილს“, მაგრამ ჩვენის აზრით „ლილ“ შორსაა ამგვარი ფილოსოფიური სიღრმისაგან. ეს მხოლოდ ტრადიციული ნოველაა მოულოდნელი დასასრულით. სადაც შეღავნდება, რომ ლამაზ ქალს ჰქონია ნაზინჯი ფერდები. თავის დროზე სალიტერატურო კრიტიკამ (მხედველობაში გვაქვს პროფ. გ. ჯიბლაძის წერალი) პარალელი გაავლო „ლილსა“ და მოპასუნის ერთ-ერთ ნოველას შორის, რომელშიაც ანალოგიური სიტუაციაა. და თუმცა „ლილს“ შესაძლოა აქვს ლიტერატურული წყაროები. ბევრი ადგილი უთუოდ უშუალო შთაბეჭდილებათა ანარეკლია და უთუოდ კოლორიტულად გამოძიწილი.

ნოველაში „ქოსა გახუ“ არის ერთი ადგილი, სადაც ავტორი აღიარებს: „თქვენ ბედნიერი გგონიათ მწერალი, მუდამ

⁶⁶ დ. ბენაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია. თბ., 1962, გვ. 24.

დამკვირვებლის როლშია. მთხრობელივით უთვალთვალემა ქვეყანას, ბუნებას, ადამიანებს და ყველაზე მეტად თავის თავს. აბა რა შენიშნოს, რა დაიჭიროს, რა დაიხსოვნოს. მწერალს არ შეუძლია თავდავიწყება თვით უღრმესი ტუბობისა და ექსტაზის უამს, სიყვარულის სარეცელზე, ხმელზე, ზღვაზე, ბუნების წიაღში, ყველგან, ყოველთვის აკვირდება იგი სამყაროს და თავის თავს¹⁷.

„ქოსა გახუა“ მართლაც ბევრ რამეში ეტყობა დაკვირვებული რეალისტური თვალთხედვა, მხოლოდ ეს. რასაკვირველია, არ არის „ბანალური რეალიზმი“. მეტიც, თვით ამბავი მოთხრობილი ნოველაში უცნაურია და არა ყოველდღიური, მაგრამ მოწოდებული რეალისტურ საღებავებით და როგორც ყოველთვის გამსახურდიას ნოველებში ლამაზად აქლერებული. ეს უფრო რთული კონსტრუქციის ნოველაა, მასში არის ღირაქული გადახვევები, სხვა ჩანარები, მაგრამ მთავარი ამბავი მაინც უწყვეტ, ერთიან შთაბეჭდილებას სტოვებს. ეს არის ქოსა გახუს ამბავი, ყოფილი ნათავადარის ძისა, რომელსაც მთელი სოფელი გიყად სთვლიდა. ქოსა გახუ ათას დამკვირვებას იტანდა და თავს იგიუიანებდა, რადგან იცოდა, არ ასცდებოდა ხალხის რისხვა ჭკუათმყოფელს, გიყს კი მამის ცოდვებს არავინ მოჰკითხავდა. მისი შვილის, პატარა თეჰრას გაზრდა იყო გახუს ცხოვრების მიზანი. ბავშვის ფათერაკით დაღუბვა ბოლოს უღებდა ქოსა გახუს ყოველგვარი არსებობის აზრს. გამწარებულმა გახუმ ცეცხლს მისცა თავისი უცნაური სახლი და გადაიკარგა. ცეცხლი ახლომახლო მოსახლეებსაც გადაედო, რამაც კიდევ უფრო აღაშფოთა სოფელი და როდესაც ერთხელ, ბადეს მდინარიდან ქოსა გახუს გვამი გამოჰყვა, მას დაკრძალვა არავინ აღიზნა. ისევ „ტეხურის საფირონის ტალღებს დაუბრუნეს ქოსა გახუს ვაგლახად მოკუტული ცხედარი“.

არის ჭეშმარიტი დრამატიზმით აღსავსე დეტალები ამ ნოველაში. ის, რომ სიკვდილის წინ ქოსა გახუმ, ერთი ბათმანი სიმინდი, რომელიც ემართა, მეზობელს დაუბრუნა, ის

¹⁷ ვ. გამსახურდია, რვატომეული. ტ. II, 1959, გვ. 57.

რომ „ტასია მალაზონს“ ორი ქილა ღერლილი მოუტანა. ჩემი თემრას საფლავს ნუ დამიკარგავო...

ჩვენ არ ვიცით, როგორი იქნებოდა გახუ სხვა ვითარება-სა და პირობებში, მაგრამ მოცემულ გარემოებაში, იგი უთუ-ოდ სიბრალულს აღძრავს. სამაგიეროდ, უთუოდ ანტიპატიუ-რია ტაგუ სამუგია, რომლის პორტრეტი და ხასიათი დიდი ოსტატობითაა მოცემული ნოველაში. ტაგუ ქოსა გახუს ძმა არის, „დიდი ბატონის“ ნაბუშარი, რომელიც სამუგიას გვარს ატარებს. მას თავისი ბედი და ცხოვრება აქვს ნოველაში. მაგ-რამ ის არ გვალელებს და არ გვაფიქრებს. მას მართლაც ეტ-ყობა „სისხლი ნაყაჩაღარისა და ფეოდალის“ და გვჭერა, მის-თვის ბედს ბატონობა რომ ერგუნა, ის იქნებოდა ისეთივე ტი-რანი. როგორიც იყო მამამისი.

ნოველაში ავტორის რეალისტური ხელწერა უპირველეს ყოვლისა ტიპაჟის სრულყოფილ შექმნაში გამოჩნდა. ჭეშ-მარიტი ოსტატობითაა შექმნილი გახუსა და ტაგუ სამუგიას სახეები. მაგრამ, ჩვენის აზრით, უმჯობესი იქნებოდა ნაკლე-ბად ვრცელი ყოფილიყო ტაგუ სამუგიას ხაზი ნოველაში, შემციკრებული თუნდაც მისი მოგონებანი, ამით ნოველა უფ-რო დინამიური და ემოციურიც გახდებოდა.

ნოველა „ტაბუ“-ში გამსახურდიამ მხატვრული ხორც-შესხმა მისცა თავის გატაცებას მითოსით. თავის დროზე სა-თანადო ლიტერატურაში აღინიშნა ეს გარემოება. (პროფ. დ. ბენაშვილი). მართლაც, კ. გამსახურდიამ თითქმის მაგიუ-რი მნიშვნელობა მიანიჭა მითს, რომელიც თავისთავად მნიშ-ვნელოვანი ფაქტორია ხელოვნებისათვის. „ტაბუში“ უთუოდ იგრძნობა დიდი მხატვრული გაქანება ავტორისა, მიუხედა-ვად ამ ნოველის პათოსის მცდარობისა.

საქართველოს ისტორიული წარსულით არის შთაგონებუ-ლი გამსახურდიას ნოველა „ამბავი ხუთასი ბოლნისელისა“.

ბევრი ნიშნით საყურადღებოა გამსახურდიას შემოქმედე-ბაში ნოველა „დიდი იოსები“. უპირველეს ყოვლისა, ეს არის უკვე საკმაოდ მოქარბებული რეალიზმი გამსახურდიას შე-

მოქმედებაში. რელიეფურად არის მოცემული დიდი იოსების პორტრეტი.

ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს „ხოგაის მინდია“, რომელშიც ძველი ქართული გადმოცემა, ბევრჯერ განსახიერებული ქართულ ლიტერატურაში, ორიგინალურად არის აღდგრებული. ის, რომ გამსახურდიამ დიდი პოეტური პოტენცია აქვს, კიდევ ერთხელ მეღავენდება ამ ნოველაში.

ყოველი ხალხის ლიტერატურას თავის სურნელი აქვს, თავისი ფერადოვნება. ლიტერატურაში ყოველთვის ყველაზე უკეთ მეღავენდება ნაციონალური ხასიათი, ესა თუ ის თვისება, მიუხედავად იმისა, რომ არსებობენ სხვადასხვა სიდიდის ტალანტები, სხვადასხვა დაინტერესების შემოქმედნი, სხვადასხვა მიზანდასახულებით — არის საერთო რაღაც. რაც მათ აკავშირებს. ცხადია, არიან მწერლები რომლებიც უფრო მეტად ააშკარავენ ხალხის ტემპერამენტს და სულს. ასეთ ბედნიერთა რიცხვს ეკუთვნის კონსტანტინე გამსახურდია. ის პოეტური ხედვა, რომელიც მის ნოველებს ახასიათებს, ამადლებული ტონი და სწრაფვა სრული სილამაზისაკენ, შესანიშნავად გამოხატავს ქართული სულის ყალიბს.

მაქსიმ გორკი მაგალითად ხაზს უსვამდა ფრანგი ხალხის სიცრცხლისმოყვარეობას და სხვათაშორის სწერდა: „არ მახსოვს ჯონთან სვიფტის არცერთი მხიარული ღიმილი, მაგრამ ბერმა რაბლემ იცოდა სიცილი ისეთი, როგორც არავინ მანამდე, და დღევანდლამდე. თვით რომენ როლანის „კოლა ბრიუნონამდე“, რაბლეს სიცილი არ ცხრება საფრანგეთში“⁶⁸. არსებობს კიდევ შატობრიანი, მიუსე, სიმბოლისტები, მაგრამ ეორკიმ სწორედ რაბლესა და როლანში დაინახა ფრანგული სულის მეტი გამოვლინება. და ესეც თითქმის გარდაუვალია — ესა თუ ის მწერალი ყოველთვის უფრო მეტ სპეციფიკას ატარებს თავის ერისა. კონსტანტინე გამსახურდიას ნოველაში ბევრი რამ არის საყურადღებო ამ მხრივ. და თუმც ეს უკვე

⁶⁸ А. М. Горький. Несобранные литературно-критические статьи, М 1941, гл. 319

ჩვენს კომპეტენციაში არ შედის. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ანალოგიური მოვლენა გვაქვს რომანებშიც. რა მოვლენაც არ უნდა იყოს, დანახული და როგორ მცდარადაც არ უნდა იყოს დანახული, ასევე მის სწორ გაშუქებაშიც. უპირველესად ჩანს ქართველი კაცის თვალთახედვა — ამჟამად ლაპარაკია საგნის განცდასა და მის გადმოცემაზე მხატვრულ ნაწარმოებში. ამ მხრივ კონსტანტინე გამსახურდიას დამსახურება უთუოდ დიდია მშობლიური ლიტერატურის წინაშე.

* * *

ლეო ქიაჩელის პირველი ნოველები („წარსული აწმყოში“, „სიზმარი და სინაძღვილე“) უფრო ლიტერატურულია, ვიდრე ცხოვრებისეული, ე. ი. მათში უფრო მეტია მოტანილი ლიტერატურიდან, ვიდრე უშუალოდ ცხოვრებით შთაგონებული. აღნაგობით ეს ნოველები ტრადიციული არიან — აგებულინი ცოტად თუ ბევრად უცნაურ ამბავზე, მოულოდნელი დასასრულით. ნოველა „ცოდვის შვილებიც“ ქიაჩელის პირველ ნოველებს განეკუთვნება და თუმც ბევრი რამ მასში სადაოა, იგი მაინც გაცილებით უფრო შთამბეჭქდავია. ვერ ვიტყვით, რომ ამ ნოველის ამბავი ცხოვრებისეულია, აქაც გარკვეულად ლიტერატურულ ტრადიციებთან გვაქვს საქმე, მაგრამ ამ ნოველაში უკვე აშკარად იგრძნობა ლეო ქიაჩელის დიაპაზონი.

ამ ნოველის შესახებ პროფ. შ. რადიანი წერს: „ლეო ქიაჩელის ამ პერიოდის მხატვრული აზროვნებისა და შეხედულებების გასაგებად, საყურადღებოა მისი ნოველა „ცოდვის შვილები“. ამ ნოველაში მწერალი დრამატული სიმძაფრით გადმოსცემს „ზნით“ შეპყრობილი და „სულით“ ავადმყოფი ჯებებსა და განთქმული მწყევლელის, ახლა მეწისქვილის — ბეკოს მეგობრობის ისტორიას, შემდეგ „კონფლიქტს“ მათ შორის და ორთავეს დაღუპვას მდინარის ტალღებში. „ცოდვის შვილებში“ თავიდან ბოლომდე ფატალიზმის იდეაა გატა-

რებული“⁶⁹. ჯვებეს მართლაც სწამდა ფატალურის, მაგრამ უმართებულო იქნება პერსონაჟის მრწამსი ავტორს მივაწეროთ. ნოველის მიზანი ნათელი და კეთილშობილურია - ნოველა ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ ილაშქრებს, ასეთია მისი პათოსი, თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სადაო მასზე ბევრი რამ არის. ეს უპირველესად შეეხებ: ზოგიერთ აქსესუარს, მართლაც ზედმეტად მუქი საღებავებით დახატულ ტიპაჟს. აქ უკვე სავსებით ვეთანხმებით პროფ. შ. რადიანს, რომ „არანორმალური და ავადმყოფი ადამიანები — „ზნით“ შეპყრობილი და „სულით“ დაავადებული, განთქმული მწყევლე-ლი, ჭკუაზე შეშლილი, მუნჯი., ესეთი იყვნენ დეკადენტურა პროზის ტიპიური სახეები“⁷⁰. და მაინც „ცოდვის შვილები“ ბევრად უფრო წინ წადგმული ნაბიჯია ლ. ქიაჩელის შემოქმედებებითი გზის დასაწყისში. ბევრი ადგილი (მაგალითად ხატზე გადაცემის სურათები), მხატვრული სიმახვილითაა შესრულებული. თუმცა „აღმასვირ კიბულან“ ერთ-ერთი უბრწყინვალესი ნოველაა ლ. ქიაჩელის შემოქმედებაში და თითქოს არაფრით არ კავშირდება „ცოდვის შვილებთან“, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ბეკოსა და ჯვებეს დაღუპვის სცენა ერთგვარი მონახაზი იყო აღმასვირისა და გივერგილის ტრაგიკული დასასრულისა.

პატარა ნოველა „ქალი“ დედაკაცის მაცდურობას ჰკიცხავს და უკვე ცნობილ ასპექტშია გადაწყვეტილი. ვინმე სანდრო შემთხვევით გახდება მოწმე თავისი სათაყვანებელი არსების უხეირო საქციელისა და საოცრად გულაცრუებელია ყველას და ყველაფრის მიმართ. რაღაც ძალიან ძველის შთაბეჭდალეობას სტოვებს ეს ნოველა. არა მარტო ამბით, არამედ თუნდაც თავისი წერის მანერითაც. იგი დაახლოებით ასეთია: „ამ დროს მოესმა ქალის დამცინავი

— ხა, ხა — .

⁶⁹ შ. რადიანი, თანამედროვე ქართული ლიტერატურა, 1951, თბ. 33. 100.

⁷⁰ იქვე.

ტყვიასავით მოხვდა სანდროს ყურებს. შესდგა, ერთ ხანს ასე დარჩა გაშეშებული, შემდეგ თავი ჩაჰკიდა და უსიცოცხლოდ გაჰყვა თავის გზას⁷¹

სულ სხვაა ნოველა „სტეფანე“. ეს უკვე ნამდვილი ლეო ქიაჩელია, თავისი საკუთარი საღებავებით და ხელწერით. თუმც ნოველა ერთი შეხედვით მხოლოდ აკვარეულ ჩანახატს წარმოადგენს და არსებითად მხოლოდ მეტყუილე სტეფანეს სახის შექმნას ემსახურება, მას უცილოდ მეტი პრეტენზია აქვს. პროფ. ს. ჭილაია წერს: „ააევე გამისტიკურებულია სტეფანე ამავე სახელწოდების ნოველაში. სტეფანე, ეს ტყუილებს ჯადოქარი და მუნჯ ადამიანთა მესაიდუმლე, ძოკოს მეგობარი, მწერალს გამოყენებული ჰყავს იმავე სკეპტიკური მიზანდასახულებით. როგორც ცნობილია. ძირითადი საფუძველი სიმბოლიზმისა. ასევე იმპრესიონიზმისა არის დუალიზმი— მოქცევა იარ სამყაროზე. სიმბოლისტების აზრით, იდეალურ სამყაროს წარმოადგენს შეუცნობელი მეორე სამყარო. მწერლის მოვალეობაა აღნიშნოს, მიახვედროს მკითხველი საიდუმლოებით მოცულ მეორე სამყაროს სიღიადეს. მისტიკური, რელიგიური ფილოსოფია უდევს საფუძვლად დეკადენტური სკილის მთელ სწრაფვას, კითხვის ქვეშ დააყენოს ობიექტიური სამყარო. უარი თქვას მასზე და იდეალად აღიაროს მეორე სამყარო. ირეალური ქვეყანა. საიქიო“⁷².

სიპართლე მოითხოვს ავღნიშნოთ, რომ სტეფანე არავითარი „ჯადოქარი“ არ არი. იგი საოცრად სისხლსავსე და სიცოცხლის მოყვარული ადამიანია. რომელმაც კარგად იცის ამქვეყნიურის ფასი და ცხოვრებას მხარულებაში ატარებს. მისი მეგობრობა მუნჯ ძოკოსთან კიდევ ერთი შტრიხია მის ხასიათში. მაგრამ არის რამოდენიმე ფრაზა ამ ნოველაში. რომელმად შესაძლოა აღიარას ფიქრები დუალიზმის შესახებ. ასე. მაგალითად, სტეფანე ამბობს: „განა ამბავი მხოლოდ სიტყვით ითქმის. ყველაზე უკეთესი ამბავი ის არის, რომელიც უსიტყვოდ ესმის ყველას“. ან „...ე. განა მხოლოდ ყურით

71 დ. ქიაჩელი. თხზულებანი. ტომი III, 1961. გვ. 55.

72 ს. ჭილაია. XX საუკუნის ქართული ლიტერატურა. 1959. გვ. 87.

ესმის კაცს?“ მაგრამ მარტო ამ ორიოდ ფრაზაზე მტკიცე დებულების აშენება სტეფანეს ძინტიკურობის შესახებ. ჩვენ ვფიქრობთ არ არის მიზანშეწონილი. სტეფანე დაკვირვებული, ჰკვიანი და გონებამახვილი კაცია, ამიტომ ძნელი საფიქრებელია მას სურდეს მიანიშნოს საიდუმლოებით მოცული სამყაროს სიდიადე. სხვათაშორის გორკი წერდა ლეონოვის „Варсуки“-ის ფრანგული გამოცემის წინასიტყვაობაში: „მე კრიტიკოსი არა ვარ და არ ვაპირებ მხატვრის ახსნას. მე კარგად მახსოვს, როდესაც კრიტიკა მხანიადა მე—ის მაწერდა განზრახვას, რომელიც არ მქონია, და მოქმედებას. რომელიც არ ჩამიდენია“. ასეთი მოვლენისაგან არაა დაზღვეული არცერთი მწერალი, რადგან ცნობილია. მისი ხელიდან გასული ქმნილება, მას აღარ ეკუთვნის. შესაძლოა ლ. ქიაჩელსაც ჰქონდა სურვილი მისი შემოხსენებული ნოველა აღნიშნულ საკითხთა რკალს შეხებოდა. მაგრამ ჩვენის ღრმა რწმენით. მან სათანადოდ ეს ვერ შესძლო.

თუ კი ვილაპარაკებთ მისტიკაზე ქიაჩელთან. მაშინ მართლაც უნდა შევეხოთ ნოველას „ჯადოსანი“, რომელშიც მენახირე ტაგუს მაგიური ძალა აქვს მიწერილი. ტაგუ თავის მწვანე თვალებით აჯადოებს ლამაზ ქალს გაიანეს, რომელიც მისი სურვილების უხმო შემსრულებელი ხდება. და მაინც მისტიკა ერთობ ხმაურიანი სიტყვაა ამ ნოველის არსის განსაზღვრისათვის. რადგან მთელი მისტიკა ტაგუს სახით ამოიწურება. ტაგუ კი. არც მეტი და არც ნაკლები. ჩვეულებრივი გიპნოზიორია.

ქალის სიყვარულის მოპოვება შთაგონებით ახალი მოტივი როდია ლიტერატურაში. გავიხსენოთ თუნდაც ტურგენევის „სიმღერა სიყვარულზე“ და თუ მისტიკაზე შეიძლება საუბარი ასეთ შემთხვევაში, მისტიკური ტურგენევთან ვაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ქიაჩელთან.

არის ერთი გარემოება, რომელსაც პროფ. ს. ჭილაია ხაზგასმით აღნიშნავს. იგი წერს: „ლეო ქიაჩელის პირველი მოთხრობების (მხედველობაში გვაქვს „წარსული აწმყოში“ და „მამა ოქროპირი“) რეალისტური ხაზი ქართული მწერლობის ტრადიციებს ეყრდნობა, ამ ტრადიციებიდან გამოდის. მათ-

თვის ჯერ კიდევ სავსებით უცხოა დეკადენტური სკოლის გავლენა⁷³. ჩვენ დავუმატებდით, რომ თხრობის, პოეტური ხედვის და სახეების თვალსაზრისით, ეს არამარტო ზემოთ ხსენებულ ნოველებზე ითქმის. ქიაჩელის თითქმის ყველა ნოველა ისეთივე კი, როგორცაა „მე და ჩემი ორი მე“, რომელიც იდეის თვალსაზრისით დეკადენტური სკოლის ნიშნითაა აღზევდილი. დაწერილია უაღრესად რეალისტური საღებავებით. რეალისტურ ასპექტშია გახსნილი ნოველები „პატარა ისტორია“, „ორი სტრიქონის ამბავი“. ლეო ქიაჩელის ტონი აქ სადა და აუღელვებელია. სამაგიეროდ იგი მკვეთრად იცვლება ნოველაში „მუხა და ტირიფი“, რომელიც ჰუმბარტი პოეტური აღმაფრენითაა დაწერილი.

საინტერესოა თავისი გააზრებით ნოველა „ბერი და ყორანი“. მასში ნაამბობია, თუ როგორ იღვიძებს დაბოლოს ღვთისმოსავ ყორანში ყორნული ინსტიქტები, რომ ყორანი მაინც ყორნად რჩება ყოველთვის. „არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა“ — ასეთია ნოველის მორალი. უნდა ითქვას, რომ ნოველა დაწერილია ნატიფად.

სულ სხვაგვარი სელწერის არის ნოველა „მამა ოქროპირი“. იგი ქიაჩელის აღრეულ ნაწარმოებებს განეკუთვნება. ამ ნოველას განხილვა დაგვეხმარება დავინახოთ ის დიდი სხვაობა, რომელიც ქიაჩელის წერის მანერას აქვს ოსტატობის თვალსაზრისით უფრო მოგვიანებით. თემატიკა ნოველისა ფრიად საყურადღებოა — „მამა ოქროპირი“ შეეხება 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ პერიოდს და წარმოადგენს სულიერი მამის „კეთილშობილების“ მხილებას, მოცემულია აგრეთვე გლეხობის განწყობილებაც.

ნოველა, თუ შეიძლება ასე ითქვას, აღწერითი ხასიათის ნაწარმოებია, უფრო ზუსტად, მოვლენები ამ ნოველაში გახსნილი არიან არა მათი შინაგანი კანონზომიერების მიხედვით, არამედ მოცემულნი არიან მხოლოდ გარეგნული ნიშნებით. იგივე პრინციპითაა მოცემული ტიპაჟი — ძირითადად პორტ-

73 ს. კილაია. XX საუკუნის ქართული ლიტერატურა. 1959. გვ. 135—136

რეტის ხარჯზე და ნაკლებად ხასიათის გამოკვეთით. მაგალითად მამა ოქროპირი ასეა აღწერილი: „ეს იყო სამოცდაათ წელს მიწვენილი, მაღალი, ზორბა კაცი. ანათორის შიგნით სატარებელი ახალოხი ეცვა ფართე ჯიბეებიანი, მკერდზე გადასსნილი. წელზე ერტყა ფართი ღველის ქაშარი. რომლის დანიშნულებას ძალზე გადმოშვებულა ღიპის აკვრა შეადგენდა. თავზე გახუნებული ქილოფის ქუდი ეხურა. ალაგ-ალაგ გაცვეთილი. ფარფლებშემოყოლებული. ქუდის ქვეშიდან, ზურგის მხარეს, ზონარგაყრილი ნაწნავი მოუჩანდა, თხის კუდივით მოკლე და გახუნებული. ხელში გრძელი ლაბაშა ეჭირა, თავში ჯვარგამოსახული და ბოლოში მახვილწვეტიანი რკინით მოჭედილი. ნელი ნაბიჯით მოდიოდა. როცა ქოშინი შეაწუხებდა, შესდგებოდა, ქუდს მოიხდიდა და მელოტ თავს შეუშვერდა ნიავს. გრძელ, ჰალარა წვერს დაიბერტყავდა“⁷⁴.

ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ გვეჩვენებინა, თუ როგორი ზედმიწევნითი სისრულით აღწერს ავტორი მოქმედ პირის სამოსსაც კი. ასეთ დეტალურ აღწერას მომდევნო ნოველებშიც არ ღალატობს მწერალი, მაგრამ ნოველიდან ნოველამდე გაცილებით უფრო მსუბუქი ხდება მისი ენა. ნოველაში „წუთისოფელი“ პორტრეტი უკვე ამგვარადაა მოწოდებული: „ანდრო 25 წლის ვაჟკაცია. მაღალი. მაგრამ მკვრივად შეკრული, თეთრი ახალოხი აცვია, ასლად დაუთოებული. თავისუფლადაა. შინაურულად. თეთრი ფერი მეტად შვენის მის შავგვრემან სახეს. მუშა სულაც არ გეგონებათ. აზნაურს ჰგავს, წამდაუწუმ გულის ჯიბიდან პაპიროსის კოლოფს იღებს, სტუმრებს სთავაზობს“.

იგივე დეტალიზაცია, იგივე პრინციპი წარმოსახვის, ოღონდ რაოდენ მსუბუქად მიედინება თხრობა პირველ ნაწყვეტთან შედარებით. როგორც ვხედავთ ნახატი ყველგან რეალისტურია და ასეა თითქმის ყველა ნოველაში. ალბათ ამიტომ სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ს. ქილაია: „ჩვენ მიგვაჩნია, რომ ლეო ქიაჩელი თავის შემოქმედების ამ აღრინდელ პე-

74 ლეო ქიაჩელი, ტომი III, 1951, გვ. 71-72.

რიოდშიაც არ იყო ტიპური დეკადენტი მწერალი და შემდეგაც. როდესაც მან დეკადენტური მწერლობის ძლიერი გავლენა განიცადა, მაშინაც კი თავისებურ მერყევ პოზიციაზე იდგა. ამ გარემოების აღუნიშვნელად ლ. ქიჩელის ადრინდელი პერიოდის შემოქმედების დახასიათება არ იქნებოდა. მართებული და სრული“⁷⁵.

ნოველა „იმედები“ უთუოდ ერთგვარ გულგატეხილობის დაღს ატარებს ნოველის გმირი ახალგაზრდა, სიცოცხლისმოყვარული ქალია. რომლის დღიურები აღსავსეა სიყვარულითა და რწმენით. მისი ბოლო წერილები კი გაცრუებული იმედების აღწუსებაა მხოლოდ. „სად არიან ახლა ის იმედები, რომლებიც ოდესღაც გვალფრთოვანებდნენ, თუ მოხვენება იყო ყველაფერი და მხოლოდ ახლა დაეინახე ნამდვილი ცხოვრება? პო, რა შავია მისი სახე და მისი გული კიდევ უარესი. არ ვიცი როგორ ხდება, რომ ეთვისებიან მას! ნუთუ ყველა სტყულის!“ — წერს იგი. უნდა აქვე აღინიშნოს, რომ ნოველის გმირი ცხოვრობს სოციალურად მართლაც გამრუდებულ სამყაროში და მისი ეს წერილები ერთგვარი პროტესტია არსებული სინამდვილის გამო. მაგრამ ცხადია, მეტად პასიური. ქალიშვილი გრძნობს, რომ ყოველგვარი კომპრომისი არასწორ სინამდვილესთან საშინელი დანაშაულია, მაგრამ ხედავს, რომ ხშირად მიდიან ასეთ კომპრომისებზე. ავტორი გრძნობს, რომ წერტილის დასმა ნოველაში ჯერ ნაადრევია. ამიტომაც თხრობას ასე ასრულებს: „ეს ბარათი ხელმოუწერელი იყო. იქნება ავტორს ეგონა, რომ წერილი არ იყო დამთავრებული“.

ლეო ქიჩელი უთუოდ დაინტერესებულა ერთგვარი ფსიქოლოგიური წიაღსვლებით. ეს მოჩანს „იმედებშიც“. ნოველებშიც „ორი სტრიქონის ამბავი“, „მკვლელობა კოხტა-გორაზე“. ორივე ნოველაში შეყვარებული ადამიანის ფსიქიკის შესწავლის ცდაა მოცემული. სანდრო („ორი სტრიქონის ამბავი“) შეყვარებულია უიღბლოდ, მძაფრად განიცდის თავის ხვედრს და ხშირად უცნაურ შთაბეჭდილებას ატოვებს მეგობარზე. რომელიც მასთან ერთად ცხოვრობს. ექსტაზის წუ-

⁷⁵ ს. ქიჩელია. XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, 1959, გვ. 137.

თებში იგი წერს ლექსებს და ვერ ამჩნევს ვერაფერს გარშემო. ბოლოს დეპრესიას უგზავნის ვინმე იულიანეს, რომ ჩამოვიდეს, მოეშველოს, განუქარვოს დარდი. იულიანე ჩამოდის და ცდილობს ვიოლინოზე დაკვრით მოუშუშოს იარა მეგობარს. მაგრამ თან ურჩევს — „სულ მოშუშება ნუ გინდა სანდრო! გულს თუ არ უჭირს, ცხოვრება არაფრად ღირს იცოდეთ“.

ნოველაში გამოთქმულია საკმაოდ გავრცელებული დეპრენტური აზრი — „გულს თუ არ უჭირს“ არ არსებობს ქეშმარიტი შემოქმედება. ცხოვრება. განცდა. (სხვათაშორის ამავე აზრს ავითარებს ანდრიან ლევერკიუნი, თომას მანის გმირი).

ნოველაში „მკვლელობა კონტა-გორაზე“ ვაჟი აკვიატებულ აზრს აყოლილი კლავს სატრფოს, რადგან სწამს, რომ არ არსებობს ქეშმარიტი სიყვარული. სულ ერთია სატრფოვად იქნება თუ უფროსად. თუ ბევრ სახელგანთქმულ მწერალს აღუწერია მკვლელობის მიზეზები, ისიც უთქვამს რომ ისინი არა მარტო გმირის შინაგან ცხოვრებაში არიან. არამედ გარემო პირობების გამოც არიან წარმოქმნილნი. (დოსტოვესკი — „ბოროტმოქმედება და სასჯელი“. ზოლა — „ადამიანი-მხეცა“). ქიაჩელის ნოველის ფსიქოლოგიური ანალიზი ჰაერშია გამოკიდული. მკვლელობა ჩადენილი ნოველის გმირის მიერ მხოლოდ და მხოლოდ პათოლოგიური მოვლენაა. ნოველა საინტერესოდ და დაწერილი, თუმც აქაც გვხვდება (რაც ეგზომ დასასანია) „ვარდად შლილი ლოყები და ოდნავ გაპობილი ლაღის ტუჩები, დილის ცისკრის მსგავსი კბილები“, ეს უკვე მოძველებული აქსესუარი ლ. ქიაჩელის შემოქმედების მდიდარ არსენალში.

ფსიქოლოგიური ნოველების რკალში თავსდება აგრეთვე „შეთრაცყოფილი“, ტრადიციული ნოველა მოულოდნელი დასასრულით. ლ. ქიაჩელი წერს: „ყოველდღიურ აზროვნებაში და ჩვეულებრივ საუბარში ერთმანეთს უპირისპირებენ მოჩვენებას, ილუზიას და სინამდვილეს. თუ ფანქარი თვალწინ დავიჭირეთ ჰაერში, იგი სწორედ გვეჩვენება. უკანასკნელ შემთხვევაში ამბობენ: ფანქარი მოღუნული ჩანს, მაგრამ ნამდვილად იგი სწორიაო. მაგრამ რა საბუთით ვუწოდებთ ერთ

ფაქტს სინამდვილეს, ხოლო მეორეს ილუზიას? რომელია უფრო მართალი? თუ ამას ფილოსოფიურად განსჯით, უთუოდ დაიბნევით და საბოლოო დასკვნამდე ვერ მიხვალთ. მაგრამ თუ უბრალოდ შეხედავთ. უთუოდ იტყვიან, რომ ორივე მართალია. მაგრამ, ფილოსოფია მაინც საჭიროა, ამხანაგებო. მაგალითად, ეს ჩემი ამბავი, რომელიც უნდა გიამბოთ, ფილოსოფიის გარეშე არაფერი მოსაწონია. სამწუხაროდ, მისი ფილოსოფიური აზრი სულ ბოლოში ირკვევა. მე კი მინდა მანამდისაც, ასე ვთქვათ თავშივე, ცოტა ისეთი მარილი მოვამყარო, რომ მისადმი ფილოსოფიური განწყობილება აქედანვე შექმნეს, რითაც ამბავი ძალიან მოიგებდა. თორემ იქნება, იმ ბოლოში ზოგმა ვერც კი შეამჩნიოს ფილოსოფია და ამბავი მხოლოდ „პიკანტური“ დარჩეს და სხვა არაფერი. ეს კი ჩემ გეგმას ეწინააღმდეგება“⁷⁶.

როგორც ვხედავთ, ავტორს გარკვეული მიზანდასახულება ჰქონია. რომელია უფრო ნამდვილი, ილუზია თუ სინამდვილე? ნოველა თითქოს ამ საკითხების გარკვევას უნდა ლამობდეს. სინამდვილეში კი უფრო მარტივ ამბავთან გვაქვს საქმე: წინასწარ აღებულ აზრს შეუძლია შექმნას არსებულის ილუზია, მხოლოდ ილუზია, რადგან ნოველის გმირი ბოლოს თვითონვე რწმუნდება მის მიერ შექმნილი ილუზიების უნიადაგობაში.

ამბავი „იშვიათი შემთხვევის გმირისა“ ნამდვილად მხოლოდ პიკანტურია, თუმცა ნოველაში ხაზგასმულია მთავარი მოქმედი პირის კეთილშობილება და სისპეტაკე და ამ მხრივ შეიძლება გატარებული იყოს ერთგვარი დიდაქტიკური ხაზიც.

ხალხურა ზღაპარი უდევს საფუძვლად ნოველას „საკოს ხვედრი ოქრო“. „რაც მე მეკუთვნის, ჩემთან მოვა მეთქი! ნუ გეშინია. ვერავენ შეგვეცილება: ალბათ ჩემი ხვედრიაო“ — ამბობს ნოველის გმირი. ეს ფატალურის ქადაგებაა, ზღაპრის ფორმაში ჩადებული.

76 ლ. ქიაჩელი. ტ. 111, 1961, გვ. 116.

ნოველა „კრიმანჭულიც“ ხალხური გადმოცემის ყაიდაზეა დაწერილი. მეზღაპრე ალათი ამ ნოველაშიაც ქადაგებს: „ყველას და ყველაფერს თავისი დრო აქვს, ბედი და რიგი“.

როგორც ვხედავთ, დაინტერესების არც ქიაჩელის ზემოხსენებულ ნოველებში უთუოდ უახლოვდება მოდერნისტ მწერალთა გატაცებებს, მაგრამ მხატვრული განხორციელება ამ ნოველებისა, ყოველთვის რეალისტურია. სწორედ ეს თვისება ერთ-ერთი განმსაზღვრელია ქიაჩელის შემოქმედებით ინდივიდუალობისა.

არა მარტო ლეო ქიაჩელის ნოველებში, არამედ მთელს ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთი საუკეთესო ნოველაა „თავადის ქალი მაია“. ავტორმა შებერებული ლამაზი ქალის სულიერი დრამა სოციალურ საძირკველზე გადაიტანა და ამით კიდევ უფრო მძაფრი გახადა იგი. უპირველეს ყოვლისა ნოველა ყურადღებას იპყრობს თავის მაღალმხატვრულობით, სახეების სიმკვეთრით, ლაკონური თხრობით.

„გაძარცულია თავადის ქალი ყოველნაირად: ქონებასთან და დიდებასთან ერთად ვაკჭრა მისი ახალგაზრდობაც. შერჩა მხოლოდ ერთი მოახლე და ერთად ერთი კიდევ ნუგეში. პირველი არის მისი გაზრდილი ობოლი გოგო დაფინო. ხოლო მეორე — უკანასკნელი სიყვარული და მიზანი მაიას ცხოვრებისა“. და ეს ნუგეშიც ხელიდან ეცლება მაიას. თავადის ასულს უბრალო გლეხის გოგონას ამჯობინებენ. არის რაღაც საერთო კოლხელ მედეას და მაიას შორის. აკი თვითონ ეუბნება ბონდოს: „შენ კი შეურაცხავ თავადის ქალი მაია, რომელმაც პატიება არ იცის“. ძლიერი ვნების ქალი, იგი შურს იძიებს. მაგრამ თავადის ქალი გრძნობს — ყველა გზა განვლილია. მას ესმის ზღვის ხმაური: „ვინ არის აქ ისეთი, ვინც არ უნდა იყვეს?“ და ზღვის ტალღებში თავს იხრჩობს თავადის ქალი.

ნოველა საკმაოდ ვრცელია, მაგრამ შინაგანად საოცრად შეკრული და დინამიური, ყოველი ბჭკარი გაზომილი და განცდილი. რიტმი — ერთიანი, ელერადობა — ლექსისა. ამ ნოველაში მკაფიოდ გამოჩნდა ავტორის პოეტური ხედვა, ასე მაგალითად, ვკითხულობთ, „უცებ გაშიშვლდა სიძულვილი

ორივე მხრივ და ბნელ კარავში ყვითელი ფერის კოცონები დაენთენ⁷⁷“. ან „განვლილი ღამის ნაფეხურებში სიციხადე ჩად-გა სმალამოწვდილი“.

შესანიშნავად არის წარმოსახული თავადის ქალი. ეს არის ე. წ. „საბედისწერო ქალი“. რომლისთვისაც თავის დროზე არაერთ ვაჟკაცს მოუკლავს მეტოქე და რომლის სახელთან ყოველთვის უცნაური ამბებია დაკავშირებული. არა, მაია არც ისეთი ბოროტია. როგორი მზაკვრობაც ჩაიდინა, როცა მოაკვლევინა ბონდო. იგი გულწრფელად არიგებს დაფინოს, ჭკუას ასწავლის და ტირის. ქვითინებს სასოწარკვეთილი.

ღეო ქაჩიელი კარგი მთხრობელია. მას ერთთავად თავის გავლენის ქვეშ ჰყავს მკითხველი. ასეა „თავადის ქალ მაიაში“, ასეა ნოველაში „უჩინარა“. და „და ძმა“. ასევეა შესანიშნავ ნოველაშიც „ალმასგირს კიბეულან“. ალმასგირს თვალწინ ელუპება შვილი. ეს საოცარი სიძლიერის ტრაგედიაა და მაჰა ვერ უძლებს მას. ისიც ადიდებულ მდინარეში გადაეშვება შვილის საძებნელად და ეძიებს მანამდე. სანამ თვითონაც არ კპოვებს სასუფეველს.

სიკვდილის პირად მისულ ალმასგირს გალუცინაციები აქვს. იგი ხედავს თავის გივერგისს. მომღიმარე დალის...

საგვებით შესაძლებელია ალმასგირსა და გივერგისის ტრადიკული დასასრულის ამბავი შთაგონებული იყოს ნინო-შვილის „პალიასტომის ტბით“. მაგრამ გაცილებით უფრო შთამბეჭდავია და აყვანილი მაღალ პოეტურ რეგისტრში. ცნობილი გერმანელი ნოველისტი თეოდორ შტორმი წერდა: „თანამედროვე ნოველა დრამის დაი და მხატვრული შემოქმედების უმკაცრესი ფორმაა. დრამის მსგავსად იგი ეხება ადამიანის ცხოვრების უღრმეს პრობლემებს, მსგავსად, თავის დასასრულისთვის იგი ითხოვს მაროგანიზებელ მთლიანობას, რომელიც კონფლიქტის ცენტრშია და ამის შედეგად უმეტესად შეკუმშულ ფორმას, გამოთიშავს ყოველივე არა არსებობის. ის არა მხოლოდ ემორჩილება ხელოვნების მაღალ მოთხოვნებს, არამედ აყენებს კიდევ მათ“⁷⁷.

⁷⁷ В. Г о ф е н ш а ф е р, „Мировозрение и мастерство.“ М., 1936, გვ. 234.

ლ. ქიაჩელის ნოველაში გმირის სულიერი დრამის უფრო რელიეფურად წარმოსახვისათვის, გამოყენებულია კონტრასტულობის ხერხი—ალმასგირი არ გრძნობს სიკვდილს „რადგან თვალგახელილი შვილის მომლიმარი სახე თვალთგან არ მოშორებია“. იგი სულიერად დაწყენარებულია იმ დროს, როცა სასოწარკვეთილი უნდა იყოს. ეს შედეგია მისი გალუცინაციებისა, რაც თავისთავად შედეგია დიდი ტრავმისა. ჩვენ მოწმენი ვართ ნოველაში ალმასგირის ასეთი ფერიცვალებისა, რომელიც სავესებით გამართლებულია ფსიქოლოგიურად და სავესებით გვაჯერებს. უნდა ითქვას, რომ ასეთი კონტრასტები საერთოდ ნოველაში მეტად ხშირი მოვლენაა. ძალიან ხშირად, გმირის ტრაგედიის უფრო ღრმა დაბატვრისათვის უბედურება წარმოსახულია ბედნიერების ფონზე. (ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ „ალმასგირ კიბულანში“ უბედურება წარმოსახულია ბედნიერების ფონზე. ზემოთ ჩვენ მხოლოდ კონტრასტის პრინციპზე ვლაპარაკობთ). ქართულ პროზაში არაიშვიათია ისეთი შემთხვევები. როცა ფონი მკვეთრად განსხვავდება ამბისგან. ასეთია მაგალითად გაბაშვილის „თინას ლეკური“, ყაზბეგის „ფატი“, ლომთათიძის „დავითი“. თუნდაც „გოგია უიშვილი“ ნინოშვილისა. აქ ტრაგიკული ამბები ვითარდება ახალი წლის დამდეგს. სიხარულის და მხიარულების დღეებში. ან გმირი კვდება საერთო ლხენის დროს და ა. შ. ხშირად კონტრასტების წარმოსახვისათვის გამოყენებულია სიზმრები. მაგ: პუშკინის — მეკუბოვე (კუდი სიზმარი, კეთილი ბოლო), ანდერსენის „ასანთა“ . . . (კეთილი სიზმრები კუდი ბოლო) და სხვა. გოფენშაფერი არჩევს რა სიზმარს ნოველაში, წერს, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ბურჟუაზიულ ნოველაში ენიჭება ნოველებს კეთილი სიზმრებით და კუდი დასასრულით: ეს ასეა. რადგან ამით ხაზგასმულია არა მარტო საყოფაცხოვრებო პირობების სიმრუდე, არამედ მსოფლმხედველობრივი მომენტებიც. გოფენშაფერი ასახელებს მაგალითებს — ამბროზ ბირსის ნოველას „Случай на мосту через свиный ручей“. ეიხენბაუმი აგრეთვე წერს: „ნოველა უნდა აიგოს რომელიმე წინააღმდეგობის, დაუმთხვევლობის. შეცდომის.

კონტრასტის საფუძველზე⁷⁶. კატეგორიული ტონით ამის მოთხოვნა, რასაკვირველია მიზანშეუწონელია, მაგრამ ამ განცხადებასაც თავისი საფუძველი აქვს — საკმაოდ ხშირია შემთხვევები ნოველის ასე აგებისა. თუნდაც ქიაჩელთან: — „იმედები“, „ტყუილი და მართალი“, „შეურაცხყოფილი“, „იშვიათი შემთხვევის გმირი“, „კრიმინალური“, „ქალი“ და სხვა. ასეთივე ნოველების რკალშია მოქცეული ნოველა „დახურული წარმოდგენა“.

სათანადო ლიტერატურაში (გ. ნატროშვილი) „დახურული წარმოდგენა“ მიკუთვნებულია დეკადენტურ ნოველათა რიცხვს. ამ ნოველაში, რასაკვირველია, არის იმედებისა და იდეალების გაცრუების გამოხატვა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ცოტაა, რომ ისიც დეკადენტურ ნაწარმოებებს მივაკუთვნოთ. სულ სხვაა, რომ 1933 წელს დაწერილ ნოველაში, არსად არ იგრძნობა საბჭოთა სინამდვილე. ვიქტორ გოლცევი წერდა: „დამახასიათებელ თავისებურებად ნოველებისა „მაია“, „ალმასგირ კიბულან“ და ამბისა „ჰაკი აძბაც“ („კრეისერი შმიტი“) კი, იყო მათი მიმართვა წარსულისადმი. მათში მკითხველი თითქმის ვერ გრძნობდა ახალგაზრდა ყლორტებს საბჭოთა სოციალისტური ცხოვრებისა“⁷⁹. თუ ეს ითქმის ზემოხსენებულ ნოველებზე, მით უმეტეს ნოველაზე „დახურული წარმოდგენა“, რომელიც დროისა და სივრცის გარეშეა მოცემული. ფორმის მხრივ აღნიშნული ნოველა მაქთლაც ექსპერიმენტულია. თხრობა წარმოდგენის მსვლელობას მიჰყვება და ცალკეული სცენების ზედმიწევნით აღწერით ჩვენს წინ ნათლად იხატება როგორც ჩანაფიქრი რეჟისორისა. ისე ავტორისაც. აქვე უნდა ითქვას, რომ თხრობა ყოველთვის რეალისტურ ნახატს შეიცავს. ამ შემთხვევაშიც მეორდება გარემოება. რომელიც ზღვს გვიშლის „დახურული წარმოდგენა“ ხელალებით დეკადენტურ ნაწარმოებთა რიცხვს მივაკუთვნოთ.

⁷⁶ Б. Эйхенбаум, „О Генри и его повеллы“, „Звезда“, 1925, № 6, стр. 292.

⁷⁹ В. Гольцев. Литературно-критические статьи, Тб., 1957, стр. 213

თანამედროვეობის ეკეთილშობილეს იღებებს, ჩვენი ხალხის გმირულ ბრძოლას თავისუფლებისათვის და ჩვენ დღევანდელ ყოფას აღწერენ ლეო ქიაჩელის ნოველები „მამა და შვილი“, „წინამორბედნი“, „უჩინარა“, „და-ძმა“, „მოქცევა“, „დაბრუნება“, „ლუკმა პურის ისტორია“, „ხეთიანის საიდუმლოება“. ლეო ქიაჩელი არსად არ ღალატობს თავს — დადინჯებული მეთვალყურე მოვლენებისა იგი ხშირად ზეაწეულ ტონით აღადგენს საინტერესო ფურცლებს ჩვენი დროისა და ყოველთვის ინარჩუნებს მაღალკვალიფიციური მთხრობელის კილოს.

საინტერესოა ერთი გარემოება; ლეო ქიაჩელის ცოტად თუ ბევრად დეკადენტური განწყობილებები თუ კი მის ზოგიერთ ნოველაში გამოვლინდა, მწერლის დიდი ტილოები მთლიანად დაზღვეულნი არიან ამგვარი ცდუნებისაგან. ქიაჩელის რომანები, დაწყებული „ტარიელ გოლუადან“ დამთავრებული „მონის კაცით“, არსებითად იქმნებოდა ზემოხსენებული ნოველების პარალელურად. მაგრამ რაოდენ დიდი ზღვარია მათ შორის.

ქიაჩელის ნოველები ხშირ შემთხვევაში აგებულნი არიან უცნაურ აშბავზე (ეს საერთოდ ნოველის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა), მაგრამ ნაამბობი სადა, რეალისტური ენითა და სახეებით, თუმც ხშირად ამალღებული ტონით. მაგრამ ლეო ქიაჩელის ნოველებში მთავარია განწყობილებანი და შესაძლოა ამიტომაც ასე სხვადასხვანაირად გამოიყურება მისი ზოგიერთი ნოველა. ქიაჩელის ნოველები, ეს თავისებური ლირიკაა, ხშირად განსჯითი („მკვლელობა კონტა-გორაზე“). ზოგჯერ ვიზუალური („ხეთიანის საიდუმლოება“). მაგრამ მაინც ლირიკაა. ეს ყველაფერი მით უფრო საინტერესოა, რომ როგორ აღვნიშნეთ, ქართველ ნოველისტებს ძალუმად შეაქვთ ლირიზმი ნოველებში, ახასიათებთ არა მარტო პოეტური განწყობილება, არამედ სახეების პოეტური აღქმაც კი. ჩანს ქიაჩელისათვის ნოველა უფრო ხელსაყრელია

ლირიკულ განწყობათა გადმოსაცემად, მაშინ, როცა რომანი, ისე როგორც რომანთა უმრავლესობა საერთოდ, უმთავრესად ეპოსის ფარგლებში რჩება. ლეო ქიაჩელის ნოველები სწორედ ამ კუთხით კიდევ ერთხელ ამტკიცებენ ნოველის ვარგისობას პოეტური ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

* * *

1888 წელს ჩეხოვი ბარანცევიჩისადმი მიწერილ წერილში, აღწერდა რა სამხედრო გზას საქართველოში, რომელსაც პასზე უდიდესი შთაბეჭდილება მოუხდენია, წერდა: „*читать же книгу на Гудзуре или : Дарьяна, и не писать сказки, это свинство*⁸⁰“.

ამა თუ იმ ქვეყნის ლიტერატურის კოლორიტის განსახედრისათვის ბევრ რამეს აქვს მნიშვნელობა. ის, რაც შეიძლება სხვებისათვის მხოლოდ ეგზოტიკა იყოს. ამა თუ იმ ლიტერატურისათვის არის საყოფაცხოვრებო და ყოველდღიური. ცხადია, თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში ეს განმასხვავებელი ნიშნები მინიმუმამდე მცირდება, მაგრამ უდაოდ რჩება ისეთი პირობებიც. რომელნიც თავის იერს აძლევენ სხვადასხვა ლიტერატურას: ასეთია უსათუოდ ბუნებრივი პირობები. ხალხის ტემპერამენტი და სხვა. ნიშანდობლივია, რომ უძველესი კულტურის ხალხს, ნამდვილი პროზა, თუ არ ჩავთვლით მერჩულეს „ხანძთელს“. XIX საუკუნამდე არც გვექონია. სამაგიეროდ პოეზიაში შეიქმნა შედეგები, რომელთა წყალობით ქართული ლიტერატურა ერთ-ერთი უძლიერესი ლიტერატურაა და აქვს მსოფლიო მასშტაბის ძეგლები. დიდმა პოეტურმა ტრადიციამ უთუოდ თავისი დალი დაასვა ქართულ პროზასაც (ვ. ბარნოვი, ნ. ლორთქიფანიძე). განსაკუთრებით კი ნოველას. ეს ხაზი ქართული ნოველისა უთუოდ სპეციფიკური და ნიშნეულაა. ცხადია, პოეტური კუთხით დანახული მოვლენები უხვადაა სხვა ლიტერატურის წარმომადგენლებთანაც, მაგრამ ძლიერი პოეტური გატაცებანი მთლიან

⁸⁰ А. П. Чехов, Собрание сочинений, М., 1950, т. 12, гл. 91-92.

ნოველისტიკას იშვიათად ეტყობა ასე ძლიერად სხვა ლატერატურაში. ძალიან ხშირად ქართულ ნოველას ლექსის შთამბეჭდაობა აქვს.

როდესაც ვამბობთ ქართული ნოველის ნათესაობის შესახებ ლექსთან, აქ თავისთავად ისმის საინტერესო საკითხი საერთოდ ნოველისა და ლექსის კავშირის შესახებ. კონსტანტინე პაუსტოვსკი ბუნინის შესახებ დაწერილ ნაშრომში, წერს: „ბუნინი ამბობდა, რომ როცა ის წერას იწყებს, უპირველეს ყოვლისა უნდა იპოვნოს ბგერა“. „როგორ სწრაფად ვიპოვი მას. შემდეგ ყველაფერი თავისთავოდ მეძლევა“.

რას ნიშნავს „იპოვნო ბგერა?“ ჩანს ამ სიტყვებში ბუნინი ღებდა გაცილებით მეტ მნიშვნელობას, ვიდრე პირველი შეხედვით გვეჩვენება.

„იპოვნო ბგერა“ — ესაა იპოვნო პროზას რიტმი, იპოვნო მისი მთავარი უღერადობა, რადგან პროზასაც აქვს ისეთივე შინაგანი მელოდია, როგორც ლექსებს ან მუსიკას⁸¹.

პროზის რიტმულობის, სწორედ შინაგანი რიტმის შესახებ, არაერთხელ გამოუთქვამთ აზრი. ასე, მაგალითად ეან დე გურმონი ირწმუნებოდა, რომ პროზას აქვს გაცილებით უფრო რთული და მხატვრული რიტმი, რომელიც უფრო ვარგისია განწყობილების გადმოსაცემად, ვიდრე ლექსსო. („Becky“, 1908 г. Июль, стр. 79). ცხადია, ლაპარაკი არ არის ე. წ. „რიტმულ პროზაზე“. არამედ პროზაზე საერთოდ. „მრავალგვარი რიტმი“ პროზაში ზოგ შემთხვევაში ძლიერ ხელშემახებია, ზოგ შემთხვევაში კი არც ისე ადვილად საგრძნობი. ეს განსაკუთრებით ღიდტანიან ნაწარმოებებზე ითქმის — აქ ერთიანი რიტმის თვალმიდევნება ხშირად შეუძლებელიც ხდება. სამაგიეროდ მცირე მოცულობის ნაწარმოები, განსაკუთრებით ნოველა, ამ მხრივ ბევრად უფრო ეფექტურია და აქ უკიდვე უკამათოა ედგარ პოს შეხედულება, რომ „ასეთ შედეგს რომანი ვერასოდეს ვერ მიაღწევს“. რასაკვირველია, ნოველაც არის და ნოველაც, ზოგში განსაკუთრებით ხაზგასმულია რიტმი, ზოგში უფრო ყრუდ — ეს დამოკიდებულია თვით ავტორზე, მის ჩანაფიქრზე, მოვლენათა ავტორისეულ აღქმა-

⁸¹ Тарусские страницы, Калуга, 1961, გვ. 32.

ზე — მაგრამ, ვიმეორებთ, ნოველა გაცილებით მეტ შესაძლებლობას იძლევა პოეტურ განწყობათა ხორცშესასხმელად, ვიდრე პროზის რომელიმე სხვა ფორმათაგანი. საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ ნ. ლორთქიფანიძის „ბებრე-ბი“, კ. გამსახურდიას „ზარები გრიგალში“, მ. ცვეტაევის „კირილოვნები“, ჰემინგუეის „კილიმანჯაროს თოვლი“, მოპასანის „მთვარის შუქი“ და სხვა. ცხადია, ყოფითი ნოველების ან იუმორისტულ ნოველების რიტმი სხვაგვარია და მთლიანი ნოველის უღერადობა ნაკლებ პათეტიური, მაგრამ ამ ნოველებსაც გააჩნია თავისი შინაგანი რიტმი და დინამიკა.

ის რომ ხშირად ნოველის ყურადღების ცენტრშია რაიმე ახალი ამბავი, ზოგჯერ უცნაური, ან ყოველშემთხვევაში ჩვეულებრივი ამბავი მოწოდებული ახლებურად, ჩვენი აზრით კიდევ ერთი საერთო თვისებაა ლექსისა და ნოველისა. ლექსიც ხომ თითქმის ყოველთვის ამადლებულია ჩვეულებრივზე (ყოველ შემთხვევაში ეს ასე უნდა იყოს), და თუ მაინც ჩვეულებრივია მოწოდებული ლექსში, მაშინ ის სინატიფე, მუსიკალობა, პოეტური სახეები, რომელიც გააჩნია ლექსს, მას მაინც ახალ, არა ჩვეულ რაკურსში აყენებს.

ახალს არაფერს ვიტყვით, თუ ვიტყვით, რომ სხვადასხვა განწყობა თუ ჩანაფიქრი, სხვადასხვა მასალა, გარკვეულ ფორმას მოითხოვს. აქედან გამომდინარე ლევ ტოლსტოი, როცა თავის დღიურებში წერდა „გოეთე ცივია „ფაუსტში“. ის რომ ახალგაზრდა და ღონიერი ყოფილიყო, ფაუსტის ყველა აზრს და მისწრაფებას გაანვითარებდა, ხოლო თუ გაანვითარებდა, არ ჩასდებდა ასეთ ფორმაში“⁸² (ხაზგასმა ჩვენია). რასაკვირველია, სხვადასხვა ლიტერატურული ფორმების არსებობას თავისი ლოგიკა და გამართლება აქვს. ალბათ ამიტომ ამბობდა ბელინსკი, არიან მოვლენები, რომელნიც რომანს არ ეყოფიან, მაგრამ რომელნიც არიან ღრმა და შთამბეჭდავნი, ნოველა კი მათ თავის ჩარჩოებში ათავსებს.

შთამბეჭდაობა, აი ნოველის ყველაზე ნიშნეული თვისება, რაც ეგზომ აახლოებს მას ლექსთან.

⁸² Толстой о литературе, М., 1955, გვ. 43.

ყოველი ცალკეული დებულება, რომელსაც აყენებენ საერთოდ ნოველის გარშემო, როგორც უკვე ვთქვით, არ შეიძლება იყოს კატეგორიული და უცილო, თუმცა უთუოდ გვენიშნება საერთოდ. ყველაზე უფრო სწორი და უტყუარი დებულება, ჩვენის აზრით, ედგარ პოს ეკუთვნის. ეს არის მოსაზრება ერთიანი ეფექტის შესახებ, რომელსაც ახდენს ნოველა. და სწორედ ეს გარემოება აახლოებს ნოველას ლექსთან. შეიძლება სწორედ ამიტომაც აღეძრა კ. გამსახურდიას აზრი ნოველისა და სონეტის მსგავსების შესახებ.

შეიძლება გვითხრან, ერთიან ეფექტს ახდენს ყოველი მხატვრული ნაწარმოები — რომანი, დრამა, მოთხრობა. ცხადია, ეს უკამათოა, მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ დიდტანიან ნაწარმოებიდან მიღებული შთაბეჭდილების დანაწევრება ასე თუ ისე ყოველთვის შეიძლება. მაგალითად ვიტყვით, რომ რომანის პირველი წიგნი უთუოდ სჯობია მესამეს. ან ამ მოთხრობის დასასრული გაქიანურებულია, ბევრს სჯობია სხარტი ექსპოზიციისა და ა. შ. ნოველაზე ამგვარი რამის თქმა იშვიათად მოგვიხდება, რადგან როგორც ცნობილია, ნოველა კონცენტრირებულია ერთი მოვლენის, ერთი ეპიზოდის, ერთი განცდის გარშემო. შესაძლებელია სწორედ ეფექტის მიღწევის სურვილით არის გამოწვეული ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც ნოველის დასაწყისსა და განსაკუთრებით დასასრულს ენიჭება (არა მოულოდნელ დასასრულს, არამედ ყოველგვარ დასასრულს საერთოდ). ეს სწორედ ის გადამწყვეტი აკორდია, რომლითაც სრულდება არა სიმფონია, არამედ ზოგჯერ ერთიანი მუსიკალური ფრაზა, მაგრამ რომელიც უთუოდ გვამახსოვრებს მოტივს. ბაბელი ამბობდა: „არავითარ რკინას არ შეუძლია შევიდეს ადამიანის გულში ისე გამყინავად, როგორც თავის დროზე დასმულ წერტილს“.

პოეტური ნიშნის ქვეშ ვითარდება ნ. ლორთქიფანიძის, კ. გამსახურდიას, ს. კლდიაშვილის, მეტნაკლებად ლ. ქიაჩელის შემოქმედებაც. აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოხსენებული მწერლები არ იყვნენ თავისუფალნი დეკადენტური ცოდვებისაგან თავის პირველ ნაწარმოებებში. ამას ვერ ვიტყვით მ. ჯავახიშვილის შესახებ, რომელიც თამამად შეიძლება ითქ-

ვას თავიდანვე რეალისტურ გზას დაადგა მწერლობისა, თუმცა მისი პირველი ნოველები („ჩანჩურა“, „კურკას ქორწილი“, „მეჩქემე გაბო“) შეიძლება ერთგვარ დაეჭვებას იწვევდნენ ამ მხრივ. როგორც ცნობილია, ნატურალიზმი და იმპრესიონიზმი ნერგავდნენ ნოველას როგორც არაჯამრთელი ფსიქიკის გამოსახულების განსაკუთრებულ ფორმას. (ა. გოლცი, შლიაფი, შნიცლერი). მაგრამ ჯავახიშვილის წერის მანერა, მისი მხატვრული აზროვნება და სახეები, არავითარ დაეჭვებას არ იწვევს. გარდა ამისა, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ჯავახიშვილი ბუნებით არის პროზაიკოსი — დადინჯებული და ობიექტური მეთვალყურე მოვლენებისა, იგი იშვიათად აზროვნებს პოეტური სახეებით. ამ მხრივ, როგორც უკვე ვთქვით, იგი უთუოდ ორიგინალურად გამოიყურება ქართველი ნოველისტების ფონზე.

წიგნის შესავალ ნაწილში ჩვენ მოვხაზეთ ნოველის ნაწარმოებისა და განვითარების ისტორია და ამასთან დაკავშირებით დავასახელებთ რიგი მკვლევარებისა, რომლებმაც თითქმის საეტაპო მოსაზრებანი წარმოსთქვეს ნოველასთან დაკავშირებით და პირუკუ, რომლებმაც აშკარად მცდარი შეხედულებები განვითარეს. შესავალ ნაწილში ვერ მოხვდა რიგი შრომებისა, სხვადასხვა მიზეზების გამო — ან იმიტომ რომ მათ ნაკლები კავშირი აქვთ უანრის განვითარების ისტორიასთან (ხოლო ერთი მკვლევარის არ იყოს „ნოველის თეორია ჩვენთვის არის ნოველის ისტორია“) ან იმიტომ, რომ ისინი ნაკლებ საინტერესონი არიან საკითხის დაყენებით. მაგრამ რამოდენიმე მათგანი მაინც უნდა იყოს დასახელებული, როგორც სპეციალური გამოკვლევა ამ საკითხზე. მათ შორის: ი. ევენტოვის „Возвышение новеллы“, მ. კენისბერგის „Об искусстве новеллы“, გ. ლუკაჩის „Рассказ или описание как литературный жанр“ — ვ. კონდორისკაიას „Закон жанра“, ჯონ ბოალნდის „Short-story writings“, ბ. ბეგაკის „Советская новелла“, ამ შრომებში გამოთქმულია ბევრი საინტერესო მოსაზრება, რომელიც შეიძლება საეტაპო მნიშვნელობისა არ იყოს, მაგრამ უთუოდ საყურადღებოა. ასე, მაგალითად, მკვლევარი ბორის ბეგაკი, ემხრობა რა ტრადიციულ აზრს იმის შესახებ,

რომ ნოველაში უნდა იყოს მოცემული რაიმე უცნაური ამბავი, თავის მხრივ შემდეგნაირად ანვითარებს მას: „ამბავი“ ნოველაში შეიძლება იყოს არაჩვეულებრივი, და მაშინ მხატვრის მიზანია მისცეს არაჩვეულებრივს დამაჯერებლობა ჩვეულებრივის; ან ის შეიძლება იყოს ჩვეულებრივი, მაშინ ნოველისტი იტაცებს მკითხველს ჩვეულებრივის მოულოდნელი და გამომსახველობითი ჩვენებით. ამ თვალსაზრისით არაჩვეულებრივი ყოველთვის ახასიათებს ნოველას, არაყოველთვის მასალაში, ფაბულაში, მაგრამ ყოველთვის მის განსახიერებაში, სიუჟეტში“⁸³. ან მკვლევარი კენისბერგი წინადადებას იძლეოდა ტერმინით *pointe* აღენიშნათ ისეთი მომენტი ნოველის კომპოზიციაში, რომელიც აერთიანებს ყველა თემატიკურ და სიუჟეტურ ელემენტებს და ეპიზოდს (რომელიც ნოველას საფუძვლად უდევს) აძლევს დამთავრებულობის ხასიათს. ცხადია, ეს სრულიად ზედმეტი სამუშაო იქნებოდა, არაარსებითი ნოველის ხასიათის ახსნისთვის.

ბევრი ამგვარი მოსაზრება გაბნეულია ზემოთ დასახელებულ შრომებში, მაგრამ მათ, როგორც აღენიშნეთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვთ. აქვე უნდა დავასახელოთ საინტერესო წერილები, რომელთა ავტორები ეხებიან რიგ საკითხებს ნოველასთან დაკავშირებით. ესაა ბ. პოლევოის, ლ. სეიფულინას, ვ. პანოვას, ნინოვის, ს. ანტონოვის და სხვათა წერილები.

უნდა ვთქვათ ისიც, რომ ქართველი ნოველისტების შემოქმედების განხილვაში ვერ მოხვდნენ რიგი ქართველი მწერლებისა, რომელნიც უთუოდ საინტერესო ნოველისტები არიან: დემნა შენგელაია, კ. ლორთქიფანიძე, რ. გვეტაძე, აკ. ბელიაშვილი, აკ. გაწერელია, გ. ნატროშვილი, ან ლომიძე. და სხვები. ვერ მოხვდნენ ვერც შედარებით ახალი თაობის წარმომადგენლებიც, რომელნიც სულ ახლახან მოვიდნენ ლიტერატურაში, მაგრამ საკმაოდ ბევრი რამ საგულისხმო სთქვეს. ჩვენ არ შევუდგებით მათი შემოქმედების სხვადასხვა მხარეების განხილვას, ვიტყვით მხოლოდ, რომ მათთვისაც სავსებით

⁸³ Б. В е г а к, „Советская новелла“, „Знамя“, 1935, № 7, сс. 244.

დამახასიათებელია ლირიკული აზროვნება (ო. იოსელიანი, რ. ინანიშვილი), თუმცა მთელ რიგ საკითხებში ისინი სხვაობას იჩენენ თავის წინამორბედებთან შედარებით.

ქართულ ნოველაში სათანადოდ აღიბეჭდა ქართული სული და ტემპერამენტი, და მასშიაც გამოვლინდა, მკაფიოდ გამოჩნდა, ქართული პოეტური კულტურა და ტრადიცია.



გამომდინარე შილჰაგენისაგან, არაერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ნოველაში საქმე გვაქვს მზა ხასიათებთან. (ლ. ტიმოფეევი, ვ. კოტეტიშვილი, ვ. გოფენშაფერი, ბ. ეიხენბაუმი და სხვა) საინტერესოა, რით უნდა იყოს გამოწვეული ეს მდგომარეობა. ჩვენის აზრით იმით, რომ ნოველათა უმრავლესობაში მართლაც უცნაურ ამბავთან გვაქვს საქმე, ან ჩვეულებრივ ამბავთან, რომელიც ახლებურადაა მოწოდებული. ასეთ დროს მთელი ყურადღება გადატანილია სწორედ ამბავის მოწოდებაზე და ნაკლები დრო ეთმობა ტიპაჟს. მაგრამ ამ დებულების განზოგადება საერთოდ ყველა ნოველაზე არ იქნებოდა მართებული. რაღა ვუყვით ინერტულ სიუჟეტიან ნოველებს, ე. წ. „უსიუჟეტო ნოველებს“ სადაც მთელი აქცენტი გადატანილია გმირის სულიერ ცხოვრებაზე. ასეთი ხასიათის ნოველებმა გარკვეული უარყოფითი რეაქცია მოახდინა რიგ ავტორიტეტებზე, მაგრამ ასეთი ნოველების არსებობა უტყუარი ფაქტია და სამართლიანად წერს ცნობილი თანამედროვე რუსი ნოველისტი სერგეი ანტონოვი: „ლიტერატორთა შორის ხშირად შეიძლება გაიგონოთ საუბარი ე. წ. „უსიუჟეტო“ მოთხრობებზე, ე. ი. მოთხრობებზე, სადაც თხრობა გადატანილია გმირის ცხოვრების შინაგან-ფსიქოლოგიურ პლანზე და გარეგანი მოვლენები იკავებენ მეორეხარისხოვან ადგილს. არ არის არავითარი საფუძველი ვუარყვით ასეთი მოთხრობები. რუსულ კლასიკურ ლიტერატურას აქვს ბრწყინვალე მაგალითები ასეთი ნაწარმოებებისა“⁸⁴.

⁸⁴ „ლიტერატურაია გაზეთი“, 1951, 24 ნოემბერი.

სამწუხაროდ, ბოლო დროს გაჩნდნენ ისეთი ყაიღის მწერ-
ლებიც, რომელნიც იაფ ეფექტურობის მიღწევას ლამობენ და
ფორმას იღებენ როგორც რაღაც თავისთავადს, განცალკევებ-
ულს შინაარსისაგან. რაც უფრო მარტივია ერთი შეხედვით
სიუჟეტი მოთხრობაში, რაც უფრო ინერტიულია მოქმედების
განვითარება, მით უფრო მეტი ტაქტი და ზომიერების გრძნო-
ბაა საჭირო მხატვრული განსახიერების დროს. თქმა მხოლოდ
იმისა, რომ დღეს ქარიანი ამინდია ან პირუკუ, თავისთავად
მხატვრული ფაქტი არ არის. ყოველი კომპონენტი მოთხრო-
ბისა თუ ნოველისა, განწყობილების გადმოცემა თუ ფსიქო-
ლოგიური ექსკურსები, გამართლებული უნდა იყოს რაიმე
შიზნით. უბრალოთ, სადად ნათქვამ ფრაზებს იქით უნდა იგრ-
ძნობოდეს სიღრმე. პრეტენზია სიღრმეზე თავისთავად სიღრ-
მე არ არის და არც ნამდვილი ლიტერატურაა.

ფორმალისტური ვარჯიშობის წინააღმდეგ მკაცრად გაი-
ლაშქრა საბჭოთა სახელმწიფოს კომუნისტურმა პარტიამ, მის-
მა ხელმძღვანელებმა. მაგრამ მათვე აღნიშნეს, რომ სოცია-
ლისტური რეალიზმი არ ნიშნავს ფორმათა მრავალგვარობის
შეზღუდვას. მთავარია სწორი პოლიტიკური პლატფორმა და
იდეური მრწამსი. ამგვარად, ვუბრუნდებით რა საკითხს ნოვე-
ლაში მზა ხასიათებიან პერსონაჟების შესახებ, უნდა გავითვა-
ლისწინოთ ის გარემოება, რომ ასეთ დროს უმეტეს შემთხვე-
ვაში მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მძაფრი სიუჟეტისანი ნო-
ველა, უცნაური, არაყოველღიური ამბით ან უბრალო, რი-
გითი შემთხვევით, რომელსაც განსაკუთრებული აქცენტი აქვს.
მოწოდებულია ახლებურად. როდესაც მხედველობაში გვაქვს
„უსიუჟეტო“ ნოველა, აქაც უმეტეს შემთხვევაში მზა ხასიათე-
ბიან ტიპაჟს წავაწყდებით, მაგრამ ასეთი ყაიღის ნოველა შე-
საძლებლობას იძლევა აგრეთვე თვალყური მივადევნოთ გმი-
რის სულიერი ცხოვრების ცვლილებებსა თუ გარდატეხას, ფე-
რისცვალებას, ჩამოყალიბებას.

ამრიგად, ნოველის საერთო მიმანიშნებელ თვისებებზე შე-
იძლება ითქვას შემდეგი:

ნოველათა უმეტესობა ხასიათდება სიმციროთ, თუმც ეს
არ არის აუცილებელი და გარდაუვალი პირობა. ნოველის სიმ-

ცირე გამოწვეულია გარკვეული ფაქტორებით; ეს არის უპირველეს ყოვლისა ე. წ. „შთაბეჭდილების ერთიანობა“, რომლის მიღწევასაც ლამობს ნოველა. ამ მიზნით გარკვეული აქცენტი ეძლეოდა ნოველის დასასრულს (არა აუცილებლად მოულოდნელს, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი მოითხოვს, არამედ საერთოდ დასასრულს).

ნოველაში უმეტეს შემთხვევაში საქმე გვაქვს მზა ხასიათებთან; ესეც გამოწვეულია გარკვეული პირობებით: ტრადიციულ ნოველებში მთავარი ყურადღება ეთმობა სიუჟეტს, იმ ეფექტს, რომელსაც სიუჟეტი ახდენს და ნაკლებად ხასიათებს (ე. ი. მათ განვითარებას, ჩამოყალიბებას). ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ნოველაში არ გვქონდეს მკვეთრად გამოკვეთილი ხასიათები.

რაც შეეხება ინერტულ სიუჟეტს ნოველებს, ე. წ. „უსიუჟეტო ნოველებს“, ისინი გაცილებით მეტ შესაძლებლობას იძლევიან ხასიათის ჩამოყალიბების ჩვენებისათვის. რადგან მათში ძირითადი ყურადღება გადატანილია გმირის სულიერი ცხოვრების ჩვენებაზე. მაგრამ ამ ნოველათა უმეტესობაშიც, საქმე გვაქვს მზა ხასიათთან ტიპათთან.

მკვლევარი გ. ლომიძე წერს: „ბურჟუაზიული ნოველისტიკისთვის ცხოვრება მოუწესრიგებელი ქაოსია, შემთხვევითი ფაქტების გაელვებაა, უეცარ უბედურებათა მწკრივია, საყვარელი ან პატივცემული ადამიანის სამარცხვინო ქცევის ან საიდუმლო დანაშაულის თავზარდამცემი უეცარი მხილებაა. ბურჟუაზიული ნოველის კლასიკოსი მოპასანი ტურგენევის შესახებ დაწერილ სტატიაში ამბობდა, რომ ის გულდასმით ჰკრეფს „ცხოვრების ნაკუწებს“ და „ნაკუწების“ მიღმა ვერ ხედავს ვერაფერს, ვერ ხედავს „ნაკუწების“ შემაერთებელ ძარღვსო. ამიტომ ბურჟუაზიული ნოველა ექსცენტრიკულია, მიხვეულ-მოხვეული, ნერვული თრთოლვით და ისტერიული უწონასწორობით შეპყრობილი. ზოგიერთმა მკვლევარმა კი ბურჟუაზიული ნოველის სპეციფიკა საერთოდ ნოველის სპეციფიკად აღიარა.

ცხადია, საბჭოთა ნოველისტი ბურჟუაზიული ნოველის გზით ვერ წავიდოდა. ჩვენი ცხოვრებას მოვლენები ისე

არიან ერთმანეთში შექრილი და გადახლართული, რომ თუ
ნათლად გვაქვს წარმოდგენილი მათი ურთიერთმოქმედება
და მათი საერთო კავშირი, მაშინ ყოველ ცალკეულ, თითქოს
ზოლირებულ ფაქტშიაც ხედავ მისი არსებობის სხვა, გამო-
ვლინებელ მხარეს. ამგვარად, დასრულებული ამბავი პო-
ტენციურად იტევს თავისთავში მისი განგრძობის უამრავ შე-
აძლებლობას⁸⁵.

ასეთი მკვეთრი გაყოფა ნოველისა, მისი ასეთი კლასიფი-
კაცია არ არის მიზანშეწონილი. ეს დებულება სავსებით სა-
მართლიანი იქნებოდა, თუ ერთმანეთს დაეუპირისპირებდით
დეკადენტურ და რეალისტურ ნოველას საერთოდ. მაგრამ
აქაც დაკონკრეტებაა საჭირო: საუბარია უკვე მსოფლმხედვე-
ლობრივ საწყისებზე, მწერლის მანერაზე, სტილზე, და არა
ქანრულ კატეგორიაზე.

რასაკვირველია, სოციალისტური რეალიზმი თანაბრად
ვლინდება როგორც რომანში, ისე პოემაში, ლექსში და ნოვე-
ლაში. მაგრამ აქ უკვე საჭიროა სოციალისტურ რეალიზმს და-
უუპირისპიროთ სხვა რეალიზმი და არა ნოველის ქანრს ნო-
ველის ქანრი.

ქართულ საბჭოთა ნოველაში სათანადოდ აისახა ქართვე-
ლი ხალხის ცხოვრება და შრომა, მისი მისწრაფებები, მისი
წინსვლა, ისე როგორც მთელ საბჭოთა ლიტერატურაში.

რაც შეეხება, კერძოდ, ქართული ნოველის სპეციფიკას.
უნდა ითქვას, რომ ეს არის მისი ხაზგასმული, შესამჩნევი ლი-
რიზმი, უფრო სწორად, სამყარო ქართულ ნოველებში უმე-
ტესად დანახულია პოეტური თვალთახედვით. ნიშანდობლი-
ვია ამ მხრივ კ. გამსახურდიას აღიარებაც: „ნამდვილი პროზა
ეს ტონდაშვებელი რითმული ქმნილებაა, რომელშიაც ყო-
ველი ზედმეტი ფონეტური ნიშანი ხელს უშლის ნაწარმოების
წარმატებას.

⁸⁵ გ. ლომიძე, სოციალისტური რეალიზმისათვის ლიტერატურაში,
თბ., 1952, გვ. 192—193.

როცა მე რომანის, ან ნოველის წერას დავასრულებ, მა-
კონტროლო კითხვისას მუდამ იმის ძიებაში ვარ: როგორმე არ
გამეპაროს ზედმეტი მარცვალი, ზედმეტი ასონიშანი“⁸⁶.

ეს აღიარება სავსებით შეეფარდება ქართული ნოველის
ბუნებას, თუმცა შეიძლება სხვა დროს და სხვა ვითარებაში
საკამათოც იყოს. ვიმეორებთ. ქართულ ნოველაში მკვეთრად
გამოჩნდა ქართული პოეტური კულტურა და ტრადიცია.

⁸⁶ „ლიტერატურული საქართველო“, 1693, 19 მაისი, № 20.

Манана Ражденевна Гветадзе
ГРУЗИНСКАЯ СОВЕТСКАЯ НОВЕЛЛА

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი მ. გვერდწითელი
გამომცემლობის რედაქტორი ე. კოდუა
ტექრედაქტორი ნ. ჯაფარიძე
კორექტორი ლ. გორდელაძე

გადაეცა წარმოებას 7.8.1963; ანაწყოების ზომა $5,5 \times 9$; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 7.12.1963; ქალაქის ზომა $60 \times 92 \frac{1}{16}$;
ქალაქის ფურცელი 3,31; საბეჭდი ფურცელი 6,62; საავტორო
ფურცელი 5,12; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 5,22;
შეკვეთა 1050; უე 03793; ტირაჟი 1000
ფასი 34 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5